

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი
თბილისის სასულიერო აკადემია

ელდარ გუგულაშვილი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ანტონ მეორე
(ცხოვრება და მოღვაწეობა)

*ევრეთ შრწყინვედინ ნათელი თქუენი
ნინაშე კაყთა. რაჟთა იხილოენ საქმენი თქუ-
ენნი კეთილნი და აღიდგმდნენ მასა თქუენსა
ზეყასათა (მათ. 5.16).*



УДК281-936-213 (479.22) (092)+929 ანტონ II
ბ. 953

მონოგრაფიაში შესწავლილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის (1762-1827 წ.წ.) ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. გამოკვლევა ძირითადად ეყრდნობა რუსეთსა და საქართველოს სიძველეთსაცავებში აღმოჩენილ ახალ საარქივო მასალებს. ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი:

ი. მ. დ. პროფ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი

რეცენზენტები: ი. მ. დ. ეთერ ორჯონიკიძე

ი. მ. კ. თამარ შაკიაშვილი

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე“.

გამომცემლობის მთავარი

რედაქტორი: თამაზ ჭყონია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: ანა რუაძე, მარიამ ბუტიკაშვილი

რეკომენდირებულია დასაბეჭდად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2000 წლის 20 მარტს (ოქმი №2).

წინათქმა

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მრავალი წმინდა და ღირსეული მწყემსმთავარი ედგა სათავეში, რომელთა უმრავლესობა ერში სულიერების ამაღლებასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ხშირად ისინი პოლიტიკურად დაქუცმაცებულ სამეფო-სამთავროებს შორის, სულიერი და სარწმუნოებრივი ერთობის საფუძველზე, მოსალოდნელი შინაომების თავიდან აცილებასაც ახერხებდნენ.

ქართულმა მატიანეებმა, მართალია, მწირი, მაგრამ არაერთი საინტერესო ფურცელი შემოგვინახა სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავგანწირულ ქართველ კათოლიკოს-პატრიარქთა შესახებ. განსაკუთრებული თავდადების გამო საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ წმ. მამაე კათოლიკოსი (†744), წმ. იოანე (ოქროპირი) კათოლიკოსი (†1001), წმ. ნიკოლოზ კათოლიკოსი (†1591), წმ. მონაჲ ევდემოზ დიასამიძე (†1639), წმ. ამბროსი აღმსარებელი (†1927) და სხვ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის არაერთმა საჭეთმპყრობელმა გაითქვა სახელი თავისი საგანმანათლებლო მოღვაწეობით, ახალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობით თუ სამისიონერო საქმიანობით. მათ რიცხვს მიეკუთვნება წმ. არსენ დიდი კათოლიკოსი (†887), მცხეთის სვეტიცხოვლის აღმშენებელი მელქისედეკ I (†1030), ნიკოლოზ გულაბერიძე (†1178), ბესარიონ ორბელიშვილი (†1737), ანტონ I (†1788) და სხვ.

დიდი იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ხელდასხმით ხდებოდა მეფეთა კურთხევა. ისინი აგრეთვე, დიდ როლს ასრულებდნენ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს ეკლესიას ქართველთა ლაშქარში საკუთარი ჯარი გამოჰყავდა, რო-

მელიც მცხეთის საკათალიკოსო ჯარის სახელწოდებით იყო ცნობილი. ომის დაწყების წინ პატრიარქი დალოცავდა მხედრობას. ქართველთა საერთო ლაშქარს წინ მიუძღოდა ბერი - „ჯვარისმტვირთველი“, საწინამძღვრო ჯვრითა და სასწაულმოქმედი ხატით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ანტონ მეორე ბაგრატიონს (1762-1827), რომელიც მეფე ერეკლე II-ისა და დედოფალ დარეჯანის შვილი იყო. მან, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, უარი თქვა საერო ცხოვრებაზე და გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში პატრიარქობის (1789-1811) მძიმე ტვირთი იკისრა. შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ (რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობამ) მას შესაძლებლობა არ მისცა თავისი მოღვაწეობა ერის საკეთილდღეოდ წარემართა, მაგრამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ იგი საღ კლდედ იქცა დამპყრობლების წინააღმდეგ, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაც სურდათ. ათი წელი ებრძოდა ცარიზმი ანტონ მეორეს. საბოლოოდ, მართალია, მტერმა გაიმარჯვა, პატრიარქი რუსეთში გადაასახლეს და გააუქმეს ეკლესიის დამოუკიდებლობაც, მაგრამ გადასახლებაში პატრიარქი სულიერად არ დაცემულა. უცხოობაში მყოფი ანტონ მეორე დამონებული სამშობლოს ბედნიერ მომავალზე ფიქრობდა.

სამწუხაროდ, დღემდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ქართველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ამ მხრივ, მისასალმებელია ე. ბუბულაშვილის წინამდებარე გამოკვლევა, რომელიც რუსეთსა და საქართველოში დაცულ უცნობ სარქივო მასალებს ეყრდნობა. აღნიშნული მონოგრაფიით ქართველი მკითხველი გაეცნობა სარწმუნოებისა და ერისათვის თავდადებული მოღვაწის ანტონ მეორის ცხოვრებას.

აზნაშვი. ქრისტეანის მიწოდებისათვის

*ეუძღვნი დედის, ბიძის და
დეიდების - ნათელა, ჟორა, ვარა
და თალიკო სირდაძეების ნათელ
ხსოვნას.*

შესავალი

წინამდებარე მონოგრაფია ეძღვნება ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ანტონ მეორის (1762-1827) ღვაწლის წარმოჩენას.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც თავისი ცხოვრება და სარწმუნოებრივი მოღვაწეობა ქვეყნისა და ერის სამსახურს შესწირა. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ანტონ მეორის სიცოცხლე სანთელივით დაიღვენთა ერის უკეთესი მომავლის მოლოდინში. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ის ხომ ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს საქართველოს სულიერი მესაჭე იყო, რომელსაც ყველაზე მეტად ესმოდა სამშობლოს ტკივილი.

სამწუხაროდ, ამ დაუცხრომელი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არ გაგვაჩნია მცირე მოცულობის ნარკვევიც კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობილი საზოგადო მოღვაწის მოსე ჯანაშვილის მართლაც და საინტერესო წერილებს, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში სასულიერო ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნდა¹. აგრეთვე აღსანიშნავია პროფ. მ. გონიკიშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი, რუსეთში მოღვაწე ბაგრატიონების შესახებ, რომელშიც ანტონ მეორის მოღვაწეობასაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. ასევე საყურადღებოა მ. ბერძნიშვილის მცირე მოცულობის საცნობარო ხასიათის მასალა, რომელიც კათალიკოსის ცხოვრების ზოგიერთ მხარეს ეხება². ანტონ მეორის შესახებ მცირე მოცულობის საინტერესო დოკუმენტური მა-

სალა გამოაქვეყნა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ პოლიექტოს კარბელაშვილმა³.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალების საფუძველზე ზოგადი სურათი შეგვექმნა ანტონ კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. იგი ძირითადად ემყარება რუსეთისა და საქართველოს არქივებსა და წიგნთსაცავებში არსებულ წერილობით წყაროებს. რუსეთში მისი მოღვაწეობის შესახებ არსებული წყაროების ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში სასულიერო ხასიათის პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა, რომელიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობის გამო მკვლევარებისათვის ხელმიუწვდომელი იყო. აღნიშნული მასალების მოძიებაში დიდი დახმარება გაგვინია თბილისის ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა მამა მაქსიმე ჭანტურიამ.

ანტონ მეორის მოღვაწეობის მოკლე დახასიათება რუსეთის საზოგადოებას გააცნო ჟურნალმა „Странник“-მა⁴. აღნიშნული მასალა გადმოებჭდა საქართველოს საეგზარქოსოს ოფიციალურმა ორგანომ „საქართველოს სასულიერო მახარობელმა“⁵. დოკუმენტურ მასალაზეა დამყარებული რუსეთში ანტონ მეორის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ვ. არისტოვი-სა და დეკანოზ ვ. უმაკინის ნაშრომები⁶. მართალია, აღნიშნული ნაშრომები რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამართლებას ემსახურებოდა და ამის შესაბამისად ტენდენციურად ახდენენ ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციას, მაგრამ მათ გამოკვლევებში არსებული მდიდარი ფაქტობრივი მასალა ძვირფას ცნობებს შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხების გასაშუქებლად.

აგრეთვე დიდი ტენდენციურობით გამოირჩევა „Z“-ის ფსევდონიმით ჟურნალ „Христианское чтение“-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სადაც ავტორი კათოლიკოს-პატრიარქ

ანტონ მეორის დასამცირებლად დოკუმენტების გაყალბება-საც არ ერიდება⁷.

ანტონ მეორის ნიჟნი-ნოვგოროდში მოღვაწეობის შესახებ ძვირფასი მასალები გამოაქვეყნა ამავე ეპარქიის ჟურნალმა⁸. ქართველმა მკვლევარმა ნ. ტარსაიძემ თავის გამოკვლევას დაურთო რუსული საეკლესიო ჟურნალებიდან ამოღებული რამდენიმე დოკუმენტი ანტონ კათოლიკოსის შესახებ⁹.

რევოლუციამდელი რუსული ისტორიოგრაფია, როდესაც ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების საკითხს, არაობიექტურ შეფასებას აძლევს მომხდარ მოვლენებს, ანტონ კათოლიკოსს უღიმღამო, უვიც, გაუნათლებელ პიროვნებად წარმოგვიდგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა მღვდელი ნ. პოკსოვსკის შრომა¹⁰.

უნდა ითქვას, რომ რუსეთში ანტონ მეორის მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ადგილობრივ მხარეთმცოდნეობით ლიტერატურაში¹¹.

ზემოთ წარმოდგენილი წყაროებისა და ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ ობიექტურად წარმოგვეჩინა ანტონ მეორის ღვაწლი. წარმოდგენილ ნაშრომს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრული სურათის შექმნის პრეტენზია არ გააჩნია. ალბათ, ეს მომავლის საქმეა.

მადლობით მინდა მოვიხსენიო სამეცნიერო დანებსებულებების (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ბიბლიოთეკა, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) თანამშრომლები, რომლებიც დიდად მიწყობდნენ ხელს მასალების მოძიებაში. ზოგიერთი რუსული დოკუმენტების გადმოქართულებაში კვალიფიცირებული დახმარება გაგვიწია შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუ-

ტის მეცნიერ თანამშრომელმა მირანდა ტყეშელაშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო შსს პოლიციის აკადემიის კათედრის უფროსის მოადგილეს თამაზ გუჯაბიძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ფოტო-ლაბორატორიის ხელმძღვანელს ედვარდ გიგილაშვილს და ამავე ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ ლეილა ჩიქოვანს.

დასასრულს, ავტორი მკითხველის ყველა სამართლიან კრიტიკულ შენიშვნას მადლიერების გრძნობით მიიღებს.

ანტონ მეორის მოღვაწეობა საქართველოში

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში დამოუკიდებლად მართავდა საქართველოს ეკლესიას. მას მოღვაწეობა მეტად რთულ ვითარებაში მოუხდა. კავკასიის ქედს გადმოდმა გადმოსული რუსეთის სახელმწიფო გეორგიევსკის ტრაქტატით არ იყო კმაყოფილი და იგი ქვეყნის სრულ დაპყრობას გეგმავდა, რაც 1801 წელს კიდევ განხორციელა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ათი წლის განმავლობაში ქართულმა ეკლესიამ ცარიზმის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად კვლავ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, რაც კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის დიდი დამსახურება იყო. მხოლოდ მისი რუსეთში გადასახლების შემდეგ გახდა შესაძლებელი მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

ანტონ მეორე ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელია. იგი იყო მეფე ერეკლე მეორისა და დარეჯან დედოფლის ვაჟი, რომელიც დაბადებულა 1762 წლის 8 იანვარს, სწორედ იმ დღეს, როდესაც პეტერბურგში მისი პაპა, მეფე თეიმურაზ მეორე გარდაიცვალა. გარდაცვლილი პაპის პატივსაცემად მისთვის დაურქმევიათ თეიმურაზი. ა. როგავასა და მ. ბერძნისვილის აზრით, იგი უნდა დაბადებულიყო 1764 წლის 8 იანვარს¹. როგორც ჩანს აღნიშნული თარიღის დადგენისას ზემოთ დასახელებული მკვლევრები ეყრდნობიან თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ მოტანილ ცნობებს². ჩვენს ხელთ არსებული ყველა წყარო მის დაბადების თარიღად 1762 წლის 8 იანვარს ასახელებს³. ერისკაცობაში ანტონს თეიმურაზის გარდა ისმიხანიც რქმევია⁴.

პირველდაწყებითი განათლება ანტონ მეორემ საქართველოს სამეფო კარზე მიიღო. შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ცოდნას უშუალოდ იმდ-

როინდელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველის მეთვალყურეობით ეუფლებოდა. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, მან კათოლიკოს ანტონ პირველისაგან „მიიღო თეორეტიკისა და პრაქტიკის ხელოვნება; და ისწავა კეთილად ფილოსოფია და ღვთისმეტყველება და ისტორია. ესე არს ფრიად გონებამახვილი და უმანკო, მონაზონებაში სრული, ღრმა ღვთისმეტყველი“⁵. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანტონ მეორე, როგორც ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი, საბერძნეთში უნდა წასულიყო. სწავლის გასაგრძელებლად, სადაც ის მცირე ხანს დარჩენილა⁶. მაგრამ ამ ვარაუდს ნერილობითი ცნობები არ ადასტურებს. მან იმ დროის კვალობაზე შესაფერისი სწავლა-განათლება შეიძინა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ მამამისი ერეკლე მეორე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ანტონ მეორეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას ანდობდა. როცა გეორგიევსკში რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო ტრაქტატი - 1783 წელს ერეკლე მეორემ რუსეთის სამეფო კარზე გარსევეან ჭავჭავაძის მეთაურობით გაგზავნა დელეგაცია, დელეგაციაში იმყოფებოდა ახალგაზრდა ბერი, იეროდიაკონი ანტონ მეორეც, რომელიც საიმპერატორო კარზე დიდი პატივით მიიღეს. 1784 წელს ერეკლე მეორის თხოვნით პეტერბურგში მყოფი ანტონ მეორე ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში, თვით იმპერატორ ეკატერინე მეორისა და უმაღლეს მოხელეთა თანდასწრებით, ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდის კათედრის მღვდელმთავრად⁷. ქიროტონიის შემდეგ იმპერატორმა ახლად ხელდასხმულ ეპისკოპოსს უბოძა ძვირფასი თვლებით შემკული პანაგია, რაც იმ დროისათვის დიდად საპატივცემულო საჩუქრად ითვლებოდა. პანაგიას ამშვენებდა უფლის მინანქრული გამოსახულება, რომელიც მოოჭვილი იყო ბრილიანტებით. გამოსახულების პირველ რიგში მოთავსებული იყო 25 ბრილიანტი, მეორე რიგში 16 ბრილიანტი. პანაგიის ირგვლივ განთავსებული იყო 95 მცირე ზომის ბრილიანტი, გვირგვინში იყო სამი მსხვილი ბრი-

ლიანტი. სულ პანაგიას ამშვენებდა 183 ბრილიანტი. კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული პანაგია 6940 მანეთად შეფასდა და იგი რუსეთის უწმინდეს სინოდს გადაეცა⁸. რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ახალგაზრდა მღვდელმთავრისადმი ბოძებული ასეთი ძვირფასი საჩუქარი გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. ცარიზმს სურდა ამით გამოეხატა თავისი კეთილგანწყობილება ერთმორწმუნე საქართველოს მიმართ. იმავე, 1884 წელს ანტონ მეორე პეტერბურგშივე დაუსწრებლად აიყვანეს ალავერდის მიტროპოლიტის ხარისხში. ანტონ პირველის გარდაცვალების შემდეგ იგი ჩამოიყვანეს საქართველოში და 1789 წლის 29 თებერვალს სვეტიცხოველში აკურთხეს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრად. სრულიად ახალგაზრდა 25 წლის ანტონ კათოლიკოსმა თავის წინამორბედთა კვალდაკვალ მიიღო „პატრიარქის“, „უწმიდესისა და უნეტარესის“ ტიტული. დოკუმენტებს იგი, ჩვეულებრივ ხელს აწერდა, როგორც „კათოლიკოს-პატრიარქი“⁹. ახლადარჩეულ პატრიარქს ვრცელი სიტყვით მიმართა მიტროპოლიტმა ვარლამ ერისთავმა (შემდეგ საქართველოს პირველმა ეგზარქოსმა), რომელმაც წარმატებები უსურვა ამ რთულ და საპატიო მოვალეობის შესრულებისას ერის საკეთილდღეოდ¹⁰.

ანტონ მეორემ თავისი თავმდაბლობით, გულმონყალოებით და მწიგნობრობით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. იგი, როგორც სრულიად საქართველოს მწყემსმთავარი, ხშირად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ლებულობდა მონაწილეობას. 1792 წელს, როცა იმერეთის სამეფოს ტახტისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა, დავით გიორგის ძესა და ერეკლე მეორის შვილიშვილს დავით არჩილის ძეს შორის, ქართლ-კახეთის მეფის დავალებით ანტონ მეორე იმერეთს ეწვია, მოწინააღმდეგე ძალები დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებისა და საერო პირების თანდასწრებით ერთმანეთს შეარიგა, მეფობა დავით არჩილის ძეს დაუმტკიცეს და უწოდეს სოლომონ მეო-

რე. აღნიშნული ფაქტის შესახებ ბაგრატი ბატონიშვილი წერს: „მეფემან ირაკლიმ წარატანა ძე თვისი ანტონი კათალიკოზი, რომელიც მისრულმან დააზავნა ესენი თანხმობითა იმერთა სამღვდელთა და ჩინებულთათა, მეფეს დავით არჩილის ძეს დაუმტკიცეს მეფობა იმერეთისა და უწოდეს ტიტულაი სახელად სოლომონ, დიდი მეფის სოლომონის გამომ“¹¹.

ანტონ მეორე დიდად ზრუნავდა თავისი წინამორბედი კათალიკოს-პატრიარქისა და მასწავლებლის ანტონ პირველის მიერ გახსნილი სასულიერო სასწავლებლებისათვის. მას 1798 წელს შეუმონებია კალოუზნის სასულიერო სკოლის მოსწავლეთა ცოდნა. მათი მომზადების დონით იმდენად კმაყოფილი დარჩენილა, რომ ყმანვილებისათვის უჩუქებია თითო აბაზი და თან დაურიგებია ისინი: „გეშინოდეთ ღვთისა, შეიქმნებით ბრძენი და შვილნი ეკლესიისანი“¹². ანტონ მეორე კათალიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის მსგავსად აქტიურ მნივნობრულ მოღვაწეობას არ ეწეოდა. თუმცა, როგორც იოანე ბატონიშვილი მიუთითებს: ანტონი „არის ფრიად მშვენიერი მწერალი თხზვასა შინა“¹³. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა იგი. მისი ხელშეწყობით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე დაისტამბა რამდენიმე სასულიერო ხასიათის ლიტერატურა. ანტონ II-ის კურთხევით 1789 წელს თბილისში დაიბეჭდა „ზატიკი“ და „დავითნი“, 1791 წელს „ყამნი“, „სამოციქულო“ და „სახარება“, 1799 წელს „მარხვანი“ და „მცირე ლოცვანი“, ხოლო 1800 წელს გამოვიდა საერო თხზულება დავით ბატონიშვილის „ნარკუევი“¹⁴.

საქართველოს მწყემსმთავარი მოვალეობის შესრულებისთანავე „...შეუდგა ცდას, რათა ქართველების გულში კვლავ აღედგინა ის სიყვარული სარწმუნოებისა და მამული-სადმი, რომელიც მამა-პაპების გულს ათრთოლებდა და რომელიც იყო წყარო მათი პოლიტიკურის თვით არსებობისა“¹⁵. შერყეული რწმენისა და დაცემული ზნეობის ამაღლების მიზნით

მან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისონერთა დიდი ჯგუფი გაგზავნა. გარდა ამისა, ანტონ მეორემ „მრავალი იღვანა საყდრისათვის თვისისა: უყიდა სოფლები, აღუშენა ნაოხარნი ადგილნი, გაუკეთა ბალები, საფუძველი დასდო ტფილისსა შინა უღმრთოსა ალა-მამად-ხანისა ხოჯასაგან დაქცეულისა ეკლესიისა, ალავერდისა წმიდისა გიორგის ეკლესიისა ჩინურითა დახურა სამხროები და კეთილად იღვანა“¹⁶.

ერეკლე მეორე დიდად აფასებდა ანტონ მეორის ღვაწლს ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ „და ამისათვის ჯილდოდ უბოძა ნიშანი, რომელიც დარჩა დედოფლის ანნას გარდაცვალების შემდეგ და რომელშიაც რამდენიმე ძვირფასი ნივთიც ერია“¹⁷.

ანტონ მეორე, როგორც სულიერი მოძღვარი და როგორც ავტორიტეტული პიროვნება, კარგად წარმართავდა საქართველოს ეკლესიის საქმეებს, მაგრამ XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ეკლესიაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ (†1800 წლის 28 დეკემბერი) სამეფო კარზე გამეფებისათვის ატეხილმა ბრძოლამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სირთულეები შეუქმნა. ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით განსაკუთრებით აქტიურობდა დავით გიორგის ძე, იულონ ერეკლე მეორის ძე. ამ არეულობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ერეკლე მეორემ თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომლის მიხედვით გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ უნდა გამეფებულიყვნენ მომდევნო ძმები უფროსობის მიხედვით. შეცვლილი ტახტის მემკვიდრეობის წესის შესაბამისად გიორგი მეთორმეტის შემდეგ მეფობა ეკუთვნოდა იულონ ბატონიშვილს. მაგრამ მეფე გიორგიმ სიცოცხლეშივე მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი ვაჟი დავითი, რომელიც რუსეთის მეფე პავლე პირველს დაამტკიცებინა. აღნიშნული ფა-

ქტი საქართველოში მყოფი რუსი მოხელეების მოთხოვნით ფიცზე ხელმონერით დაადასტურა ქართლ-კახეთის სამეფო კარმა, კათოლიკოსმა ანტონ მეორემ და სხვა მღვდელმთავრებმა¹⁸. გიორგი მეფის ასეთი მოქმედებით უკმაყოფილო იყვნენ ბატონიშვილები. მეფის გარდაცვალებისთანავე იულონ ერეკლე მეორის ძემ მოუწოდა ქართლ-კახეთის მოსახლეობას და 1801 წლის დასაწყისში სცადა მცხეთაში მეფედ კურთხევა, მაგრამ დავით გიორგის ძემ რუსთა ჯარის დახმარებით მისი ეს მისწრაფება ჩაშალა.

ამჟამად ჩანდა, რომ ანტონ მეორე იულონის გამეფების მომხრე იყო, მაგრამ დასახმარებლად პრაქტიკულ ნაბიჯს ვერ დგამდა. თუმცა, ოფიციალურად თავის ამ განზრახვას უარყოფდა. რუსეთის წარმომადგენლები, გენერალ-მაიორი ივანე პეტრეს ძე ლაზარევი და გენერალ-ლეიტენანტი კარლ თეოდორეს ძე კნორინგი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისათვის იბრძოდნენ და არც ერთის გამეფებას არ უჭერდნენ მხარს. მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ქართველი სამღვდელეობა წირვა-ლოცვის დროს, პავლე პირველის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგაც, მეფედ იულონ ბატონიშვილს იხსენიებდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1801 წლის 1 იანვარს გენ-მაიორმა ი. ლაზარევმა მიმართა კათოლიკოს-პატრიარქს: „შევიტყვე, რომ ქართველი სამღვდელეობა ბატონიშვილ იულონს მეფედ მოიხსენიებს. ვალდებული ვარ, თქვენო უწმიდესობავ, ამის შესახებ გაცნობოთ და გთხოვოთ, რათა ამიერიდან ამგვარი მოხსენება აკრძალვით ქართლისა და კახეთის ხალხში, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნებას, რაც ჩემს მიერ გამოცხადდა როგორც ბატონიშვილს, ასევე ქართლისა და კახეთის ხალხს“¹⁹. ი. ლაზარევის მოთხოვნას ანტონ მეორემ ყურადღება არ მიაქცია და იგი უპასუხოდ დატოვა. კათოლიკოს-პატრიარქის მოქმედებით აღშფოთებულმა ი. ლაზარევმა იმავე წლის 20 იანვარს დასმენის წერილით მიმართა კავკასიის ხაზის სარდალს,

გენ-ლეინტენანტ კარლ კნორინგს: „იულონი მეფედ კურთხევას ცდილობს. ეკლესიებში მას მეფედ იხსენებენ. მიუხედავად იმისა, რომ მე ორჯერ გავაფრთხილე ანტონი, რათა წინ აღდგომოდა იულონის ცდას, მან პასუხიც არ მაცნობა და არ აკრძალა მისი მოხსენიება“²⁰) ი. ლაზარევის მოხსენების საფუძველზე კ. კნორინგმა 1801 წლის 25 იანვარს ანალოგიური მოთხოვნით მიმართა ანტონ მეორეს და მოუწოდა დაერიგებინა ძმები, განსაკუთრებით იულონ ბატონიშვილი, რომ ხელი აელო გამეფების სურვილზე. ამასთან იგი ითხოვდა, აკრძალულიყო წირვა-ლოცვის დროს იულონის მეფედ ხსენება. იმავე 25 იანვარს ანტონ მეორემ საპასუხო წერილით მიმართა კ. კნორინგს, რომელშიც საგანგებოდ აღნიშნავდა თავის ერთგულებას რუსეთის იმპერატორისადმი და დასძენდა: „...ენდეთ ჩემს სასულიერო ღირსებას, რომ ჩემს ძმებს აქამდეც ვურჩევდი, ეხლაც ვურჩევ და შემდეგშიც არასდროს შევწყვეტ მათადმი რჩევას, რათა წყნარად იყვნენ“. იგი თხოვნით მიმართავს რუსეთის გენერალს: „თქვენ თვითონ მიმართეთ ასეთივე რჩევით (ბატონიშვილებს - ე. ბ.), რაც სასარგებლოდ იქნება მათთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის“. ხოლო რაც შეეხება ბატონიშვილ იულონის მეფედ ხსენებას, ანტონ მეორე ადრესატის მიმართ გარკვევით მიუთითებდა: „მე არასდროს არ გამიგონია, რომ ჩემი ძმა იულონი, ან სხვა რომელიმე ჩემი ძმათაგანი, ან ჩემი ძმიშვილთაგანი მოეხსენებინათ მეფედ, თორემ თქვენი შეტყობინების გარეშე აუცილებლად ავკრძალავდი საქართველოს ეკლესიებში ამგვარ მოხსენიებას“. წერილის ბოლოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეპარვით აღიარებდა გენერლის წინაშე, რომ იულონის გამეფებას სთხოვდნენ იმპერატორს და იმედს გამოთქვამდა, რომ ეს თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩებოდა²¹.

ბატონიშვილების განზრახვის საწინააღმდეგოდ, პავლე პირველმა ჯერ კიდევ 1800 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლითაც ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად

გამოცხადდა. ცოტა მოვგიანებით, 1801 წლის 16 თებერვალს ხსენებული მანიფესტი სიონისა და ვანქის (თბილისში არსებული სომხური ეკლესია) ეკლესიებში წაიკითხეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსი მოხელეების მითითებით წირვა-ლოცვა ალავლინა თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა, ხოლო ანტონ მეორემ პარაკლისი გადაიხადა²². პავლე პირველის მანიფესტის გამოცხადებამ ხელ-ფეხი გაუხსნა საქართველოში მყოფ რუს მოხელეებს, რომ საქართველოს ეკლესიის საქმეებში აქტიური ჩარევა დაენწყოთ, რომელთა მიზანი იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა და მისი იმპერიის შემოსავლის წყაროდ გადაქცევა. ამ მიზნით 1801 წლის თებერვალში გენერალ-ლეიტენენტმა კ. კნორინგმა ანტონ მეორეს კატეგორიულად მოთხოვა: „საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ კეთილი ინება პქონდეს დანვრილებითი ცნობები საქართველოში სამღვდელოების შესახებ, რის გამოც უმორჩილესად გთხოვთ... მაცნობოთ, მე თქვენი კეთილგანწყობილი აზრი შემდეგ პუნქტებზე: 1) რამდენი საეპისკოპოსოა საქართველოში. ვინაა მათი მმართველი მღვდელმთავარი, ვინაა უსამღვდელოესი სასულიერო ხელმძღვანელები და როგორია მათი დამოკიდებულება მეფის ხელისუფლებისადმი. 2) თითოეული საეპისკოპოსოში რამდენია: მამათა და დედათა მონასტერი, სატაძრო და სამრევლო ეკლესია და რას იღებენ და საიდან იღებენ თავიანთ საარსებო შემოსავალს როგორც მღვდელმთავარი, ასევე მონასტრები და მსახურები? 3) მონასტრებისა და ეკლესიების სამართავად აქვთ თუ არა მღვდელმთავრებს თავისთან სასამართლო, როგორიცაა: დიკასტერია, სასულიერო მმართველობა ან სამონაზვნო. ვინ არიან იქ დამსწრენი და კანცელარიის სასულიერო და საერო მსახურნი, როგორი ჯამაგირები აქვთ მათ? 4) სასულიერო პირების სამოქალაქო საქმეებს სად არჩევთ, სასულიერო თუ სამოქალაქო სასამართლოში? 5) სასულიერო წოდების მინიჭების როგორი წესებია საქართველოში?

სასულიერო წოდების მინიჭება მოსახლეობის არჩევით ხდება თუ სასულიერო ხელმძღვანელობის მიერ? 6) არის თუ არა სამღვდელოებისათვის საეპისკოპოსოებში სასწავლებლები, თუ არის, სად იმყოფება, რას ასწავლიან იქ და რით არსებობენ?"²³. მოტანილი ვრცელი მასალა იმის დასტურია, თუ როგორ დაინტერსებას იჩენდა რუსეთის ცარიზმი საქართველოს ეკლესიის მიმართ. როგორც ვხედავთ, მათ აინტერესებდათ ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. სწორედ ამიტომ, ზემოთაღნიშნულ კითხვებზე რუსი გენერალი საქართველოს პატრიარქისაგან ითხოვდა დანვრილებითი ცნობების მიწოდებას. სამაგიეროდ, როგორც იგი ანტონ მეორეს წერდა: „ვბედავ დაგარწმუნოთ თქვენ, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობის წმინდა ნების აღსასრულებლად თქვენი ხელშეწყობისათვის მონარქის წყალობით მზრუნველობა გაგენევათ“²⁴.

ანტონ მეორემ იმავე წლის მარტში ზემოთ დასახელებულ კითხვებზე ვრცელი დასაბუთებული პასუხი გაუგზავნა კ. კნორინგს, არა იმიტომ, რომ იმპერატორისაგან რაიმე წყალობას ელოდა, არამედ მას სურდა, რუსეთის საიმპერატორო კარისათვის ეჩვენებინა საქართველოს ეკლესიის სახით თუ როგორი ძირძველი და უძველესი ტრადიციების მქონე ეკლესიასთან ჰქონდა საქმე. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავის მოხსენების დასაწყისში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის წარსულს. იგი წერს, რომ მეოთხე საუკუნეში წმიდანინო განმანათლებლისა და მირიან მეფის დროს განხორციელდა ქართული ეკლესიის ჩამოყალიბება. მათი მეშვეობით აიგო პირველი ეკლესიები, ხოლო საქართველოს ეკლესიის პირველი მთავარეპისკოპოსის კურთხევა მოხდა ანტიოქიის პატრიარქის ევსევის მიერ. შემდეგ ანტონ მეორე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის დროს, საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა ავტო-

კეფალია, რომელიც „...დამტკიცებულია მეფეთაგან, ბერძენ პატრიარქთაგან და მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ, რომ საქართველოს საპატრიარქო იყო თვითმპყრობელი ისევე, როგორც დღემდე ეს საპატრიარქო არის დამოუკიდებელი“. კათოლიკოს-პატრიარქი რუს მოხელეს მოახსენებს, რომ საქართველოს საერო ხელისუფლება ყოველთვის ზრუნავდა ეკლესიის ძლიერებისათვის, მათი ხელშეწყობით იგებოდა ეკლესია-მონასტრები. მეფეები და მთავრები ტაძრებს სწირავდნენ ყმა-გლეხებს და მიწებს, რითაც შეიქმნა სამონასტრო მამულის მდიდარი ფონდი, რომელიც ეკლესიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. შემდეგ ანტონ მეორე ჩამოთვლის ქართლ-კახეთის სამიტროპოლიტოებსა და საეპისკოპოსოებს, დანვრილებით აღწერს თითოეულ საეპისკოპოსოში არსებული მონასტრებისა და ეკლესიების რეალურ მდგომარეობას. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ მღვდელმთავრები, არქიმანდრიტები და მათზე დაქვემდებარებული სასულიერო და საერო პირები შემოსავალს იღებენ საეკლესიო გლეხებიდან და სამონასტრო მამულებიდან, ხოლო სამრევლოების სასულიერო პირები ცხოვრობენ თავიანთი მრევლის ხარჯზე და საკუთარი შრომით. სასულიერო ხარისხის მიღება კი ხდებოდა „შთამღმავლობით, ღირსებით და არჩევით“. ხოლო სასულიერო სამმართველო ანუ დიკასტერია, როგორც ანტონ მეორე წერს: „ჩვენი საპატრიარქო სახლის გარდა არსად არ არის, თუმცა ყველა საეპისკოპოსოში სასულიერო საქმეებს განაგებს თვით მღვდელმთავრები თავიანთი სამღვდელოების თანდასწრებით“. რაც შეეხება ეკლესიის როლს სწავლა-განათლების განვითარებაში, კათოლიკოსი რუს მთავარსარდალს მოახსენებს, რომ ყველა საეპისკოპოსოში ბავშვებს წერა-კითხვასა და გალობას ასწავლიან, ხოლო სასულიერო კადრების მომზადებაში დიდ როლს ასრულებდა მეფე ერეკლე მეორის დროს თბილისსა და თელავში გახსნილი სასულიერო სემინარიები, სადაც მოსწავლეები სამეფო ხარჯზე სწავლობდნენ

გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას და სხვა საგნებს²⁵.

ამ ვრცელი მოხსენების შემდეგ კ. კნორინგს კათოლიკოსისაგან გაეგზავნა დამატებითი ცნობა საქართველოს საპატრიარქოში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც დანვრილებით იყო მითითებული, თითოეულ საეპისკოპოსოზე რამდენი სოფელი იყო მიწერილი და ვინ იყვნენ მღვდელმთავრები. აგრეთვე აღრიცხული იყო საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა რაოდენობა²⁶.

ანტონ მეორის გარდა, კ. კნორინგმა წილკნის ეპისკოპოს იოანეს დაავალა შეეკრიბა მასალები თავის დაქვემდებარებულ ეპარქიაში ეკლესია-მონასტრების შესახებ, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო შემოსავლის წყაროებიც. იოანე ეპისკოპოსმა იმპერატორ პავლე პირველის სახელზე შეადგინა ვრცელი მოხსენება ქსნისა და არაგვის ხეობის ეკლესია-მონასტრების ფაქტიური მდგომარეობის შესახებ, სადაც დანვრილებით იყო საუბარი წილკნის ეპარქიის შემოსავალზე კონკრეტული ციფრების ჩვენებით²⁷. აღნიშნული მასალა, კ. კნორინგისადმი გადასაცემი, გაეგზავნა კათოლიკოს-პატრიარქს, მაგრამ რუსი მოხელე კმაყოფილი არ იყო ანტონ მეორის მიერ მიწოდებული ცნობებით, რადგან მასში ნაკლები ადგილი ეთმობოდა საქართველოს ეკლესიის ფინანსებს. ცარიზმს კი ეს უკანასკნელი აინტერესებდა.

მართალია, ზემოთაღნიშნული მასალები კ. კნორინგს წარედგინა, მაგრამ იგი უცნობი დარჩა იმპერატორ პავლე პირველისათვის, რომელიც 1801 წლის 11 მარტს შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა. ახალმა იმპერატორმა, ალექსანდრე პირველმა მამის მანიფესტი გააუქმა, არა იმიტომ, რომ უარი განაცხადა ქართლ-კახეთის დაპყრობაზე, არამედ მას სურდა ეს აქტი უფრო „ცივილიზებული“ ფორმით გადაეწყვიტა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფლობელობაში აღმოჩნდა. იმპერატორი ალექსა-

ნდრე პირველი მაშინდელი მსოფლიოს წინაშე რიხიანად აცხადებდა: „არა ძალების შემოსამატებლად, არა ანგარებისათვის, არა საზღვრების გაფართოების მიზნით... ვიტყვირთეთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მართვა. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებს ჩვენ ვისმინოთ ტანჯულთა ვედრება, ავარიდოთ ჭმუნვას, დავაარსოთ საქართველოში მმართველობა, რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების დამყარებას, მიანიჭებს მათ პირად და ქონებრივ უსაფრთხოებას და პიროვნების კანონიერ დაცვას“²⁸. >

თუ როგორ შეასრულა რუსეთის იმპერატორმა თავისი დანაპირები, ამას კარგად გვიჩვენებს რუსი მოხელეების აღვირაბსნილი მოქმედება საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში. განსაკუთრებით კი მათი აქტიური ბრძოლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის მიმართ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. ბუნებრივია სახელმწიფოებრიობა დაკარგულ ქვეყანაში მეფის რუსეთი ვერ მოითმენდა დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესიის არსებობას. ამიტომ იგი მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე ყოველგვარი ხერხების გამოყენებით ცდილობდა საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის მოსპობას.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეების ინფორმაციით კარგად იცოდა, რომ ანტონ მეორე, როგორც სულიერი მოძღვარი, როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა. თავისუფლება დაკარგული საქართველი ხალხი - როგორც დეკანოზი ვ. ჟმაკინი წერს - სიყვარულით უცქერდა კათოლიკოსს, როგორც უძველესი სამეფო გვარის უკანასკნელ ნაშთს“²⁹. იმპერატორმა ახლად დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობისა და მათი სულიერი მესაჭის გულის მოგების მიზნით 1801 წლის 31 დეკემბერს ანტონ მეორეს საგანგებო წერილით მიმართა, რომელშიც იგი თვალთმაქცურად კეთილშობილურ დამოკიდებულებას იჩენდა გაუქმებული სამეფოს სულიერი მოძღვრის მიმართ. „კეთილშობილე-

ბა და სიმშვიდე-წერდა რუსეთის იმპერატორი ანტონ მეორეს - ჩვენი ერთმორწმუნე ქართველი ხალხისა, განსაკუთრებული მზრუნველობისა და დაცვის ქვეშაა. ჩვენ ვთვლით, რომ სამართლიანია აღინიშნოს ჩვენი კეთილგანწყობილება საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. ჩვენი თქვენდამი პატივისცემის ნიშნად მიგვაჩნია თქვენი წოდების შესაფერისი ყურადღება მიგვექცია თქვენზე და გვებოძა თქვენთვის ნმ. ალექსანდრე ნეველის კავალრობა, რისი ნიშნები თქვენთვის გადმოსაცემად თან გაახლეთ და გადმოგეცემათ ჯვარი ბრილიანტებით და სერაფიმებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ თანამდებობას სულით და რწმენით ემსახურებით და იქნებით ქართველი ხალხისათვის მაგალითის მიმცემი³⁰.

ანტონ მეორე კარგად ერკვეოდა რუსეთის იმპერატორის ზრახვებში, მაგრამ მის ზემოთ აღნიშნული წერილს, როგორც თავდაცვის საშუალებას იგი ხშირად იყენებდა რუსი მოხელეების ძალმომრეობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მათ არ აშინებდათ, რადგან თვით ალექსანდრე პირველის მითითებით აქტიურად ერეოდნენ ეკლესიის საშინაო საქმეებში. რუსეთის მმართველი წრეების ასეთი პოზიცია საქართველოს ეკლესიის მიმართ აქარწყლებდა მათ შეხედულებას ერთმორწმუნეობის შესახებ, რომელსაც ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე უსვამდნენ ხაზს. ამ მიზანს ემსახურებოდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის სურვილი, საქართველოდან XVIII საუკუნის შუა ხანებში რუსეთში გატანილი ქართული სინძინდე - წმიდა ნინოს ჯვარი თავის კანონიერ მფლობელს დაბრუნებოდა. იმპერატორის მიერ შემუშავებული გეგმით ნმ. ნინოს ჯვარი 1802 წელს აპრილში დიდი ზარ-ზეიმით მოასვენეს თბილისში. საზეიმო ცერემონიალში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამღვდლოებამ კათოლიკოს-პატრიარქის ხელმძღვანელობით³¹. წმიდა ნინოს ჯვრის შემოსვლას საქართველოში მრავალი რუსი მოხელე მოჰყვა, რომელთა სურვილი იყო დაპყრობილი ქვეყნის მართვა.

(რუსმა მოხელეებმა, რომლებიც აქტიურობდნენ საქართველოს ეკლესიის გაუქმების საქმეში, სცადეს ანტონ მეორე და სხვა ქართველი მღვდელმთავრები გამოეყენებინათ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუკი მღვდელმთავრების საშუალებით მორწმუნე ქართველი ერი „ფიცითი აღქმას“ აღიარებდა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე, მაშინ მანიფესტის ცხოვრებაში გატარება გაადვილდებოდა. ამ მიზნით რუსმა მოხელეებმა იმპერატორის მითითებით 1802 წლის 12 აპრილს თბილისის საზოგადოებას თავი მოუყარეს სიონის საკათედრო ტაძარში და წაუკითხეს ალექსანდრე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შესახებ. მთავარმართებელ კ. კნორინგის ბრძანებით კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს შეკრებილი მოსახლეობა ძალით დააფიცებინეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ საზოგადოებას და სამღვდელოებას, როგორც ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „...არ ენებათ აღება მეფობისა თვისისა, სამღვდელოითა და კათალიკოზთა და მოარტყეს სიონისა ეკლესიისა გარს რუსეთის მხედრობა ზარბაზნებითურთ და აუწყეს: „უკუეთუ არ ჰყოფთ ფიცსა ერთგულებასა ზედა რუსეთისასა, ამოგწყვეტთ“³². შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი მოერიდა მოსალოდნელ გართულებებს და ეს ნაბიჯი იძულებით გადადგა. პეტერბურგში რუსულ ენაზე საგანგებოდ შედგენილი ფიცის ტექსტი ანტონ მეორის მითითებით სიონში შეკრებილი საზოგადოების წინაშე ქართულ ენაზე წაიკითხა არქიმანდრიტმა ტრიფილემ, რომელიც შემდეგი შინაარსისა იყო: „მე, ქვემო სახელდებული აღვსთქვავ და ვფუცავ ყოვლისა შემძლებელთა ღვთითა წინაშე წმინდისა სახარებისა მისისა მას შინა, ვითარმედ მნებავს და თანამაძს მათის იმპერატორობის დიდებულებისა ალექსანდრე პავლოვიჩისა თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა და მათის იმ-

პერატორობის დიდებულების ყოვლისა რუსეთისა საყდრისა მემკვიდრისა, რომელ იქმნების დანიშნულ, ერთგულად და პირუთვნელად ვემსახურო და დავემორჩილო ყოველსა შინა უმაღლესისა ნებისა მისსა, არა დავზოგო ცხოვრება თვისი ვიდრე უკანასკნელ წვეთად სისხლისა, ყოველი მოცემული და შემდგომად მოსაცემელი მათის დიდებულების დადგინებულისა ხელმწიფისაგან სჯულისდება ანუ განწესებაი მივიღო სათანადოითა მორჩილებითა, და მათცა უკიდურესისა გულისხმის ყოფისა, ძალისა და შემძლებობისამებრ გავუფრთხილდე და მივაქციო; აღდგინებულისა მათის იმპერატორობის დიდებულებისაგან მამულსა შინა ჩემსა განსვენება და მყუდროება უკიდურესისა შეძლებისამებრ ჩემისა დავიცვა და არავითარიმე მიწერ-მოწერა აღმრეველთადმი ჩემისა მამულისათა სწორედ ანუ საშუაველით, საიდუმლოდ ანუ ცხადად ანუ თუ ოდენ საქმით, არამედ მხილებითაც ანუ სხვითა რაითამე მოგონებითა, მოქმედებითა და განზრახვითა არა ვიქონიო, ხოლო ვნებასაცა მათის დიდებულების სარგებლისა, ანუ საზოგადოსა შესამატისასა, ვითარცა ვცნობ რა, არა თუ ოდენ ცხად ვჰყოფ აღმსტობითვე, არამედ ყოვლითა ზომითა გარე ვაქცევ და არა მიუშვებ და ესე ვითარითა ხატთა მოვაქცევ თავსა; ვითარცა სარწმუნოსა მათის იმპერატორობის დიდებულების ჩემზედ დადგინებულისა ხელმწიფისადმი და მშვიდისა მოქალაქისა კეთილშესაბამ და თანამდებ არს, და ვითარცა ჯერმიჩანს მე წინაშე ღვთისა და საშინელის მსჯავრისა მისისა მარადის მას შინა სიტყვის გება, რომელსა შინაცა მწე მეყოს მე უფალი ღმერთი სულიერად და ხორციელად. დასამტკიცებლად ფიცისა ამის ჩემისა ამბორს უყოფ სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისასა. ამინ³³.

აღნიშნული ფიცის ტექსტს რუსი მოხელეების მითითებით საერო პირებთან ერთად ხელი მოაწერა კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ მეორემ და ქართველმა მღვდელმთავრებმა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით სიონში შეკრებილი სა-

ზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა და დაფიცებაზე უარს აცხადებდა. მთავარმართებელ კ. კნორინგის ბრძანებით ისინი დააპატიმრეს³⁴. უკმაყოფილო ქართველმა დიდებულებმა გენერლის მოქმედება ავანტიურად მიიჩნიეს და იმპერატორ ალექსანდრე პირველს გაუგზავნეს საჩივარი მანიფესტის გამოცხადებისას გამოყენებული ძალადობის გამო³⁵. მაგრამ პეტერბურგის საიმპერატორო კარი არ დაინეტერესებულა მათი სამართლიანობის გარკვევით.

ფიცის ტექსტზე ხელმოწერის მიუხედავად ანტონ მეორე ქართლ-კახეთის გაუქმებით უკმაყოფილო იყო, მაგრამ აშკარად ვერ გამოხატავდა თავის პოზიციას, რადგან იცოდა, რომ ამით რუსეთის ხელისუფალნი დააჩქარებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. ამიტომ იყო, რომ იგი რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ფარულად უჭერდა მხარს. მართალია, მას მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ თანაგრძნობით ეკიდებოდა 1802 წლის კელმენჩურის შეთქმულებას, 1804 წლის მთიულეთის და 1812 წლის კახეთის აჯანყებას. ზოგიერთი სასულიერო პირი კი ზემოთ აღნიშნულ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. სხვათა შორის, რუსი მოხელეები თავიანთი აგენტურის საშუალებით ინფორმირებული იყვნენ ანტონ კათოლიკოსის ფარული ზრახვების შესახებ. კელმენჩურის შეთქმულებასთან დაკავშირებით 1802 წლის 29 ივნისს ი. ლაზარევი საიდუმლოდ ატყობინებდა კ. კნორინგს, რომ შეთქმულებთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა კათოლიკოსი. იგივე ი. ლაზარევი 1803 წლის 3 ოქტომბერს კ. კნორინგს წერს, რომ დედოფალ დარეჯანთან რუსეთის მოწინააღმდეგეთა შეკრებებს ანტონ მეორე თურმე ხშირად ესწრებოდა³⁶. ამ ცნობების მიუხედავად რუსი მოხელეები ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავდნენ კათალიკოსის მიმართ, რადგან არ სურდათ ისედაც დაძაბული პოლიტი-

კური ვითარების გართულება. ასე რომ, საქართველოს ეკლესია და მისი მწყემსმთავარი არასოდეს შერიგებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და მისი აღდგენისათვის შეძლებისდაგვარად კიდევ იბრძოდა.

კათოლიკოს-პატრიარქის კომპრომისული ქცევის მიუხედავად, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე რუსი მოხელეები ყოველგვარი მორიდების გარეშე ერეოდნენ საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში. ახალი მმართველობის შემოღების შემდეგ მთავარმართველმა კ. კნორინგმა 1802 წლის ზაფხულში ანტონ მეორეს ხელმეორედ მოსთხოვა დაწვრილებითი მასალები საპატრიარქოს სტრუქტურისა და კათოლიკოსის წლიური შემოსავლის შესახებ. ანტონ მეორემ მთავარმართველის ეს მოთხოვნა შეასრულა. გამოიჩინა, რომ საპატრიარქოს წლიური შემოსავალი შეადგენდა 2900 კოდ პურს, 395 საპალნე ღვინოს და 3980 მანეთს³⁷. ბუნებრივია, რომ ასეთ დიდ შემოსავალს რუსეთის იმპერატორი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს არ დაუტოვებდა. რუსეთის ცარიზმის სურვილი იყო, საქართველოს ეკლესია რუსეთის უწმიდესი სინოდის მეშვეობით ემართათ. ამ მიზნის განსახორციელებლად იმპერიულ ძალებს სურდათ საქართველოს ეკლესიის რეოორგანიზაცია ისე მოეხდინათ, როგორც რუსეთში იყო და იგი თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

რუსეთში, ჯერ კიდევ პეტრე პირველმა 1721 წელს გააუქმა პატრიარქის თანამდებობა და მის ნაცვლად ეკლესიის სამართავად დაანესა უწმიდესი სინოდის მმართველობა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა საერო პირი ობერპროკურორი. ამ რეფორმით მან ეკლესია საერო ინტერესებს დაუმორჩილა, ხოლო ეკატერინე მეორემ 1784 წელს საეკლესიო მამულები და მთელი მათი უძრავ-მოძრავი ქონება სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა. ამიერიდან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საერო ხელისუფალთა ნება-სურვილის აღმ-

სრულებული იყო. სწორედ ასეთი მმართველი ორგანოსათვის სურდა რუსეთის ხელისუფალთ ქართული მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის დაქვემდებარება. ამიტომ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისათვის ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისაგან ზემოთ აღნიშნული ცნობების მიწოდებას. ანტონ მეორე კარგად გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს. ამის გამო იგი ცდილობდა, გარეგნულად კარგი ურთიერთობა ჰქონოდა მაშინდელი საქართველოს მმართველ წრეებთან და სურდა ასეთი „კეთილგანწყობილება“ ეკლესიის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა, მაგრამ რეაქციული ძალები არ ისვენებდნენ, რადგან ისინი საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარებას სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდნენ³⁸.

ახალი მთავარმართველი პავლე ციციანოვი (1802-1806), რომელიც წარმოშობით ქართველი იყო, რუსეთის პოლიტიკას ატარებდა საქართველოში. მაგრამ იგი ზოგჯერ ამ ზრახვას „კეთილშობილური“ საქციელით ნიღბავდა. ჩამოსვლისთანავე მან ადგილობრივი სამღვდელოების გულისმოგების მიზნით ითავა 1802 წლის 16 ნოემბერს ხანძრის შედეგად დაზიანებული სიონის ტაძრისა და ეკლესიის 10 სავაჭრო დუქნის აღდგენა. მისი შუამდგომლობით იმპერატორმა 10000 მანეთი გამოყო, რითაც შეკეთდა სიონის ტაძარი და აღდგა დამწვარი სავაჭრო დუქნები³⁹. მაგრამ, როცა ანტონ მეორემ მოინდომა შიო მღვიმის მონასტრის განახლება და მატერიალური დახმარებისათვის ა. ციციანოვს მიმართა, ამ უკანასკნელმა პეტერბურგში გრაფ კოჩუბეის შეატყობინა, რომ აღნიშნული მონასტრის შესაკეთებლად დიდძალი თანხა არის საჭირო, რაც ხაზინას მძიმე ტვირთად დააწვება, საქართველოსთვის კი მას არავითარი ღირებულება არ გააჩნიაო⁴⁰. მან აგრეთვე უარი განუცხადა ქართველ მწყემსმთავარს ქართული საეკლესიო საგალობლების სრულყოფისათვის შესაბამისი გასამრჯელო გაღებულისათვის სახელმწიფოს მიერ. ამას აკეთებდა პი-

როვნება, რომელსაც ყოველგვარი ეროვნული თვითშეგნება დაკარგული ჰქონდა და მრავალსაუკუნოვან დახვეწილ ქართულ საეკლესიო საგალობლებს თხის პეტელს (კიკინს) ამსგავსებდა, ხოლო ანტონ მეორეს ურჩევდა, მის ნაცვლად ნირვისას კიევის ნოტები გამოეყენებინა⁴¹.

პ. ციციანოვმა, როგორც საქართველოს მთავარმართებელმა, განიზრახა საერო საქმეებთან ერთად ეკლესიის მმართველობაც თავის გავლენის სფეროში მოექცია. ამ მიზნით იგი უნდობლად უყურებდა ანტონ მეორეს და მის ყოველ მოქმედებას კონტროლს უწევდა. 1803 წლის გაზაფხულზე თბილისში შავი ჭირი მძვინვარებდა. კათოლიკოს-პატრიარქს სურდა მცხეთაში წასულიყო საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით, მტრებმა კი ხმა დაუყარეს, ეპიდემიის გამო მცხეთაში გახიზვნას აპირებსო. ამ უმნიშვნელო ფაქტთან დაკავშირებით მთავარმართებელმა მის დაუკითხავად წასასვლელად გამზადებულ ანტონ მეორეს 1803 წლის 15 ივნისს მუქარის წერილით მიმართა: „ფეხი არ გაადგა თორემ იმპერატორთან გიჩივლებო“⁴². როგორც ვხედავთ, პ. ციციანოვი მიზეზებს ეძებდა საქართველოს ეკლესიის მამამთავრის დამორჩილებისათვის. ეს უკანასკნელი ფრთხილად მოქმედებდა, რომ საბაბის საფუძველი არ მიეცა განრისხებული მთავარმართებლისათვის. მაგრამ შეუძლებელი იყო ასე დაძაბული ცხოვრება. როცა პ. ციციანოვმა ბაგრატიონების გადასახლება დაიწყო რუსეთში, ანტონ მეორემ აშკარად მხარი დაუჭირა თავისი დედის დარეჯან დედოფლის მოთხოვნას - დაეტოვებინათ იგი თავის სამშობლოში. მთავარმართებელმა, როცა იგრძნო ანტონ მეორის ასეთი განწყობილება, მას ბრალი დასდო რუსეთის სანინაალმდეგო საქმიანობაში, რითაც კათოლიკოსმა ხელი აიღო თავისი დედის კანონიერი მოთხოვნის დაცვაზე.

რუსეთის რეაქციული ძალები სხვა ხერხებითაც ებრძოდნენ ანტონ მეორეს. კათოლიკოს-პატრიარქის იზოლაციისა და საქართველოს ეკლესიის მმართველობაში არეუ-დარევის

შეტანის მიზნით მათ ქართველ სასულიერო პირებს შორის მტრობისა და შუღლის ჩამოგდება დაიწყეს. ამ მიზნით საქართველოში მოღვაწე რუსმა მოხელეებმა ქრთამითა და სხვა საშუალებებით თავის მხარეზე გადაიყვანეს საეკლესიო პირების გარკვეული ნაწილი და ისინი ანტონ მეორეს დაუპირისპირეს. მათი ვარაუდით, ამ გზით გაადვილდებოდა კათოლიკოს-პატრიარქის ჩამოშორება ეკლესიის მმართველობისაგან. თავიანთი შავბნელი ზრახვების განხორციელებისათვის რუსეთის რეაქციულმა ძალებმა გამოიყენეს ქსნის ერისთავის შთამომავალი ვარლამი, რომელიც 1808 წელს რუსეთიდან ეპისკოპოსის ხარისხით დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საქართველოს ეკლესიის საქმიანობაში. მასზე რუსი მოხელეები დიდ იმედებს ამყარებდნენ. ვარლამ მთავარეპისკოპოსის მეშვეობით მათ სურდათ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია, რადგან იგი, როგორც რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრი, კარგად ერკვეოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურაში. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცარიზმმა სწორედ ვარლამ მთავარეპისკოპოსის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე მოახდინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. მართალია, რუს მოხელეებს სურდათ ვარლამი კათოლიკოს-პატრიარქისთვის დაეპირისპირებინათ, მაგრამ იგი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრისადმი ცუდად არ იყო განწყობილი. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მან ანტონ მეორის აღსაყდრებასთან დაკავშირებით ვრცელი სიტყვა წარმოთქვა, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ იგი კათოლიკოს-პატრიარქს პატივისცემით ეპყრობოდა და მასთან ურთიერთობაში დიდ სიფრთხილეს იჩენდა.

სამაგიეროდ რუსმა ჩინოვნიკებმა ანტონ კათალიკოს-პატრიარქის მიმართ მტრულად განწყვეს ტფილელი მიტროპოლიტი არსენი, რომელიც წარმოშობით ბაგრატიონი იყო, თუმცა იგი ნადიბაიძის გვარს ატარებდა. არსენი იყო ვახტანგ მეექვსის ძმის იესეს უკანონო შვილის აბდულა-ბეგის (არჩი-

ლის) შვილი⁴³. როგორც ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი, ის ოპოზიციაში ედგა თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეფეს, მაგრამ მათ წინააღმდეგ აქტიურად არ გამოდიოდა. XVIII საუკუნის 90-იან წლებში ანტონ მეორის წარდგინებით არსენოტივლელი მიტროპოლიტად დაინიშნა და კარგადაც წარმართავდა თავის საქმიანობას. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ იგი რუსეთის მთავრობას ერთგულებას ეფიცებოდა. ეს უკანასკნელი კი არსენ მიტროპოლიტს დიდად ნყალობდა, „საფიქრებელია, უფრო ანტონ მეორის პარალიზაციის მიზნით, მით უფრო, რომ ისიც სამეფო საგვარეულოს ნევრი იყო“⁴⁴. მისი გულის მოგების მიზნით პ. ციციანოვის დროს იგი დაჯილდოებულ იქნა წმიდა ანას პრველი ხარისხის ორდენით, ხოლო ი. გუდოვიჩის (1806-1809) მმართველობის დროს, 1807 წელს მას ებოძა თეთრი ბარტყულა ბრილიანტის ძვირფასი ჯვრით შემკული.

რუსი მოხელეების ყურადღებით გათამამებული არსენ მიტროპოლიტი საკმაოდ მყარად გარძნობდა თავს, რომელიც დავით ბატონიშვილის სიტყვებით „თავხედი, ამპარტავანი და გულფიცხი“ იყო. ასეთი თვისების მქონე პიროვნება ქართველი სასულიერო პირებს შორის ავტორიტეტს არ ცნობდა და ხშირად ეკლესიაში აყალმაყალისა და დებოშის ამტეხი იყო. პირველად ასეთი განწყობილება არსენ მიტროპოლიტმა გამოავლინა 1803 წლის 27 დეკემბერს წილკნელი ეპისკოპოსის იოანეს დაკრძალვის დღეს გამართულ პანაშვიდზე, როდესაც მან ადგილის დაკავების გამო დავა აუტეხა დეკანოზ სოლომონს. დავა ჩხუბში და აყალმაყალში გადაიზარდა. შეურაცხყოფილი დეკანოზი სოლომონი ეკლესიიდან წავიდა. იოანე ეპისკოპოსის დაკრძალვის შემდეგ, როდესაც არსენ მიტროპოლიტი თანმხლებ პირებთან ერთად სახლში ბრუნდებოდა, გზაზე მათ შეიარაღებული პირები დაესხნენ. თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი აღმოჩნდა დეკანოზ სოლომონის ვაჟი, რომელიც ანტონ მეორის, დარეჯან და მარიამ დედოფლის მოსა-

მსახურე იყო. არსენ მიტროპოლიტმა მომხდარი ფაქტი მუქ ფერებში დაუხატა საქართველოს მმართველ პეტრე კოვალენსკის და თან დასძინა, რომ დაკავებული დამნაშავე, დეკანოზ სოლომონის შვილი, ანტონ კათალიკოსთან დაახლოებული პირი იყო. პ. კოვალენსკიმ ყოველივე მომხდარი მთავარმართებელ პ. ციციანოვს აცნობა. მართალია, პატიმრის დაკითხვით გაირკვა, რომ საქართველოს მწყემსმთავარს მომხდარ ფაქტთან არაფერი აკავშირებდა, მაგრამ იგი რუსეთის რეაქციულმა ძალებმა კარგად გამოიყენეს ანტონ მეორის ავტორიტეტის შელახვისათვის. თვით პ. ციციანოვის უნდობლობაც გაიზარდა კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ, ხოლო ზოგიერთი სასულიერო პირი ანტონ მეორეს ეჭვის თვალით უყურებდა. მომხდარი ამბების შემდეგ პ. ციციანოვი აქტიურად ერეოდა საქართველოს ეკლესიის საქმეებში. იგი ანტონ მეორეს უფლებას არ აძლევდა მასთან შეთანხმების გარეშე გადაეწყვიტა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი. რუს მოხელეთა განზრახვის მიუხედავად, კათოლიკოს-პატრიარქი არ აპირებდა საეკლესიო საქმეების საერო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას და ცდილობდა, დამოუკიდებლად წარემართა თავისი მოღვაწეობა. ამ ნიადაგზე საერო და სასულიერო წრეებს შორის დამოკიდებულება თანდათან მძიმდებოდა. თუმცა უმეტეს შემთხვევაში ანტონ კათოლიკოსი იძულებული იყო ანგარიში გაენიხა რუს მოხელეთა მოთხოვნებისათვის. როცა 1804 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი ექვთიმე, მის ნაცვლად ეპისკოპოს სტეფანე რუსთველის წარდგინებით ანტონ მეორემ მთავარმართებელთან შეთანხმებლად დანიშნა დომენტი და თან წერილით აცნობა პ. ციციანოვს: „უბრძანე ისპრავნიკს გლექსნი და მამულები ჩამაბაროსო“⁴⁵. საქართველოს მთავარმართებელი აღშფოთდა ეკლესიის მწყემსმთავრის მოქმედებით. მისი გადაწყვეტილება უკანონოდ ჩათვალა და საპასუხო წერილში მკაცრი ტონით დაგმო კათოლიკოსის თვითნებობა. „უნინ - წერდა იგი კათო-

ლიკოს-პატრიარქს - საერო მთავრობას ეკითხებოდა ხოლმე და ეხლა კი მე არა მკითხეთ რა წინამძღვრის დანიშვნაზე, შემწეობას კი მთხოვო". შემდეგ იგი აცნობებს, რომ „თქვენი წერილის მიღებამდე მივიღე ნიქოზელი ათანასეს ხოვნა - ეპარქიის მოვლა არ შემიძლია სიბერის გამო. მომეცით ნათლისმცემლის წინამძღვრობა და ან სიკვდილამდე 12 თუმანიო. ამიტომ ათანასე დანიშნეთ წინამძღვრად და დომენტი თანაშემნედ დაუნიშნეთ და წელიწადში 12 თუმანი ეძლეოდეს სიკვდილამდე". თუკი კათალიკოს-პატრიარქი არ მიიღებდა მთავარმართებლის წინადადებას, მაშინ ეს უკანასკნელი იმუქრებოდა, ყოველივე „...მაღე მაცნობე, რომ იმპერატორს ვაცნობო ამისთანა არეე-დარევა სასულიერო გამგეობაშიო“⁴⁶. ანტონ კათალიკოსი მოერიდა გართულებას, მითუმეტეს, რომ მთავარმართებელი იმპერატორთან ჩივილით იმუქრებოდა და იძულებული შეიქნა, მხარი დაეჭირა პ. ციციანოვის კანდიდატურისათვის.

საქართველოს მთავარმართებლის აქტიური ჩარევა საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში სხვა მხრივათაც დასტურდება. იგი კათალიკოს-პატრიარქს უფლებას არ აძლევდა თავისუფალ ეპარქიებში ახალი ეპისკოპოსი აერჩია, როცა ნიქოზის საეპისკოპოსოს ადგილი გამოთავისუფლდა, მან ურცხვად მისწერა ანტონ კათალიკოსს, რომ იგი მცხეთის სამთავროს მონასტრისათვის მიეწერათ. ეპარქიების შემცირებით პ. ციციანოვი თანდათანობით ამზადებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი 1804 წლის 24 აპრილს იმპერატორ ალექსანდრე პირველს წერდა: „თავისი ნებით ეპისკოპოსთა გადადგომა, ჩემი აზრით, საუკეთესო საშუალებაა ეპარქიების გაუქმებისათვის და სხვებზედ მიწერაო“. იგი თავს იწონებდა იმპერატორის წინაშე: „ამ გზით სამი ეპარქია გავაუქმე და სამი კიდევ დამრჩაო“⁴⁷. პ. ციციანოვის ასეთი მოღვაწეობა რუსეთის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობდა და ბუ-

ნებრივია, მისი ყოველი მოქმედება ცარისტული ხელისუფლებისათვის მოსაწონი იყო, მაგრამ ხალხის უკმაყოფილების შიშმა აიძულა ისინი ამ ნაბიჯზე არ წასულიყვნენ და მთავართებელს ატყობინებდნენ: „...ერიდე უსიამოვნებას და აურზაურს ყველასთანო“⁴⁸. ასე თანდათან იძაბებოდა ურთიერთობა საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანტონ კათოლიკოს-პატრიარქის თანამზრახველთა წრე თანდათან ვიწროვდებოდა. პ. ციციანოვმა შეძლო მისი ახლობლების რუსეთში გადასახლება, რასაც იგი ტრაგიკულად განიცდიდა. ანტონ მეორე ძალზე დაამწუხრა დედის - დარეჯან დედოფლის გარდაცვალება, რომელმაც 1807 წლის დასაწყისში პეტერბურგში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. დედოფალთან მყოფი რუსის მიტროპოლიტი იონა დედის გარდაცვალების გამო სამძიმრის წერილს უგზავნის კათოლიკოს-პატრიარქს და თან სულიერი სიმტკიცისაკენ მოუწოდებს⁴⁹.

ი. გუდოვიჩის (1806-1809) მმართველობის დროს რუსეთის ხელისუფლებამ ქმედითი ღონისძიებები განახორციელა საქართველოს ეკლესიის მიმართ. საეკლესიო მამულების მითვისების მიზნით მან ყურადღება მიაპყრო სოფლის დაბალი სამღვდელოების სოციალურ მდგომარეობას. 1807 წლის 7 ივლისის ბრძანებით იმპერატორმა ისინი გაათავისუფლა თავადაზნაურთა ყმობისაგან და სხვა ბეგარა-გადასახადებისაგან. რა თქმა უნდა, სასულიერო პირთა მიმართ გადადგმული ეს ნაბიჯი კეთილშობილურად გამოიყურებოდა, მაგრამ ცარიზმს მისი განხორციელებით რამდენიმე საკითხის მოგვარება სურდა: ჯერ ერთი, ყმობისაგან გაათავისუფლებული სოფლის დაბალი სამღვდელოება სახაზინო უწყებაში მოექცა და მეორეც, ამით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების გზაზე, თუმცა რუსეთის მთავრობა თავის ამ ზრახვებს ნიღბავდა იმ მოტივით, რომ თითქოს ყველაფერს „ღვთისა და ეკლესიის პატივისცემით“

ისტორიულ ვითარებაში აუცილებელი იყო ეკლესიის მმართველობის სტრუქტურის შეცვლა, ვინაიდან სამოქალაქო მმართველობაში მომხდარი ცვლილებანი ეკლესიაზეც გარკვეულ გავლენას ახდენდა და ხშირად გაუგებრობას იწვევდა. აქედან გამომდინარე, იგი ფიქრობდა, თუკი რუსეთის მმართველი წრეები ხელს არ ახლებდნენ ეკლესიის დამოუკიდებლობას, შესაძლებელი იყო საქართველოს ეკლესიაშიც გარკვეული ცვლილება მომხდარიყო. ამ მიზნით იგი იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო მთავარმართებლის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას.

კათოლიკოს-პატრიარქთან მოლაპარაკების შემდეგ ალ. ტორმასოვმა 1809 წლის 6 ივნისს აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენება გაუგზავნა რუსეთის უწმინდეს სინოდის ობერპროკურორს ალექსანდრე გოლიცინს. მთავარმართებელი მუქ ფერებში ხატავდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას. იგი უწმიდეს სინოდს ატყობინებდა, რომ მმართველობის მხრივ ქართულ ეკლესიაში სრული ქაოსი იყო. ამის საფუძველზე მთავარმართებელი ასკვნია: „მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში სამღვდულოება რჩება სრულიად მივიწყებულ მდგმლარეობაში“⁵¹. როგორც მოხსენებიდან ჩანს, ალ. ტორმასოვის და მისი წინამორბედი რუსი მოხელეების მცდელობის მიუხედავად, დაუდგენელი იყო, რამდენი ეკლესია-მონასტერი იყო საქართველოში მოქმედი და რამდენი სასულიერო პირი ემსახურებოდა მას. აგრეთვე მათთვის უცნობი ჩანდა საქართველოს ეკლესიის შემოსავალ-გასავლის რაოდენობაც. ალ. ტორმასოვი ობერპროკურორს აცნობებს, რომ სასულიერო პირების რაოდენობის ზრდას საქართველოში ხელს უწყობდა ეპარქიის ეპისკოპოსთა თვითნებობა, რომლებიც საეკლესიო მმართველობის დაუკითხავად, თავიანთი სურვილისამებრ ახდენდნენ ცალკეულ პირთა სასულიერო ხარისხში აყვანას. საეკლესიო პირების შევსება, როგორც ალ. ტორმასოვი იტყობინება, ძირითადად გლახთა წრიდან

ხდებოდა, რომლებიც სასულიერო წოდებაში გადასვლის შემდეგ თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო გადასახადისაგან. იგი რუსეთის უწმიდესი სინოდის წინაშე წინადადებას აყენებს, რომ შეიქმნას ისეთი მმართველობა, რომელიც კონტროლს გაუწევს საეკლესიო პირთა ხარისხში აყვანას და მათ რაოდენობას მინიმუმამდე დაიყვანს. თავის მხრივ, „სამღვდელო პირთა შემცირება - მისი აზრით - სარგებლობას მოუტანს ეკლესიას, რამეთუ ის თანხა, რომელიც იხარჯება მოჭარბებული სამღვდელოების შესანახად მოხმარდება საერთო სასულიერო საქმეს“⁵².

აღ. ტორმასოვი შემდეგ თავის შეხედულებას გამოთქვამს ქართველ სასულიერო პირთა განათლების შესახებ. აქ მისი ფანტაზია ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ქართველ სამღვდელოებას იგი წარმოგვიდგენს გაუნათლებლად, რომელთა დიდმა ნაწილმა თურმე საერთოდ არ იცოდა წერა-კითხვა. შეუძლებელია ვენდოთ მთავარმართებლის აღნიშნულ შეხედულებას, რადგან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ერეკლე მეორისა და კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველის მეცადინეობით თელავსა და თბილისში გახსნილმა სასულიერო სემინარიებმა მრავალმხრივ განათლებული კადრები გამოუშვეს. მართალია, XIX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად აღნიშნული სემინარიები აღარ მოქმედებდნენ, მაგრამ ამ პერიოდში ეკლესიაში ძირითადად აღნიშნული სასწავლებლების კურსდამთავრებულები მოღვაწეობდნენ. ასე რომ, საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახურების ძირითადი ნაწილი საკმაოდ განათლებული ჩანდა. აგრეთვე არამართებული იყო მთავარმართებლის ინფორმაცია რუსეთის უწმიდესი სინოდის წინაშე, რომ თითქოს საქართველოს ეკლესიაში არ არსებობდა არავითარი განსაზღვრული წესები ბერად აღკვეცისა ან თეთრსამღვდელოებად კურთხევისა, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს ის ფაქტიც, რომ ეკლესიებში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხდე-

ბოდა სასულიერო პირების ხელდასხმა და ხშირად ხელდას-
ხმული სასულიერო პირები არცერთ ეკლესიაზე არ იყვნენ მი-
წერილი. ასე რომ, ალ. ტორმასოვის შიში - თუკი მმართველი
ხელისუფლება რაიმე ღონისძიებას არ იხმარდა არსებული
პროცესის შესაჩერებლად, შესაძლებელი იყო მოსახლეობის
უდიდესი ნაწილი სასულიერო წოდებად გადაქცეულიყო - უს-
აფუძვლოა. ალ. ტორმასოვი დანვრილებით საუბრობს საქარ-
თველოს ეკლესიის სიღარიბის შესახებ და იქვე დასძენს, რომ
ამ სიღარიბის მიუხედავად ეკლესიის მწმუმსმთავარი საკმაო
სოლიდურ შემოსავალს ღებულობდა მისთვის განკუთვნილი
საეკლესიო გლეხობიდან, ზვრებიდან, საბაჟოდან და სავაჭრო
დუქნებიდან. წლიურად კათალიკოსის შემოსავალი რუსი მო-
ხელეების გამოანგარიშებით შეადგენდა დაახლოებით 4000
მანეთს⁵³. მაგრამ 1809 წელს რუსეთის მმართველობამ კათო-
ლიკოს-პატრიარქს ჩამოართვა შემოსავლის აღნიშნული წყა-
როები. სანაცვლოდ აძლევდნენ 2300 მანეთს წელიწადში. შე-
მდგომ სამოქალაქო ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა კა-
თოლიკოსის მიერ მიღებული ყველა ეს თანხა ყოველწლიური
ხელფასით შეეცვალა⁵⁴.

გაზვიადებული ინფორმაციის მინოდებით მთავარმარ-
თებელს სურდა რუსეთის სამეფო ხელისუფლებას დაეჩქარე-
ბინა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხი. ხო-
ლო მოჭარბებული ამპარტავნობის წყურვილით შეპყრობილი
ალ. ტორმასოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ იგი ყოფილიყო
მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალი-
ის გაუქმების შემოქმედი. მას მიაჩნდა, რომ ეკლესიის რეორ-
განიზაცია იქნებოდა პირველი წინგადადგმული ნაბიჯი ავ-
ტოკეფალიის გაუქმებისათვის.

ალ. ტორმასოვი რუსეთის უწმიდესი სინოდის წინაშე წი-
ნადადებას აყენებდა, რომ განათლებული სასულიერო პირთა
მოსამზადებლად აუცილებელი იყო თბილისში სასულიერო
სემინარია გახსნილიყო, სადაც სწავლა-განათლება, რა თქმა

უნდა, რუსულ ენაზე უდა ყოფილიყო. აქედან ნათლად ჩანს თუ რატომ არ აკმაყოფილებდა ქართველი სასულიერო პირთა მომზადების დონე. იგი, როგორც იმპერიული რუსეთის მსახური, რუსული სასულიერო სემინარიის დაარსებით ცდილობდა ისეთი დანესებულების შექმნას, რომელიც ცარიზმის ერთგულ სასულიერო პირებს მოამზადებდა, რაც თავის მხრივ, ქართული ეროვნული სულის დაქვეითებას და მის გაქრობას გამოიწვევდა.

ასეთი მიძიმე სურათის დახატვის შემდეგ საქართველოს მთავარმართებელი ობერპროკურორს სთხოვს, უშუამდგომლოს იმპერატორის წინაშე, რათა მისი ნებართვით საქართველოს ეკლესიაში დაარსდეს სასულიერო დიკასტერია ისეთივე ფორმით, როგორც არსებობდა იგი რუსეთის უწმიდეს სინოდთან. ამასთან იგი სთავაზობს თავის წინადადებას, რომ სასულიერო დიკასტერია დაექვემდებაროს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს ანტონ მეორეს. მისი აზრით, დიკასტერიის ხელმძღვანელს უნდა ჰყოლოდა მოადგილე. „დიდი მნიშვნელობა ექნება - წერდა იგი - თუ ამ ადგილს (მოადგილის - ე. ბ.) დაიკავებს რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრი, განათლებული არქიეპისკოპოსი ვარლამი, რომელიც იმყოფებოდა რუსეთში და ერკვევა საქმის არსში“⁵⁵. მისი აზრით, სასულიერო დიკასტერიაში ხელმძღვანელის და მისი მოადგილის გარდა კიდევ შეიძლებოდა სამი სასულიერო პირი ყოფილიყო. აუცილებელი იყო საქმის წარმოებისათვის მთარგმნელიც. შემდეგ ალ. ტორმასოვი სასულიერო დიკასტერიისათვის მოითხოვს შესაფერის შენობას და კანცელარიის თანამშრომლებისათვის პირველ ეტაპზე 5000 მანეთის გაღებას, ხოლო როცა საეკლესიო შემოსავალი დადგინდებოდა დიკასტერიის მომსახურეთა ხელფასი მისი ბიუჯეტიდან გაიცემოდა. მთავარმართებელი ობერპროკურორს აცნობებს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის განზრახვას, რადგან მისი ადგილსამყოფელი თბილისშია, მას აუცილებლად არ მიაჩნია დედაქალა-

ქში არსებობდეს მეორე საეპისკოპოსო და ამის გამო იგი მოითხოვს თბილისის სამიტროპოლიტოს გაუქმებას. ანტონ მეორის აზრით, თბილისის სამიტროპოლიტოს გაუქმების შემდეგ თბილისის ყოფილი ეპარქია, კარგი იქნებოდა, თუკი გადაეცემოდა ალექსი პეტრიევს (პეტრიაშვილს) არქიმანდრიტის ხარისხში აყვანის შემდეგ⁵⁶. თავის მხრივ, ალ. ტორმასოვიც ემხრობოდა კათოლიკოს-პატრიარქის კანდიდატურას, რადგან ალექსი პეტრიევი რუსული პოლიტიკის გამტარებლად მიაჩნდა საქართველოში. ამავე მიზეზით მთავარმართებელი ითხოვდა, ალექსი პეტრიაშვილის, რომელმაც კარგად იცოდა რუსული და ქართული ენები, ჩაბარებოდა სასულიერო დიკასტერიის საქმის მონესრიგება, რომელსაც იგი კარგად გაართმევდა თავს. ალ. ტორმასოვი არ ცდებოდა ა. პეტრიაშვილის შეფასებში. იგი, როგორც განათლებული პიროვნება, კარგად ერკვეოდა საერო და სასულიერო მმართველობაში. მას დამთავრებული ჰქონდა ასტრახანის სასულიერო სემინარია, ერთხანს ყიზლარში მღვდლად მსახურობდა, ხოლო რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ პ. ციციანოვმა 1803 წელს დეკანოზის ხარისხით დანიშნა თბილისის ახლადდაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად. როგორც რუსული ენის კარგი მცოდნე, იგი თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა. რუსი მოხელეები მას დიდად წყალობდნენ და ცდილობდნენ გამოეყენებინათ თავიანთი მიზნებისათვის. ალექსი პეტრიაშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ სასულიერო პირთა შორის. თავის მხრივ, ანტონ მეორეც დიდად აფასებდა⁵⁷. ალ. ტორმასოვის აზრით, სწორედ ასეთი პიროვნების ჩართვა სასულიერო დიკასტერიის მუშაობაში ხელს შეუწყობდა „სამღვდელოების შორის წესრიგის დამყარებას“, რომელიც თავისი ავტორიტეტის გამო მათთვის მაგალითის მიმცემი იქნებოდა⁵⁸.

ალ. ტორმასოვი არ დაელოდა პეტერბურგიდან ობერპროკურორ ალ. გოლიცინის პასუხს და იმავე 1809 წლის 15

ივლისს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს მოახსენა თავისი აზრი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ. იგი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს აცნობებდა, რომ ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მათი შემოსავლების აღრიცხვისა და სასულიერო პირთა რაოდენობის დადგენისათვის, აგრეთვე სამრევლოების მონესრიგებისათვის აუცილებელია თბილისში დაარსდეს დიკასტერია. რუსი მოხელე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მოუწოდებდა შეედგინა სასულიერო კომისია, რომელიც დაადგენდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და მათში მოსამსახურე სასულიერო პირების რაოდენობას. ამასთან იგი კათოლიკოს-პატრიარქს ურჩევდა, არ დარღვეულიყო იმპერატორის 1808 წლის 7 ივლისის ბრძანებულება, რომლითაც იკრძალებოდა სასულიერო პირთა ხელდასხმა: თუკი ამის აუცილებლობა იყო, მაშინ იგი უნდა მომხდარიყო საიმპერატორო კართან შეთანხმებით. ხოლო, თუ რომელიმე მღვდელმთავარი თვითნებურად მოახდენდა სასულიერო პირთა ხელდასხმას, რუსეთის უწმიდესი სინოდი მის ამ გადაწყვეტილებას გააუქმებდა, ხელდასხმული პირი დაბრუნებულ იქნებოდა წინამდებარე ხარისხში. ალ. ტორმასოვი ანტონ მეორეს აცნობებდა, რომ მისი ეს მოთხოვნა ეპარქიების ყველა სასულიერო პირებისათვის ცნობილი უნდა გამხდარიყო⁵⁹.

წანტონ მეორე, როგორც აღვნიშნეთ, რუსი მოხელეების კატეგორიული მოთხოვნით იძულებული იყო დათანხმებოდა საქართველოს ეკლესიის მმართველობაში გარკვეული სახის სტრუქტურული ცვლილება ისე მომხდარიყო, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო მისი დამოუკიდებლობა. რუსმა მმართველმა წრეებმა კარგად იცოდნენ, რომ სასულიერო დიკასტერიის კონტროლის ქვეშ მოქცეული მწყემსმთავარი დამოუკიდებლად ვეღარ წარმართავდა ეკლესიის საქმიანობას, მით უმეტეს, რომ მას იმპერატორთან შეთანხმების გარეშე ეკრძალებოდა ახალ სასულიერო პირთა კურთხევა. როგორც ვხედავთ,

სასულიერო დიკასტერიის დაარსება პირველი სერიოზული ნაბიჯი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გზაზე. მისი საშუალებით რუსეთის უნმიდესი სინოდი საქართველოს ეკლესიის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას სპობდა და მას საერო ხელისუფლების ერთ-ერთ დანამატად აქცევდა, რადგან სასულიერო დიკასტერიის კონტროლს ექვემდებარებოდა არა მარტო სასულიერო პირთა რაოდენობისა და სამრევლოების მონესრიგება, არამედ ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერა და მათი შემოსავლის დაზუსტება.

საქართველოს მთავარმართებლის ალ. ტორმასოვის დაუყინებული მოთხოვნით ანტონ მეორემ 1809 წელს შეადგინა პროექტი თბილისში სასულიერო დიკასტერიის დაარსების შესახებ, ამ პროექტით, რომელიც რუს მოხელეებთან იყო შეთანხმებული, უქმდებოდა თბილისის სამიტროპოლიტო, ხოლო საკათედრო ტაძარი სიონი უნდა დაქვემდებარებოდა კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორს ალექსი პეტრიაშვილს, რომელიც არქიმანდრიტის ხარისხში უნდა აეყვანათ. კათოლიკოს-პატრიარქის აღნიშნულმა განზრახვამ აღაშფოთა თბილელი მიტროპოლიტი არსენი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონ მეორის სანიანალმდეგოდ მოქმედებდა და მის იურისდიქციას აღარ ემორჩილებოდა. განრიხებულმა არსენ მიტროპოლიტმა შეიტყო რა ყოველივე და ისიც, რომ ქართლ-კახეთის უმაღლესი ხელისუფალნი ანტონ მეორის გადაწყვეტილებას ემხრობოდნენ, 1809 წლის 20 აგვისტოს, მათი გვერდის ავლით იმპერატორ ალექსანდრე პირველს ვრცელი მოხსენებით მიმართა აღნიშნული საკითხის გამო.

მღვდელმთავრის მოქმედება განაწყენებული, ამბიციური პიროვნების განწყობილებას გამოხატავდა, რომელიც დამყარებული იყო ცილისმნამებლურ ფაქტებზე. მიტროპოლიტი არსენი ერთგულებას ეფიცებოდა რუსეთის იმპერატორს და ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე წერდა: „ქართლ-კახე-

ვთის სამეფოს გაუქმების შემდეგ „მე მსხვერპლად ვწირავდი ჩემს თავს მთელი რუსეთის იმპერიას“⁶⁰. იგი მადლობას მოახსენებს ალექსანდრე პირველს, რომ მისმა უდიდებულებსობამ სათანადოდ დააფასა მისი ღვაწლი. მთავარმართველებს კ. კნორინგის, პ. ციციანოვის, ი. გუდოვიჩის დროს იგი სათანადო პატივითაც სარგებლობდა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოებიც დაიმსახურა იმპერატორის ერთგულების გამო.

განდიდებას მიჩვეული, პატივმოყვარე არსენ მიტროპოლიტი იმპერატორს აუწყებს: „ეხლა კი ზოგიერთ მათგანს შეშურდა რა თქვენი ჩემდამი წყალობა ამგვარად გადმოსული, აბრაზებს. მე კი არაფერი გამიკეთებია, გარდა იმისა, რომ ვეხმარები და ვუნვე დახმარებას თქვენს ჯარს საკუთარი სისხლის დაუზოგავად, თქვენი ერთგულებისათვის“⁶¹. მოშურნეთა შორის იგი ასახელებს ანტონ მეორეს, პეტერბურგიდან ახლადდაბრუნებულ მთავარეპისკოპოსს ვარლმ ერისთავს და დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილს, რომლებიც, მისი აზრით, სარგებლობენ რა მთავარმართველ ალ. ტორმასოვისა და სამოქალაქო მმართველ თ. ახვერდოვის ხელშეწყობით, სურთ, რომ „...მომაშორონ თბილისის სიონის ტაძრიდან და გადამიყვანონ სხვა გაღარიბებულ და გაძარცვულ ეპარქიაში. მე კი უდიდესი გულმოდგინება, დაღვრილი სისხლი და შრომა მაქვს დახარჯული ამ ტაძრისათვის და მსურს, რომ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები აქ გავატარო“⁶². იგი შემწეობას სთხოვს რუსეთის იმპერატორს, რომ მათი ეს განზრახვა რეალურად არ განხორციელდეს. ამ მიზნით, იგი მერამდენედ უსვამს ხაზს თავის თავდადებას რუსეთის ტახტისადმი. „დიდო მეფეო! - წერს ის იმპერატორს - იმ დროიდან, რაც თქვენი უძლეველი ჯარი შემოვიდა საქართველოში, მე თქვენს ერთგულებას ჩემი თავი მივეცი მსხვერპლად, ხოლო მათგან მოგონებულ წყენას კი ვიცი რომ არ ინებებთ მომაყენოთ“⁶³.

განაწყენებული მიტროპოლიტის მოქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. იგი იმპერატორისადმი გაგზავნილ საჩივარში ცილს სწამებს კათოლიკოს-პატრიარქს საეკლესიო ქონების მითვისებაში. ასეთსავე ბრალდებას უყენებს ის მთავარეპისკოპოს ვარლამს, რომელმაც „მრავალი მოქრთამა, რათა ჩემთვის წაერთმია სიონის ტაძარი“. ატყობინებდა რა ყოველივეს, არსენ მიტროპოლიტი იმპერატორისაგან მოითხოვდა შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც გამოიძიებდა საქართველოს ეკლესიის საქმეებს. სასონარკვეთილი მიტროპოლიტი იმპერატორს აცოდებდა თავს და წერდა: „მუდევნილი ვარ თქვენი ერთგულებისათვის“⁶⁴. როგორც ვხედავთ, თავისი წინდაუხედავი მოქმედებით და პატივმოყვარეობით შეპყრობილი არსენ მიტროპოლიტი აღარ ემორჩილებოდა საქართველოს საპატრიარქოს და იმპერატორისადმი გაგზავნილი დამაბეზლებელი წერილით ხელს უწყობდა რუსეთის მმართველი წრეების აქტიურ ჩარევას საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში.

არსენ მიტროპოლიტი იმპერატორს წერდა, რომ მთავარმართველ ალ. ტორმასოვისა და საქართველოს მმართველ თ. ახუნდოვის მხარდაჭერით კათოლიკოს-პატრიარქი თვითნებურად მოქმედებდა, მაგრამ აღნიშნულ ცნობას სინამდვილესთან რომ არაფერი კავშირი ჰქონდა, ეს პეტერბურგის საიმპერატორო კარისათვის კარგად იყო ცნობილი. ალბათ ამით იყო გამოწვეული, რომ განაწყენებულ მიტროპოლიტს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა პასუხიც არ აღირსა. თუმცა, როგორც შემდგომ დავინახავთ, მისი ცილისმწამებლური ბრალდება, როცა დასჭირდათ, რუსეთის მმართველმა წრეებმა თავიანთ სასარგებლოდ კარგად გამოიყენეს ანტონ მეორის წინააღმდეგ.

— თავის მხრივ, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე მთავარმართველის ზენოლის შედეგად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ფაქტიურად, მისი იურისდიქცია საეპისკოპო-

სოებზე აღარ ვრცელდებოდა, სასულიერო პირების ხელდასმის უფლებაც ჩამოერთვა, ხოლო საეკლესიო შემოსავლებს კონტროლს ახალი მთავრობა უწევდა. ისინი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვდნენ.

ანტონ მეორე კარგად გრძნობდა თავის უმწეო მდგომარეობას და საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეების უმსგავსოების შესახებ 1809 წლის 8 ნოემბერის წერილით აცნობებდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს - შემწეობასა და დახმარებას ითხოვდა მისგან⁶⁵. პეტერბურგში მყოფ შინაგან საქმეთა მინისტრს ანტონ მეორის უფლებების დაცვა არც შეეძლო და ვერც შეძლებდა, რომც მოენადინებინა, ვინაიდან საქართველოს ეკლესიის საკითხი რუსეთის საიმპერატორო კარზე უკვე გადაწყვეტილი იყო. რუსეთის მმართველი წრეები აქცენტს მხოლოდ იმაზე აკეთებდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება როგორმე უმტკივნეულოდ მომხდარიყო. როგორც მ. ჯანაშვილი წერს: „რუსეთის მთავრობას სურდა სრულიად მოესპო ხარისხი კათალიკოზობისა, რადგან იგი მოსაგონებელი საგანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვით-არსებობისა“⁶⁶. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ანტონ მეორის საქართველოდან მოცილება. ამის გამო რუსი მოხელეები მიზეზს ეძებდნენ კათოლიკოს-პატრიარქის გადასაყენებლად და რუსეთში გასაწვევად. ასეთი მიზეზის გამონახვა ძნელი არ იყო, რადგან, როგორც დავინახეთ, ეკლესიაში იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს უპირისპირდებოდნენ და არევ-დარევა შეჰქონდათ საეკლესიო მმართველობაში. ამ უკიდურესი ზომების მიღებამდე რუსი მოხელეები შეეცადნენ, ყოველგვარი გართულების გარეშე გაენვიათ ანტონ კათოლიკოსი რუსეთში. მთავარმათებელ ალ. ტორმასოვის ზემოთ აღნიშნული მოხსენების პასუხად ობერპროკურორი 1809 წლის 2 ნოე-

მბერს საქართველოს მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ იმპერატორის გადაწყვეტილებით კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე აუცილებლად უნდა წასულიყო პეტერბურგში, რათა პირადად დასწრებოდა რუსეთის უნმიდესი სინოდის სხდომებს, რომელზეც საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხი განიხილებოდა. სინამდვილეში ანტონ მეორის პეტერბურგში მიწვევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „საპატიო“ გადასახლებას ნიშნავდა, საიდანაც მას დაბრუნება აღარ ეწერა. თუ რა პოზიციას დაიკავებდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი აღნიშნული საკითხის მიმართ, როგორც ობერპროკურორი წერდა ალ. ტორმასოვს, ცნობილი უნდა გამხდარიყო იმპერატორისათვის⁶⁷. აქედან ნათლად ჩანს, თუ რა ცხოველ ინტერესს იჩენდა ხელისუფლება ანტონ მეორის რუსეთში გასაწვევად. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი კარგად გრძნობდა თუ რა მიზანი ამოძრავებდა რუსეთის რეაქციულ ძალებს, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა და ცდილობდა, ეს „საპატიო მიწვევა“ როგორმე თავიდან აეცილებინა. 1809 წლის 7 დეკემბერს საქართველოს მმართველ თ. ახვერდოვისადმი გაგზავნილ წერილში ანტონ მეორე მადლობას გამოხატავს იმპერატორის მიმართ იმ პატივისცემისათვის, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოიჩინა მისი პეტერბურგში მიწვევის გამო. „ამასთან-წერდა იგი რუს გენერალს - აღფრთოვანებული ვარ იმ აზრით, რომ ნება მეძლევა ვუცქირო მის (იმპერატორის - ე. ბ.) წმინდა სახეს, რომელმაც ჩემი მამული აიყვანა უდიდეს სიხარულში და ამ ყოველივეს სიხარულს აღტაცებაში მოვყავარ, მაგრამ იმდენად უბედური ვარ, რომ ძალა არა მაქვს მივყვე ჩემი გულის მოძრაობას, რადგან ავადმყოფობით ვიყავი შეპყრობილი და უკიდურესად დავსუსტდი, რისგანაც დღემდე ძალიან შერყეულია ჩემი ჯანმრთელობა... რაც იმედს მართმევს, რომ ხანგრძლივი და ძნელი მგზავრობა გადავიტანო“⁶⁸. რა თქმა უნდა, ანტონ მეორე აღფრთოვანებული არ იყო რუსეთის ხელისუფლების თვი-

თნებობით და მითუმეტეს პეტერბურგში მიწვევით, მაგრამ შექმნილი სიტუაცია აიძულებდა გარეგნულად მშვიდი პოზიცია დაეკავებინა. ავადმყოფობის მომიზეზებით პეტერბურგში გამგზავრებაზე კათოლიკოს-პატრიარქის უარი რუსეთის საიმპერატორო კარისადმი შინაგანი პროტესტის ფორმა იყო. თავისი განწყობილების შენიღბვის მიზნით ანტონ მეორე საქართველოს მმართველს თ. ახვერდოვს ატყობინებდა, რომ იმპერატორის სურვილის დასაკმაყოფილებლად და საეკლესიო საკითხების მოსაგვარებლად თავის მაგივრად გაგზავნიდა რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრს, მთავარეპისკოპოს ვარლამ ერისთავს და არქიმანდრიტ დოსითეოს ფირცელაურს, რომელთაც საქმის გადანყვეტის დროს კათოლიკოს-პატრიარქის ყველა რწმუნება ექნებოდათ.

ანტონ მეორის პასუხმა უკმაყოფილება გამოიწვია პეტერბურგის საიმპერატორო კარის წინაშე, მაგრამ აშკარა წინააღმდეგობა არ გამოუხატავთ. 1810 წლის 25 თებერვალს ხელმწიფის განკარგულებით ანტონ მეორეს უფლება ეძლეოდა დარჩენილიყო თბილისში გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც იგი თვითონ უნდა გამოცხადებულიყო პეტერბურგში და არ გაეგზავნა იქ არც ერთი შემოთავაზებული სასულიერო პირი. კათოლიკოსის ჩასვლამდე კი იმპერატორმა უწმინდეს სინოდს მისცა მითითება, რომ გადაედოთ საქართველოს ეკლესიის საკითხის განხილვა⁶⁹. იმპერატორის განკარგულების მიუხედავად საქართველოში მოღვაწე რუსმა მოხელეებმა იგრძნეს, რომ კათოლიკოს-პატრიარქის სახით მათ სერიოზული მონინააღმდეგე ჰყავდათ ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების გზაზე. ამიტომ ისინი ხელსაყრელ დროსა და შემთხვევას ელოდნენ თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. რუს მოხელეებს დიდხანს არ დასჭირვებიათ ლოდინი ანტონ მეორის მიმართ თავიანთი განწყობილების გამოსახატავად. ამ მიზნით მათ კარგად გამოიყენეს ეკლესიის მწყემსმთავრისადმი უკმაყოფილო მიტროპოლიტ არსენის დამოკიდებულება. ამ

უკანასკნელმა რუსეთის ერთგულების სანაცვლოდ მხარდაჭერა ვერც იმპერატორისაგან და ვერც ადგილობრივი რუსი მოხელეებისაგან მიიღო, ამის შემდეგ იგი აშკარა პროვოკაციულ გზას დაადგა. 1809 წლის 12 დეკემბერს, როდესაც სიონის ტაძარში იმპერატორ ალექსანდრე პირველის დაბადების დღისადმი მიძღვნილი წირვა მიმდინარეობდა, გაგულისებულმა არსენმა კათოლიკოს-პატრიარქის, მთავარმართებლის და მაღალი საზოგადოების თანდასწრებით საკურთხეველში ჯოხით სცემა და გარეთ გაგდებას უპირებდა დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილს, ხოლო მთავარეპისკოპოს ვარლამს და არქიმანდრიტ დოსითეოს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რამაც იქ დამსწრეთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია⁷⁰. მართალია, ალ. ტორმასოვს მომხდარი ფაქტისადმი თავისი დამოკიდებულება არ გამოუხატავს, მაგრამ მან ყოველივე დაწერილებით აცნობა პეტერბურგის საიმპერატორო კარს. დაზარალებულმა და მორალურად შეურაცხყოფილმა დეკანოზმა ალექსი პეტრიაშვილმა 1809 წლის 14 დეკემბერს ვრცელი მოხსენებით მიმართა მთავარმართებელს, რომელშიც იგი უჩივის ტფილელ მიტროპოლიტს არსენს უღირსი საქციელის გამო და მოითხოვს მის დასჯას⁷¹. მთავარმართებელმა ალ. პეტრიაშვილის საჩივარი გადაუგზავნა კათოლიკოს-პატრიარქს და სთხოვა, მომჩივანის მოთხოვნები კანონის ძალით დაკმაყოფილებულიყო. ანტონ მეორემ წერილობით აცნობა მიტროპოლიტ არსენს დეკანოზ ალ. პეტრიაშვილის საჩივრის შესახებ და ა. ტორმასოვის მოთხოვნა, ობიექტურად გამოძიებულიყო მომჩივნის მოთხოვნები და სასჯელიც შესაბამისი გამოტანილიყო⁷². 1810 წლის დასაწყისში ანტონ მეორემ მიმართვა გაუგზავნა ქართველ მღვდელმთავრებს, განეხილათ არსენ მიტროპოლიტის საქციელი. რუსეთის მმართველი წრეები მომხდარი კონფლიქტის განხილვაში მონაწილეობას არ ლებულობდნენ, მაგრამ დიდ დაინტერესებას იჩენდნენ და თვალყურს ადევნებდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას. მათ ძალ-

ზედ აინტერესებდათ თუ რა პოზიციას დაიკავებდა ანტონ მეორე. როგორც ბაგრატი ბატონიშვილი გადმოგვცემს, კათოლიკოსმა შექმნა საეკლესიო სასამართლო მღვდელმთავრების: მთავარეპისკოპოს იუსტინე მალალაშვილის, ბოდბელი მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილის, რუსთველი ეპისკოპოსის სტიფანე ჯორჯაძის, წილკნელ-სამთავნელი ეპისკოპოსის გერვასი მაჭავარიანის, აგრეთვე არქიმანდრიტებისა და სხვა სასულიერო პირთა მონაწილეობით და მათ დაავალა მომხდარი ფაქტების გამოძიება⁷³.

გამოძიების დაწყებამდე მიტროპოლიტი არსენი შეეცადა სიტყვიერი მონაწილეობით მოეღბო კათოლიკს-პატრიარქის გული. ამ მიზნით მან 1810 წლის 26 იანვარს წერილით მიმართა ანტონ მეორეს, მთავარეპისკოპოსს ვარლამს და ბოდბეში მოუხადა იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მათ მიაყენა⁷⁴. ასეთი მონაწილეობა ვერ უშველიდა იმ დანაშაულობებს, რომელიც ტფილელ მიტროპოლიტს ჰქონდა ჩადენილი.

გამოძიების პროცესს ხელს უშლიდა ბრალდებული არსენ მიტროპოლიტი, რომელიც საეკლესიო სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად უარს აცხადებდა რაიმე სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი გაეცა მათთვის საინტერესო კითხვებზე, იმ მოტივით, რომ იგი თავს დამნაშავედ არ თვლიდა. საეკლესიო სასამართლომ მოწმეთა დაკითხვით გაარკვია, რომ 1809 წლის 12 დეკემბერს მომხდარი ინციდენტის გარდა მიტროპოლიტი არსენს სხვა დანაშაულობებიც ჰქონდა ჩადენილი. იგი თვითნებურად ახდენდა სასულიერო პირების ხელდასხმას და ამით დაარღვია იმპერატორის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც პეტერბურგის სამეფო კართან შეთანხმების გარეშე აკრძალული იყო სასულიერო პირთა კურთხევა. მასვე აზნაურ თურქესტანიშვილის მეუღლის დაკრძალვაზე სტიხაროსანი ქრისტეფორე უცემია⁷⁵. საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ არსენ მიტროპოლიტი დიდად ავიწროვებდა ქაშვეთის ეკლესიის სასულიერო პირებს და მათ

ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდა, ეს მაშინ, როცა ქაშუეთის სამღვდლოებას კათოლიკოსისაგან შეუვალობის უფლება ჰქონდა⁷⁶. მიტროპოლიტმა არსენმა გაფლანგა სიონის ქონება და ქაშუეთის ეკლესიის სავაჭრო დუქნები მიითვისა.

დანაშაულის უარყოფისა და მოსალოდნელი სასჯელს თავიდან აცილების მიზნით არსენ მიტროპოლიტმა 1810 წლის 1 თებერვალს დახმარებისათვის მიმართა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ ალ. გოლიცინს. უმწეო მდგომარეობაში მყოფი მიტროპოლიტი უწმიდესი სინოდის ხელმძღვანელს ატყობინებს სიონის ტაძარში წირვის დროს მომხდარ ამბებს, რომელიც მისი აზრით პროვოკაცია იყო და მიზნად ისახავდა მისი ავტორიტეტის შელახვას იმპერატორის წინაშე. „მაგრამ - როგორც თვითონ წერს - ვარ რა მისი უმაღლესობის მფარველობის ქვეშ, იმედი მაქვს, დაცული ვიქნები მათი ყოველგვარი შევიწროებისაგან“. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ მომხდარი ფაქტის გამოძიების გამო კათოლიკოს-პატრიარქმა შექმნა ეპისკოპოსებისაგან შემდგარი კომისია, რომელთაც „არ ვიცი რის გაკეთება აქვთ გადამწყვეტილი. მათ შორის არის ბოდბელი ეპისკოპოსი, რომელმაც კახელი ერი მიიყვანა უფლისწულ იულონთან, რათა ერთგულების ფიცი დაედოთ მის წინაშე და თვითონაც დააფიცა, რის გამოც მეთვალყურეობის ქვეშ იყო აყვანილი, მთავარეპისკოპოს იუსტინეს არ აქვს ტაძარი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ლიტურგიის ჩატარება. თუმცა ან გარდაცვლილი პ. ციციანოვისაგან მიღებული ჰქონდა 2000 მანეთი ახალი ტაძრის აგებისათვის, მაგრამ მისი არამოსურნეობის გამო დღემდე არაა აშენებული, რუსთველმაც გაფლანგა შემოსავალი და არ აქვს ეკლესია. ამასთან მას მიმონერა აქვს სპარსელებთან; სამთავნელს იმისთანა ხალხთან აქვს ურთიერთობა, რომლებიც მოღალატეებად ითვლებიან, ხალხში შეაქვს განხეთქილება“⁷⁷.

(როგორც ვხედავთ, გაბოროტებული მიტროპოლიტი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრების შეურაცხყოფისათვის ყოველ ხერხს მიმართავს და მათ მოქმედებას პოლიტიკურ სარჩულს უდებს საფუძვლად. მისი ასეთი ნაბიჯი მიზნად ისახავდა, თავი რუსეთის ერთგულ მსახურად წარმოეჩინა, ხოლო მოწინააღმდეგეები მათ დაუძინებელ მტრებად. ამ გზით იგი ცდილობდა ზემოთ ჩამოთვლილი მღვდელმთავრებისაგან თავის დაცვას და ობერპროკურორს სთხოვდა: მათი შემოტევის „გამო იძულებული ვარ თავი შევაფარო თქვენი მფარველობის ქვეშ, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, მე თავდაუზოგავი მცველი რუსეთისა და მსახური იმპერატორისა, დამიცვათ უშედეგო თავდასხმებისაგან“⁷⁸. რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს თავი არ გამოუდვია არსენ მიტროპოლიტის დასაცავად, მაგრამ მომხდარი ფაქტის შესახებ იგი მთავარმართებელ ალ. ტორმასოვისგან მოითხოვდა დაწვრილებითი ცნობების მიწოდებას. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი პატრიარქ-კათალიკოს ანტონ მეორისაგან ითხოვდა განმარტებას.

საეკლესიო სასამართლომ გამოიძების შემდეგ მიტროპოლიტი არსენს მკაცრი განაჩენი გამოუტანა, რომელიც ეფუძნებოდა მოციქულთა კანონების და მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებს. სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი გადაყენებულ იქნა. ტფილისის მიტროპოლიტობის კათედრიდან, ექვსი თვით აეკრძალა მღვდელმსახურება და იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში (დავით გარეჯში - ე. ბ.) უნდა გაეგზავნათ საცხოვრებლად. კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ მეორემ საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუგზავნა ალ. ტორმასოვს და სთხოვა იმპერატორისათვის გადაეგზავნათ იგი დასამტკიცებლად. თავის მხრივ, კათოლიკოსი მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ საეკლესიო სასამართლოს ყველა პუნქტს ეთანხმებოდა და იგი აუცილებლად უნდა შესრულებულიყო, რადგან მიტროპოლიტის უღირსი სა-

ქციელი დაუსჯელი არ უნდა დარჩენილიყო. მანვე ალ. ტორმასოვს აცნობა, რომ არსენ მიტროპოლიტი არ ემორჩილებოდა რა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს, თვითნებურად ფლანგავდა სიონის ტაძრის თანხებს, უკანონოდ მიიტაცა ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე მინერილი რამდენიმე სოფელი, ხოლო იმავე ეკლესიის კუთვნილ 5 საამქროს შემოსავლები თავის კუთვნილებად გამოაცხადა. იგი მთავარმართებლისაგან მოითხოვდა, როგორც თვითონ წერს: „თქვენ აქ მეფის მოვალეობასაც ასრულებთ და მოვალეც ხართ შეხვიდეთ ჩვენს საცოდავ მდგომარეობაში, რათა დაუბრუნდეს ეკლესიას კუთვნილი მამული და მისგან აღებული თანხა. ჩვენ ვკადნიერდებით და გთხოვთ, რომ ეს ყოველივე აუწყოთ ჩვენს საერთო უფროსს და უთხრათ, რომ საერო და სასულიერო პირები უკმაყოფილონი არიან“⁷⁹. ალ. ტორმასოვმა ანტონ მეორის აღნიშნული თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვა და რუსეთის უწმიდეს სინოდთან შეთანხმებით სიონისა და ქაშუეთის ტაძრის შემოსავლების დაცვა თვით კათოლიკოს-პატრიარქს დაავალა⁸⁰.

მთავარმართებელი სასულიერო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს სთხოვდა, თავი შეეკავებინა არსენ მიტროპოლიტის მიმართ რადიკალური ღონისძიებების გატარებისაგან, რაზეც მან კატეგორიული უარი მიიღო. აღნიშნული ფაქტის შესახებ ალ. ტორმასოვი 1810 წლის 14 მარტს ობერპროკურორ ალ. გოლიცინს წერდა: 'საეკლესიო სასამართლოს „...ცნობა, რომ მივიღე, საჭიროდ ჩავთვალე კათოლიკოსისათვის მეკითხა, თუ რისკენ მიგვიყვანდა ასეთი ქმედება. არა მგონია, რომ იგი, წარმოადგინა რა სასულიერო სასამართლოს განაჩენი იმპერატორისადმი დასამტკიცებლად, აპირებდა მის რეალურ შესრულებას“⁸¹. წმკარად იგრძნობოდა, რომ მთავარმართებელი უკმაყოფილო იყო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის გადაწყვეტილების, არა იმის გამო, მას თითქოს არსენ

მიტროპოლიტის ბედი ანუხებდა, არამედ იმიტომ, რომ კათოლიკოსი მასთან შეუთანხმებლად წყვეტდა საკითხებს. სასულიერო სასამართლოს განჩინება ანტონ მეორის ნებართვით ნაიკითხეს სიონში მრევლის წინაშე⁸².

ტფილელი მიტროპოლიტი არ დაემორჩილა სასულიერო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თავის თავს შეურაცხყოფილად და დაჩაგრულად მიიჩნევდა. ყველაფერს კი კათოლიკოს-პატრიარქს აბრალებდა, რომელმაც თითქოს აუმხედრა სასულიერო პირები.

განაწყენებული მიტროპოლიტი, რაკი პეტერბურგის მფარველობა ვერ მოიპოვა, შეეცადა ადგილობრივ რუს მოხელეების შუამავლობით მიეღო იმპერატორის კეთილგანწყობილება. მან მთავარმართებელს მიმართა დახმარებისათვის და თან სთხოვა, მისი ვრცელი მოხსენება პეტერბურგში გადაეგზავნა იმპერატორისა და ობერპროკურორისათვის გადასაცემად. მიტროპოლიტი მოითხოვდა თავისი უფლებების დაცვას, სიონის ტაძრის შემოსავალი სახელმწიფოს გადასცემოდა, სამაგიეროდ მას ხელფასი ხაზინიდან უნდა მისცემოდა. ალ. ტორმასოვი არსენ მიტროპოლიტის წერილები ადრესატებს გადაუგზავნა. მას თან დაურთო ვრცელი მოხსენება ობერპროკურორის სახელზე შედგენილი, სადაც იგი დანვრილებით განმარტებებს იძლეოდა ტფილელი მიტროპოლიტის გარშემო ატიხილი ამბების გამო. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ალ. ტორმასოვი მომხდარი ფაქტის მიმართ ნეიტრალურ პოზიციას იჭერდა. თუმცა ის გადაჭრით გმობდა მიტროპოლიტის საქციელს და მოურიდებლად ლაპარაკობდა მის უარყოფით თვისებებზე. მისი აზრით, არსენი „არის მოუსვენარი, მონინააღმდეგეთა მიმართ დაუნდობელი, უსაფუძვლოდ მსჯელობს სხვათა შესახებ და ბრალს სდებს სხვებს“⁸³. ალ. ტორმასოვი მაინც სიფრთხილეს იჩინს არსენ მიტროპოლიტის მიმართ და არაობიექტურობაში ცილი რომ არ დასწამონ ობერპროკურორს აცნობებს: „მე არ შემიზღუდია არსენ მიტროპოლიტის

უფლებები". იგი აქვე, რუსეთის უწმიდეს სინოდს თავის შეხედულებას უზიარებს ანტონ მეორის პიროვნების შესახებ. მისი აზრით, „ანტონი არის საკმაოდ წყნარი ხასიათის, პატიოსანი, ყველასაგან პატივცემული, მაგრამ სუსტია იმდენად, რომ ადვილად ექცევა საერო და სასულიერო პირთა გავლენის ქვეშ, რომელნიც მას ისე მართავენ, როგორც მოესურვებათ. კათოლიკოსი არსენის წინააღმდეგ არ გამოვიდოდა, მაგრამ მის გარშემო შემოკრებილებმა გაილაშქრეს და ანტონიც დაიყოლიეს არსენის წინააღმდეგ“⁸⁴. რა თქმა უნდა, მთავარმართებელი არ იყო გულწრფელი ანტონ კათოლიკოსის შეფასებაში, ეს თვითონაც კარგად იცოდა. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის „სისუსტეზე“ მითითებით მას სურდა იგი პეტერბურგის წინაშე უსუსურ პიროვნებად წარმოეჩინა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ტორმასოვი კარგად იცნობდა ანტონ მეორეს და პეტერბურგში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გულწრფელად აღიარებდა: „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კათოლიკოსი ანტონ მეორე იშვიათი თვისებების ადამიანი და წესრიგის მოყვარული პიროვნებაა, რომელსაც საყოველთაო პატივისცემა აქვს მოპოვებული“⁸⁵.

მთავარმართებლის განაწყენების მიზეზი კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ ის იყო, რომ იგი საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვის დროს არავის ერიდებოდა და ზოგჯერ რუსი მოხელეების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ანტონ მეორე წინ აღუდგა ალ. ტორმასოვის განზრახვას, ქაშუეთის ეკლესიაში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე შესრულებულიყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ანტონ კათოლიკოსთან შეთანხმებით კვირა და საზეიმო დღეებში ქაშუეთის ეკლესიაში ღვთისმსახურებას რუსი მღვდლები ასრულებდნენ. ალ. ტორმასოვმა მოინდომა აქ მოსამსახურე ქართველი სასულიერო პირების შეზღუდვა და 1810 წლის 3 აპრილს ანტონ მეორეს წერილით აცნობა, რომ ქაშუეთის ეკლესიაში მომსახურე სხვა ქართველი მღვდლებისთვის შემოსავლის

სხვა წყაროები გამოენახა. კათოლიკოს-პატრიარქმა მთავარმართებელის ეს წინადადება მიუღებლად ჩათვალა და შეატყობინა, რომ კვირა და საზეიმო დღეების გარდა რუს მღვდლებს უფლება არ აქვს ღვთისმსახურება შეასრულოს, ხოლო სანთლების გაყიდვით შემოსული შემოსავალი ქაშუეთის ქართველ მღვდლებს უნდა დარჩენოდა⁸⁶. ალ. ტორმასოვი კათოლიკოსის ამ მოთხოვნას დაემორჩილა. ბუნებრივია, ქართველი მწყემსმთავრის ასეთი „ურჩობა“ მიუღებელი იყო რუსი მოხელეებისთვის. ამიტომ მთავარმართებელი მის შესახებ კარგს არაფერს შეატყობინებდა რუსეთის საიმპერატორო კარს. მთავარმართებლის ინფორმაციას არსენ მიტროპოლიტის შესახებ გულდასმით სწავლობდნენ პეტერბურგში. თუმცა მასზე არავითარ რეაგირებას არ ახდენდნენ. მომხდარი ფაქტის ანალიზით იმპერატორი დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის სასწრაფოდ განწვევა საქართველოდან. ამიტომ იგი ხელმეორედ ატყობინებდა ალ. ტორმასოვს, რომ მისი ეს განზრახვა როგორმე უმტკივნეულოდ მომხდარიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმპერატორის პირველ მიწვევაზე ანტონ მეორემ ავადმყოფობის მომიზეზებით თავაზიანი უარი განაცხადა. ობერპროკურორი მთავარმართებლისაგან მოითხოვდა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი როგორმე უნდა დაეყოლიებინა რუსეთში გამგზავრებაზე, მანამდე კი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხის განხილვას შეაჩერებდნენ⁸⁷. ალ. ტორმასოვმა საიმპერატორო კარის სურვილი ანტონ მეორეს აცნობა 1810 წლის ზაფხულის დასაწყისში. კათოლიკოს-პატრიარქი მიხვდა, რომ იმპერატორის დაჟინებულ მოთხოვნას წინ ვერ აღუდგებოდა და დათანხმდა გამგზავრებულყოფიერ პეტერბურგში იმავე წლის აგვისტოს ბოლოს, რადგან, როგორც თვითონ წერს, ზაფხულის ცხელ კლიმატურ პირობებს შესაძლებელია მის ჯანმრთელობაზე ემოქმედა. მართალია, ალ. ტორმასოვმა კათოლიკოსისა-

გან სასურველი თანხმობას მიაღწია, მაგრამ სიცხეების გამო გამგზავრების ვადის გადაწევამ დააეჭვა. ამის გამო მან 1810 წლის 12 ივლისს ანტონ მეორეს აცნობა: „ძალიან ვნუხვარ, რომ ჩემი რჩევა - პეტერბურგში თქვენი გამგზავრების შესახებ მიიღეთ როგორც იძულება. მე არ მქონდა არავითარი სხვა აზრი გარდა იმპერატორის ნების აღსრულებისა. იმპერატორს რა მიზეზითაც სურს თქვენი ჩასვლა პეტერბურგში თქვენთვის ცნობილია. იგი ემყარება თქვენსავე წინადადებას - საქართველოში სასულიერო დიკასტერიის დაფუძნებას, რომ წესრიგში იქნეს მოყვანილი სასულიერო საქმეები. საჭიროა ეს ყველაფერი მალე გადაწყდეს. ამის გამო მივიღე თქვენი წერილი... რომლითაც შემატყობინეთ, რომ ჯანმრთელობა ხელს გინყობთ გამგზავრებაში, გავეცი განკარგულება და იმპერატორს შევატყობინე ყოველივე. გადასდეთ რა თქვენი გამგზავრება აგვისტოს ბოლომდე, ჩავთვალე საჭიროდ, გულწრფელად მერჩია დაგეჩქარებინათ იმპერატორის ნების აღსრულება, რადგან ეს სასარგებლო იქნება თქვენთვის“. მთავარმართებელი ეჭვს გამოთქვამს სიცხეების გამო გამგზავრების თარიღის გადაწევასთან დაკავშირებით და კათოლიკოს-პატრიარქს აცნობებს: „დავეჭვდი, თქვენ ხომ ჩრდილოეთისკენ მიდინართ, სადაც სიცხეები არ იცის და მგზავრობაც ნაკლებად სახიფათოა. თუმცა თქვენზე არის დამოკიდებული გამგზავრების დრო“. ალ. ტორმასოვი წერილის დასასრულს ანტონ მეორეს მიმართავს: „მე კი უმორჩილესად გთხოვთ, არ მიიღოთ ჩემი რჩევები თქვენი თავისუფლების შეზღუდვად. ამის განზრახვა არა მქონია და ამისი მიზეზი არც თქვენ მოგიცი-ათ“⁸⁸. ალ. ტორმასოვი დიდი გულისყურით მოეკიდა კათოლიკოსის თხოვნას, რომ მას გამგზავრებისათვის საჭირო ფული არ გააჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მთავარმართებელი იმპერატორს წერდა: „ვიცი რა კათოლიკოსის მდგომარეობა, რომ მას თავისი უყაირათობის გამო არა თუ არ გააჩნია იმდენი ფული, რომ გაემგზავროს პეტერბურგს, არამედ ძალიან

ბევრი ვალიც აქვს და ხაზინის მხრიდან დახმარების გარეშე, ვერასოდეს წავა საქართველოდან რუსეთში. ამასთან, ვხედავ რა იმპერატორის მაგალითს, რომელიც ასე კეთილი და მოწყალეა ქართული სამეფო სახლის ყველა წევრის მიმართ, გადაწყვიტე გამომეყო კათოლიკოსისათვის 5000 მანეთი ასიგნაციებით⁸⁹.

რუსი მოხელეები როცა დარწმუნდნენ, რომ ანტონ მეორე ფეხს ითრევდა რუსეთში გამგზავრებაზე, მის მიმართ დაიწყეს ყალბი ბრალდებების შეთხზვა. ალ. ტორმასოვის დავალებით საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორმა პლახოტინმა საიდუმლოდ გამოიკვლია თუ როგორ ნაწილდებოდა საეკლესიო-სამონასტრო შემოსავლები. დადგინდა, რომ რუსული მმართველობის შემოღებიდან საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო მიწები გაუჩუქებია სხვადასხვა წოდების ხალხზე, რომელთა ღირებულება შეადგენდა მილიონ მანეთს. ეს მაშინ, როცა მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა 1805 წლის 5 თებერვალის ბრძანებით აღმასრულებელ ექსპედიციას დაავალა აკრძალულიყო სამონასტრო მიწების გახვისება. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად ალ. ტორმასოვის განკარგულებით საქართველოს მმართველმა თ. ახვერდოვმა კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გასხვისებული საეკლესიო მიწები უკანონოდ ჩათვალა და იგი გაუქმებულად გამოაცხადა. აღნიშნული გადაწყვეტილება იმპერატორს გაეგზავნა დასამტკიცებლად. ხოლო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს გამოძიებისა და მისი შედეგების შესახებ შეგნებულად არაფერი აცნობეს. ისინი ვარაუდობდნენ, თუკი კათოლიკოსი უარს იტყოდა რუსეთში გამგზავრებაზე, მაშინ მოძიებული მასალას მის სამხილებლად გამოიყენებდნენ.

ანტონ მეორისადმი ყალბი ბრალდებები თანდათან მრავლდებოდა, როგორც ბაგრატ ბატონიშვილი გადმოგვცემს, მიტროპოლიტობიდან გადაყენებულმა არსენმა მოისყიდა კათოლიკოსის მნათე, ბერი სერაპიონი, რათა ამ უკანასკნელს

საქართველოს მმართველ თ. ახვერდოვისათვის მოეხსენებინა, რომ თითქოს ანტონ მეორემ ხელი შეუწყო თბილისში პატიმრობაში მყოფი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის გაპარვას. მოსყიდულმა ბერმა არსენ მიტროპოლიტის დავალება შეასრულა. საქართველოს მმართველმა აღნიშნული ყალბი ბრალდება მოახსენა მთავარმართველ ალ. ტორმასოვს. ამ უკანასკნელმა ყოველივე მუქ ფერებში აცნობა იმპერატორ ალექსანდრე პირველს და თან დასძინა: „უკეთუ არს ეს (ანტონ მეორე - ე. ბ.) აქა, არ იქნების მშვიდობა საქართველოსა შინა“⁹⁰. არც საქართველოში და მითუმეტეს არც პეტერბურგში, არავინ დაინტერესებულა სიმართლე დაედგინათ. ანტონ მეორემ იგრძნო რა საშიშროება, თვითონ შეეცადა ემხილებინა არსენ მიტროპოლიტის ეს პროვოკაციული გამოსვლა. მან სერაპიონ ბერთან ახლოს მყოფ არქიმანდრიტ დიონისესგან ყველაფერი შეიტყო. შემდეგ სერაპიონი დააპატიმრა და მისი დაკითხვით სურდა გამოეაშკარავებინა სიყალბე, გაეგო, თუ საიდან მოდიოდა ეს ცილისწამება. მაგრამ კათოლიკოსის ამ განზრახვას წინ გადაეღობა საქართველოს მმართველი თ. ახვერდოვი, რომელიც მთავარმართველ ალ. ტორმასოვს ატყობინებდა: „ანტონი სერაპიონის დაბეზღებით ისეა გამწარებული, რომ ცრემლებიც კი ვერ შეიკავა“⁹¹. მართალია, სოლომონ მეორის გაპარვაში ანტონ მეორის მონაწილეობა არ დადასტურდა, მაგრამ ეს ფაქტი მტრებმა მის წინააღმდეგ გამოიყენეს. რუსი მოხელეების ჩარევით ანტონ მეორემ ვერ შეძლო სიმართლის დამტკიცება. მანვე სისრულეში ვერ მოიყვანა არსენ მიტროპოლიტისადმი გამოტანილი განაჩენი. ეს უკანასკნელი ანტონ მეორის რუსეთში განწევის შემდეგაც არ ემორჩილებოდა სასულიერო სასამართლოს გადაწყვეტილებას და თავისი ჩივილებით მოაბეზრა თავი მთავრობას. მთავარმართველი ნ. რ. ტიშჩევი (1812-1816) 1813 წლის დასაწყისში იმპერატორს ურჩევდა არსენი რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში გადაესახლებინათ და მისთვის წელიწადში 1200 მანე-

თის რაოდენობის პენსია დაენიშნათ⁹². 1813 წელს იმპერატორმა მას ნება დართო პეტერბურგში ჩასულიყო და რუსეთის უწმიდეს სინოდში თავისი საქმე გაერკვია, მაგრამ იმავე წლის 30 ნოემბერს იგი გარდაიცვალა და მიტროპოლიტის შესაფერისი პატივით სიონის ტაძარში დაკრძალეს⁹³.

სხვა ხერხებითაც ებრძოდნენ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს. კათოლიკოსის ავტორიტეტის შელახვის მიზნით მის წინააღმდეგ გამოიყენეს მევალები, რომელთა შორის იყო მირმან მირმანოვი. ანტონ მეორის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ჩელიაქის საბაჟო, სადაც ბაჟს ადებდნენ რუსეთში გასატან საქონელზე. 1809 წლის დასაწყისში აღნიშნული საბაჟო ანტონ მეორემ 3220 მანეთად ვერცხლით იჯარით მისცა მირმან მირმანოვს. იჯარის გაცემიდან სამი თვის შემდეგ საბაჟოების გაუქმების გამო ჩელიაქის საბაჟო ანტონს ჩამოერთვა და სახელმწიფო ხაზინას გადაეცა, მოიჯარადრემ დახარჯული თანხა ვერ ამოიღო და მოინდომა ფულის უკან დარბუნება. კათოლიკოსს აღებული თანხა დახარჯული ჰქონდა და ბუნებრივია, ვალი ვერ გადაიხადა, მაგრამ იმის იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის მთავრობა გაუქმებული საბაჟოს წლიური შემოსავლის თანხის კომპენსაციას მოახდენდა. დაიმედებული ანტონი მ. მირმანოვს ატყობინებდა: „მივიღებ საბაჟოს საფასურს და პირველ რიგში შენს ვალს გავისტუმრებო“⁹⁴. სიტყვიერ თანხმობას მ. მირმანოვი არ დასჯერდა, რის გამოც 1810 წლის 26 იანვარს ანტონ მეორემ მას ხელწერილი მისცა: „ჩვენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეფის ძე ანტონი გაძლევთ წერილსა ამას შენ მირმან მირმანოვს, რადგანაც გავლილს წელს ჩვენის ჩეპლი იექის იჯარი შენს ხელთ იყო და უმაღლესის ბრძანებით ჩამოგვერთვა ზოგიერთი ჩვენი შემოსავლები და შენგან ჩვენ დაგვეხარჯა და ვალად დაგვედვა, რომ ჩვენი თამასუქი მიჭირავს, როდესაც უმაღლესი კარიდამ ჩვენი ბაჟის მაგიერ მივიღოთ იქიდანამ პირველად შენი თამასუქის ვალი უნდა მოგეცეს“⁹⁵.

აღ. ტორმასოვი ჯერ კიდევ 1809 წლის 10 სექტემბერს მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რომ გაუქმებული ჩელიაქის საბაჟოს შემოსავლის ნაცვლად ანტონს ხაზინიდან ყოველწლიურად მისცემოდა 2675 მანეთი, ე. ი. იმდენი თანხა, რასაც იგი ხსენებული საბაჟოდან იღებდა⁹⁶.

მირმან მირმანოვი ანტონ მეორის ხელწერილითაც არ იყო კმაყოფილი. სასონარკვეთილ ანტონს კი ვალის გადახდა არ შეეძლო. მართალია, აღ. ტორმასოვის შუამდგომლობით კათოლიკოსს ჩამორთმეული საბაჟოს ნაცვლად იმპერატორმა 2675 მანეთი ვერცხლით დაუნიშნა, რომელიც მას საქართველოს საერთო შემოსავლიდან უნდა მიეღო, მაგრამ რუსეთის სამეფო კარის ეს გადაწყვეტილება მაშინ გახდა ცნობილი, როცა კათოლიკოსი რუსეთში იყო გამგზავრებული⁹⁷. ასე, რომ მირმან მირმანოვი კუთვნილი თანხა ვერ მიიღო და თავისი საჩივრებით სახელი გაუტეხა ანტონ მეორეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კათოლიკოს-პატრიარქისადმი წაყენებული „ბრალდებებით“ არავინ დაინტერესებულა. იმპერატორმა იგი თავისი მიზნის განსახორციელებლად გამოიყენა და ბრძანა ანტონ მეორის საქართველოდან დაუყოვნებლივ განეკევა. ამ ამოცანის განხორციელებით ცარიზმი ერთდროულად რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას აპირებდა - ერთი მხრივ, თავიდან მოიშორებდა მეამბოხე კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიც ბაგრატიონთა გვარიდან იყო, ხოლო მეორე მხრივ, მისი მოცილებით გაიოლდებოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა.

უმნეო მდგომარეობაში მყოფი ანტონ მეორე რუსეთში გამგზავრებისათვის ემზადებოდა. უსახსროდ მყოფი კათოლიკოს-პატრიარქი სამგზავრო თანხის შეგროვებას ახლობლების დახმარებით ახდენდა. როგორც აღ. ტორმასოვი 1810 წლის ივლისში ობერპროკურორს ატყობინებდა: „ფულის ამკრები პირები გლეხებს, ვისაც ფულს ართმევდნენ, არნმუნე-

ბდნენ, კათოლიკოსი პეტერბურგში ჩასვლის დროს იზრუნებს, რომ ისინი გაათავისუფლონ ყოველგვარი გადასახადებისაგან"⁹⁸. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთში კათოლიკოსის გამგზავრების ხარჯები საქართველოს მთავარმართებელმა გაიღო.

ნასვლის წინ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა წირა სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებში, პარაკლისი გადაიხადა და 1810 წლის 10 აგვისტოს რუსეთისაკენ გაემართა. მცხეთაში შეისვენა, წირვა-ლოცვა აღავლინა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, პარაკლისი გადაიხადა, ერი და ქვეყანა შეავედრა ღმერთს, ცრემლმორეული გამოეთხოვა საკათოლიკოსო ტაძარს. ღამე მუხრანში გაათია თავის დასთან - ქეთევანთან, რომელიც იოანე მუხრანბატონის მეუღლე იყო. აქედან იგი დუშეთში ავიდა.

რუსმა მოხელეებმა პეტერბურგს სასწრაფოდ ამცნეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გამგზავრება რუსეთში. პეტერბურგის საიმპერატორო კარი საგანგებოდ ემზადებოდა პატრიარქის შესახვედრად. უკვე მზად იყო მისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლი, მაგრამ მოულოდნელად რუსეთში მიმავალი ანტონ მეორე დუშეთიდან თბილისში დაბრუნდა. გამორიცხული არაა, რომ მუხრანში ყოფნის დროს ახლობლებმა ურჩიეს უარი ეთქვა რუსეთში გამგზავრებაზე. ანტონ მეორის თბილისში მობრუნებით მთავარმართებელი უკმაყოფილო იყო, მაგრამ თავის განწყობილებას აშკარად ვერ გამოხატავდა. ალ. ტორმასოვის დუმილის მიზეზი სულ სხვა რამ გახლდათ. ხმები დადიოდა, რომ 1810 წლის ზაფხულში ლევან ფარნაოზის ძე ბატონიშვილი ოსეთში იმყოფებოდა, საიდანაც მან „მეამბოხეები გაგზავნა არაგვის ხეობის ოსებთან, რათა ააჯანყონ ისინი და კათოლიკოსი არ გაუშვან რუსეთში"⁹⁹. შეიტყო რა აღნიშნული ხმების შესახებ, ალ. ტორმასოვმა 1810 წლის 20 აგვისტოს საქართველოს მმართველთ. ახვერდოვს აცნობა: „ჩემთვის ძალიან უცნაურია, საიდან

იცის მან (ლევან ფარნაოზის ძემ - ე. ბ.), რომ კათოლიკოსი გაემგზავრა. როგორც ჩანს, აქ არის რალაც ჩანაფიქრი და ურთიერთობა ქართველ თავადებს შორის. ამიტომ გავალებთ, თვალყური ადევნოთ კათოლიკოსის თანმხლებ პირებს და არც კათოლიკოსი გამოგრჩეთ მხედველობიდან. ამასთან მე მიმაჩნია შევაცოვნოთ რამდენიმე ხნით მისი გამგზავრება, რომ თავიდან ავიცილოთ გართულებანი. თუკი მოითხოვს დაჟინებით რომ მაინცდამაინც ახლავე გამიშვითო, მაშინ გამომჟღავნდება, რომ მას (ანტონ მეორეს - ე. ბ.) უფლისწულ ლევანთან ჰქონია შეთანხმება". იგი თ. ახვერდოვს ავალებს, რომ მკაცრი საიდუმლოების დაცვით უნდა მოხდეს ამ კავშირების ძიება, ხოლო არაგვის ხეობის გზის დაზიანების მომიზეზებით კათოლიკოსო-პატრიარქი თბილისში უნდა შეეყოვნებინათ. ამასთან მასვე ფარულად უნდა გაერკვია, თუ სად იყვნენ შეკრებილნი არაგვის ოსები და იყო თუ არა მათგან ვინმე ლევან ბატონიშვილის დავალებით კათოლიკოსთან მოსული. აუცილებელი იყო მათი შეპყრობა¹⁰⁰.

თ. ახვერდოვის მოძიებული მასალებით ალ. ტორმასოვი დარწმუნდა, რომ აღნიშნულ ხმებს სინამდვილესთან კავშირი არ ჰქონდა. ამის მიუხედავად, რუსი მოხელეები ფრთხილად მოქმედებდნენ და საიდუმლოდ თვალს ადევნებდნენ კათოლიკოს-პატრიარქს. მათ ისიც იგრძნეს, რომ ანტონ მეორე პეტერბურგში გამგზავრებას არ აპირებდა. მთავარმართებელი, მართალია, არ მოითხოვდა მის გამგზავრებას, მაგრამ შიშობდა, იმპერატორის ბრძანების შეუსრულებლობას მისი გადაყენება არ მოჰყოლოდა. თავის მხრივ, ობერპროკურორი ალ. გოლიცინიც უხერხულად გრძნობდა თავს, რომლის ინფორმაციით იმპერატორმა იცოდა, რომ ანტონ მეორე მალე პეტერბურგში ჩავიდოდა. დაძაბულ ვითარებაში იყვნენ შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებიც, რომლებმაც შესაბამისი თანხა გამოჰყვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მისაღებად. გაითვალისწინა რა მოსალოდნელი საშიშ-

როება მთავარმართებელმა ანტონ მეორის წინააღმდეგ გამოიყენა საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორის მოძიებული მასალები საქართველოს კათოლიკოსის მიერ საეკლესიო მინების უკანონოდ ჩუქების შესახებ. პროკურორი კათოლიკოს-პატრიარქს ბრალს სდებდა საეკლესიო ქონების განიავებაში. ანტონ მეორე არ შეუშინდა წაყენებულ ბრალდებას. მან 1810 წლის 16 სექტემბერს ალ. ტორმასოვს წარუდგინა მიწის გაცემის სიგელები და თან მოახსენა: „როგორც შემატყობინეს, აქაური პროკურორი მემუქრება და ჩემს წინააღმდეგოდ მოქმედებს, მაგრამ დამბეზღებლების საქციელს მივიჩნევ ჩემზედ შეთითხნილად და იგი სინამდვილეს არ შეეფერება... 1400 წელზე მეტია საქართველოს საკათალიკოსო არსებობს. ამ ხნის მანძილზე კანონიერად ითვლებოდა ყოველივე ის, რასაც პროკურორი პლახოტინი დანაშაულად მითვლის“¹⁰¹. პეტერბურგის საიმპერატორო კარმა ანტონ მეორისადმი წაყენებული ბრალდებები კარგად გამოიყენა მასზე ზეწოლისათვის. იმპერატორმა განიხილა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის მიერ გაცემული მიწის გაჩუქების საკითხი, ყველა ისინი გააუქმა და ახლი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ქონების დაპატრონებისათვის. 1810 წლის 18 სექტემბერს ობერპროკურორმა ალ. გოლიცინმა იმპერატორის სურვილი ამცნო მთავარმართებელ ალ. ტორმასოვს: „სინოდს აქამდე არ ჰქონია გავლენა და არც ცნობები საქართველოს სამღვდელოების შესახებ და დამავალა, თქვენ დაუკავშირდეთ მთავარეპისკოპოსს ვარლამ ერისთავს და ადგილობრივ გარემოებათა გათვალისწინებით წარმოადგინოთ თქვენი აზრი, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი საქართველოს სამღვდელოების მართვა, იმდაგვარად, რომ იგი დამოკიდებული იქნეს რუსეთის უწმიდეს სინოდზე. აგრეთვე დასახელდეს ის პირები, რომელიც საჭიროა შევიყვანოთ მმართველობაში“. ალ. ტორმასოვმა ობერპროკურორის მოხსენების საფუძველზე ვარლამ მთავარეპისკოპოსს აცნობა: „ხელმწიფე-იმპერა-

ტორმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რუსეთის უნმიდეს სინოდს არ აქვს გავლენა საქართველოს სამღვდელთა საეპისკოპოსოს და არც არავითარი ცნობები ამ უკანასკნელთა შესახებ. იმპერატორმა სინოდის ობერპროკურორის მეშვეობით დამავალა თქვენთან ერთად, ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით მოვანყოთ საქართველოს სამღვდელთა საეპისკოპოსოს მმართველობა ისე, რომ იგი დამოკიდებული იყოს რუსეთის უნმიდეს სინოდზე”¹⁰². მოტანილი დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ პეტერბურგში ანტონ მეორის ჩასვლამდე უკვე გადანყვეტილი იყოს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების საკითხი, ხოლო ანტონ მეორის გამგზავრება ამ პრობლემას უმტკივნეულოდ გადანყვეტდა.

რუსეთში გამგზავრების წინ კათოლიკოსმამოინვია საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები, გამოემშვიდობა მათ და სამი მღვდელმთავრისაგან, არქიეპისკოპოს ვარლამის თავმჯდომარეობით საქართველოს სასულიერო მმართველობა შეადგინა. ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი იყო ქართველი ხალხის სულიერი მესაჭე. რუსეთის მიერ დამონებული ქართველი ერი მთელი 10 წლის მანძილზე თავისუფლების იმედს ხედავდა ანტონ კათოლიკოსში. რუსეთში მიმავალ კათოლიკოს-პატრიარქს ქართველი ხალხის დიდი სიყვარული მიაცილებდა. ანტონ მეორე ნამდვილად იმსახურებდა ამ სიყვარულს. ფიზიკური გარეგნობითაც გამოირჩეოდა ეკლესიის მწყემსმთავარი. თვითმხილველების გადმოცემით „იგი იყო წარმოსადეგი, გამომჩეოდა დარბაისლობითა და არაჩვეულებრივი სილამაზით. მაღალი, ჩამოსხმული, გრძელი, ხშირი წვერით, შავი, ღრმა თვალებით, სავსე, ცოცხალი, აღმოსავლური ტიპისათვის დამახასიათებელი ლამაზი სახით”¹⁰³.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე ქართველ პოეტთა თუ შემოქმედთა შთაგონების წყაროდ იქცა. ანტონ მეორეს დიდად აფასებდა ცნობილი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი. როგორც ცნობილია, ბესარიონ გაბაშვი-

ლი ანტონ კათოლიკოსის მამის მეფე ერეკლე მეორის მიერ დევნილი იყო და იგი იმერეთის სამეფოში აფარებდა თავს, სადაც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. ერეკლე მეორისადმი ცუდი განწყობილების მიუხედავად ბესარიონ გაბაშვილმა ანტონ კათოლიკოსისადმი თავისი კეთილგანწყობა ორი ლექსით გამოხატა. მკვლევართა აზრით, იგი დანერვილი უნდა იყოს 1789-1790 წლებში კრემენჩუგში, სადაც ბესარიონ გაბაშვილი, როგორც იმერეთის სამეფოს წარმომადგენელი, დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა¹⁰⁴. ბესიკის პირველი ლექსი მიძღვნილი ანტონ მეორისადმი ანბანთქების სახითაა დანერვილი. ერთსტროფიანი ამ ლექსის თითოეული სიტყვის პირველი ბგერა ქართული ანბანის რიგს შეესატყვისაბა¹⁰⁵. ბესიკის მეორე ლექსი „ზმა“ ვერსიფიკაციის ფორმით არის დანერვილი, სადაც ორი მომიჯნავე სიტყვის ან მათი ნაწილების შეერთებით ახალი სიტყვა მიიღება.

„ანტონ კათოლიკოსზედ

(ზმა)

1

სამოთხით წულობს, დავითის ზმარადდულობს
ხედვათ ზე მასტრულობს, მეორეთა აღმკულობს,
სხეულით სულობს, სულით გონებამზულობს,
მთით შთამოსრულობს, მეორედ მოსედ მკულობს.

2

ლივ ანტო ნი ავ, სულის სუნნელობს ზედა
თხემსა მეთენსა შენსა, ათორთ ენისას
განეყოვლადვის მკვიდროანთა მკვიდრივე;
მიმღები მისცემ ღრუბლით სლვით რწმუნებულთ.
მზებრ განმყოფი სულს ძლით უხვებით”¹⁰⁶.

ანტონ მეორეს სიყვარულით აღსავსე ლექსი უძღვნა მისმა ძმამ მირიან ბატონიშვილმა. მირიან ბატონიშვილი 1783

წელს ანტონ მეორესთან და გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად რუსეთში გაემგზავრა, სადაც იგი ერთხანს ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებდა და ქალაქ ელისავეტგრადში ფედმარშალ პოტიომკინის ბანაკში იმყოფებოდა. ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1797 წელს. „ანტონ მეორე იყო ზნეობრივად მაღალი, განათლებული და მწერლობის დიდი მოყვარული. მირიანი ამ თვალსაზრისით შეაქებს იერარქ ძმას და სინანულს გამოთქვამს, რომ რუსეთში ყოფნის გამო ის ახლოს ვერ განიცდის საყოველთაო ბედნიერებას“¹⁰⁷.

რუსეთში მყოფი მირიან ბატონიშვილი ანტონ მეორეს წერდა:

„ოდეს ზენამ მყო, თქვენით მარად განაწირიან,
მას დღით მუნადმდე თვალნი მარად სტირიან,
ვერ მოლოდინე თქვენნის წიგნის მირიან“¹⁰⁸.

ცნობილმა მოღვაწემ დავით ალექსი-მესხიშვილმა ვრცელი ქებათა-ქება უძღვნა ანტონ მეორეს. ლექსი ანაბანთ-ქების ვერსიფიკაციის ფორმითაა დაწერილი¹⁰⁹.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ-ერთ კრებულში მოთავსებულია 1810 წელს ანტონ მეორისადმი მიძღვნილი ლექსი. კრებულის გადამწერის სავარაუდო შეხედულებით მისი ავტორი უნდა იყოს მღვდელი იოანე ლარიძე. ლექსი დაწერილია იმ დროს, როცა კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთში მიემგზავრება. ავტორი ამ ლექსით გამოხატავს სიყვარულს და მადლიერებას საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის მიმართ.

„იამპიკო ხუთ მუხლზედ, ათორმეტ მარცვლოვანი ხმა და სამსახეობა:

კუალად მისდაცა ვიტრფოდ, ვინ არს მიზეზი.
ამის სიბრძნისა. ჩვენ გამო ახლად მფენი.

არისტოტელები ბრძენ უფროს პლატონის.
უგანსნავლულეს, სოკრატ და დიოგენესი.
მწყემსი ქართველთა, უვიცების განმდევნი:
აქა განვსჭურიტეთ. ენა მზე ციცირონი:
ვისმინოთ მისთა ტკბილი თქმობათა წყარონი.
მწყემსი მოძღუარი ეკლესიათ კანონი.
შევამკოთ ჩვენი, სასიქადულო ანტონი
შრომა უძილი, სიბრძნის მოყუარებისად.
მეცადინეობა, განსაკვირვოი ბრძენთად.
წარმატებითა, შემკულნი, მარადის სიქადულად.
ვით განცისკროვნდა, ქართლ ნათელ მთიებისად
სრულისად მზესა, მაღალ რასთ გამომთქმელსა.
გონება ბრძენსა, არ მაქვსა მზენავმსა.
ღვთის მეტყუელებრთა, თქმათა წინწილებას მჰსტვენსა
ეკლესიისასა ოხვრათ აღმომჟღერსა.
ვუძღვნათ მადლობა მწყემსსა ბრძენთა უბრძნესსა¹¹⁰.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონ მეორემ წასვლის წინ კათოლიკოსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა ვარლამ არქიეპისკოპოსი. არჩევანი შემთხვევითი არ იყო. ვარლამ ერისთავი, მიუხედავად რუსული ორიენტაციისა, სხვა მღვდელმთავრებზე მაღლა იდგა ცოდნითა და გამოცდილებით.

ვარლამი დაიბადა 1762 წელს ქსნის უკანასკნელი ერისთავის დავითის ოჯახში. ქსნის ერისთავთა საგვარეულო ცნობილი იყო მწიგნობრობით, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ვარლამის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. სწავლისადმი ინტერესი მან პატარაობიდანვე გარდმჩინა. საოჯახო განათლების მიღების შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ვარლამი უშუალოდ კათოლიკოს ანტონ I-ის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსეთში ექსორიობაში მყოფ ანტონ I-ს თან გაჰყო-

ლია ვარლამი, ვითომდა სასულიერო აკადემიაში განათლების მისაღებად. 1763 წელს სამშობლოში დაბრუნებული კათოლიკოსს ვარლამიც თან ჩამოჰყოლია¹¹¹. რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ დროისათვის იგი საკმაოდ მცირეწლოვანი იყო.

ანტონ კათოლიკოსის დახმარებით ვარლამი დიდად გაინაფა საერო და სასულიერო მწერლობაში. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, იგი იყო ღრმად განსწავლული „საფილოსოფოსო სწავლასა და ღვთისმეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქადაგე... ამან ისწავა რუსული ენა კეთილად და ქმნა საუფლოთა და სხვათა დღესასწაულთა ქადაგებისა წიგნი, საამო სასმენი და კარგა დათხზული“¹¹². იგივე იოანე ბატონიშვილის ცნობით „ამან ასწავა სხვათა და სხვათა მონაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი“¹¹³. მისი მეშვეობით ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო ცოდნას დაუფლებია ცნობილი გრამატიკოსი იოანე ქართველიშვილი¹¹⁴. აღსანიშნავია, რომ თავისი მონაფის ი. ქართველიშვილის ნაშრომი „ქართული გრამატიკა“ ვარლამ ერისთავმა 1815 წელს თბილისში გამოაქვეყნა¹¹⁵.

ვარლამ ერისთავი სამეფო კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ბატონიშვილებთან. როგორც ჩანს, ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ერისთავთა შთამომავლებისაგან მეფე ერეკლე მეორეს არ სურდა გარკვეული პრობლემები შექმნოდა და ამიტომ იგი ყოველმხრივ ცდილობდა ვარლამის სასულიერო კარიერისათვის ხელი შეეწყო. ალბათ ამით იყო განპირობებული, რომ ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე მეორეს კათოლიკოსად ვარლამ ერისთავის დანიშვნა განუზრახავს, მაგრამ გიორგი ბატონიშვილის თხოვნით ამ თანამდებობაზე ანტონ მეორე დასვეს. ვარლამს კი ახტალის საეპისკოპოსო გადასცეს¹¹⁶.

კათოლიკოს ანტონ II-ის კურთხევით ვარლამ ერისთავი 1794 წელს გაემგზავრა რუსეთში, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს და დააბინავეს პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში. 1801 წლის დასაწყისში ვარლამი პეტერბურგის მიტროპოლიტმა ამბროსიმ თავის მრჩევლად აიყვანა, ხოლო იმავე წლის მარტში იგი იმპერატორ პავლე I-ის თანხმობით რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად აირჩიეს¹¹⁷.

ვარლამ ერისთავის რუსეთში მოღვაწეობა ნაყოფიერი აღმოჩნდა, სათანადოდ შეისწავლა რუსული ენა, აგრეთვე დაუფლებია ძველ ებრაულს¹¹⁸. იგი საფუძვლიანად გასცნობია რუსულ საერო და სასულიერო ლიტერატურას. პეტერბურგში ვარლამმა გამართა ქართული სტამბა და ხელი მიჰყო საგამომცემლო საქმიანობას. ეგზარქოსობიდან გადაყენებული მოსკოვში მყოფი ვარლამი კვლავ საგამომცემლო მოღვაწეობას ეწეოდა. მას ორ ათეულზე მეტი წიგნი გამოუცია. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მან თავისი მოძღვრის კათოლიკოს ანტონ I-ის ნაშრომების გამომხეურებას. 1806 წელს გამოსცა მის მიერ შედგენილი „სადღესასწაულო“, ხოლო 1821 და 1825 წლებში ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდა ანტონ კათოლიკოსის „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლისა დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელი“¹¹⁹. ვარლამი დიდად აფასებდა ანტონ I-ის ღვაწლს ქართული საეკლესიო მწერლობის განვითარებაში. მისი კეთილგანწყობილება თავისი მოძღვრის მიმართ იმითაც დასტურდება, რომ მან დიდად იზრუნა ანტონ I-ის საფლავის კეთილმოწყობისათვის, რომელსაც ამშვენებდა მის მიერ შესრულებული წარწერა: „საფლავსა ამას შინა მდებარე არის მეფის იესეს - ძე, კათოლიკოზი ანტონი მცხეთისა და ყოვლისა საქართველოსა და ჩლენი უწმიდესი სინოდისა, რომელმანცა შეამკა ეკლესია საქართველოსა სრულითა ტიპიკონითა და საეკლესიოთა ცერემონიითა, განაშუენა ენა ქართუელთა კეთილითა მჭერმეტყუელებითა და ღრამატიკითა და წიგნნი სა-

ფილოსოფოსონი და სალუთის-მეტყუელონი რაოდენიმე თვით ქმნა და რაოდენიმე გარდამოიღო სხუათა და სხუათა ენათაგან ქართულეთა ენასა ზედა; და ესე ვითარითა შრომითა დიდითა განმაშუენებული ქართულისა ენისა და ეკლესიათა მიიცუალა საგლოველად საზოგადოებისა, წელსა ჩღჰჰ თთუესა მარტსა (1788, მარტი 1)"¹²⁰. ვარლამს ეკუთვნის აგრეთვე ანტონ კათოლიკოსისადმი მიძღვნილი ეპიტაფია:

„ქართველთ ერთ ექმნა მეორედ ოქროპირად,
პავლედ მქუხარედ, უმეცართ განანირად,
გრიგორად მალლად, მგმობთა განაპირად
აქვნდა რა იყო, ქვეყნისაგან დანაპირად
დატევა სამწყსო ღვთისადმი შენაპირად“¹²¹.

პეტერბურგში ყოფნის დროს, 1802 წელს ვარლამს რუსულ ენაზე გამოუქვეყნებია თავისი ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც მიზნად ისახავდა, რუს მკითხველს ინტერესი გასჩენოდა ახლადშემოერთებული ქართველი ხალხის ენის მიმართ¹²².

წყაროები გადმოგვცემენ, რომ ვარლამი იყო შესანიშნავი მქადაგებელი და „ძლიერი დახელოვნებული საღმრთო წერილში“¹²³. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის მკვლევრები ნ. კანდელაკი, ვ. კეკელიძე და პ. იოსელიანი ვარლამის ქადაგებებს მაღალ შეფასებას აძლევენ და მას სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ I-ის, ბესარიონ ორბელიძეილის და სხვათა სახელების გვერდით აყენებდნენ¹²⁴. იგი მრავალი ქადაგების ავტორი ყოფილა. ჩვენამდე მხოლოდ ბეჭდური სახით არსებულმა მისმა ხუთმა ქადაგებამ მოაღწია: 1) „სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე თქმული წმიდისა პასეკისა მწუხრისა ზედა“; 2) „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელი“;

3) „სიტყვა თქმული ოქტომბრის 29, 1788 წელს საკათალიკო-ზო საყდარსა ზედა აღსვლისას და ნიშნების მირთმევასა ანტონ ირაკლი მეფისა ძისასა“; 4) „ირაკლის მიმართ მეფისა სრულიად საქართველოსი დღესა უფლისა ჩვენისა იესოს შობისა წელსა 1794“; 5) „სიტყვა პავლე ციციშვილისადმი“¹²⁵. პ. იოსელიანის გადმოცემით, დეკანოზ გერასიმე პასესკის რუსულად უთარგმნია ვარლამის ქადაგებანი, რომელიც გამოქვეყნებულია კიდეც¹²⁶. როგორც ჩანს, პ. იოსელიანს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ვარლამ ერისთავის „განმარტებანი სახარებისა“, რომელიც ზემოთ დასახელებულ დეკანოზს რუსულად უთარგმნია და 1821 და 1824 წელს ორჯერ გამოუციათ. ვარლამ ერისთავის „განმარტება სახარებისა“ 1825 წელს მოსკოვში ქართულადაც გამოქვეყნებულია¹²⁷. ქადაგებებისა და „ქართული გრამატიკის“ გარდა მას შეუქმნია სხვა ნაშრომებიც: „გეოგრაფიული ატლასი“, „სახელმძღვანელო ართმეტიკისა“, „ლექსი მირიან ბატონიშვილთან მიწერილი“ და სხვა¹²⁸.

1808 წლის მეორე ნახევრიდან ვარლამ ერისთავს რუსეთიდან საქართველოში აბრუნებენ. წინასწარვე ნავარაუდები იყო, რომ რუს მოხელეებს სურდათ იგი გამოეყენებინათ იმ დროისათვის ჩვენში მიმდინარე საეკლესიო რეფორმების განხორციელებისათვის. ამ მხრივ, ვარლამი მართლაც შესაფერისი კანდიდატურა იყო, რომელიც ახლოს იცნობდა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ეკლესიის სტრუქტურას. ვარლამ ერისთავის დაბრუნების მომენტში საქართველოს მთავარმართებელი ალ. გორმასოვი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ანტონ II კათოლიკოსისაგან მოითხოვდა ეკლესიის რეორგანიზაციას. პეტერბურგის საიმპერატორო კარი დიდ იმედებს ამყარებდა ვარლამ ერისთავზე, რომელიც გვერდში ამოუდგებოდა მთავარმართებელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაში.

ერთი მხრივ ღრმად განსწავლული, მეორე მხრივ პატივ-მოყვარე ვარლამ ერისთავი გახდა შემოქმედი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა, რასაც მალე ავტოკეფალიის გუქმება მოჰყვა.

კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელ ვარლამ მთავარეპისკოპოსს ჯერ კიდევ ანტონ მეორის რუსეთში გამგზავრებამდე უზენაესი მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა მაშინდელი საქართველოს ეკლესიის მდგომარეობისა და მისი მმართველობის შეცვლის შესახებ ვრცელი მოხსენება წარედგინა რუსეთის უწმიდეს სინოდში განსახილველად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ეპარქიების შემცირებისა და სასულიერო დიკასტერიის დაარსების მიზანშეწონილობის საკითხს. გამოირკვა, რომ 1811 წლის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში იყო 13 ეპარქია, რომელთაც სათავეში 7 მღვდელმთავარი ედგა, 746 მღვდელი 799 ეკლესიას ემსახურებოდა, დიაკვნები იყვნენ 146, ეკლესიის სხვა მსახურები - 661, 9 საარქიმანდრიტოს შვიდი არქიმანდრიტი განაგებდა. ცამეტივე ეპარქიის მფლობელობაში იყო 2213 კომლი საეკლესიო გლეხი. ამას ემატებოდა საარქიმანდრიტოებზე მიწერილი 637 კომლი. ვარლამ მთავარეპისკოპოსი შეეცადა დაეზუსტებინა ეკლესიის წლიური შემოსავალი, რომელიც მისი ცნობით, ეპარქიებში შეადგინა 26360 მანეთს, საარქიმანდრიტორობებში - 13226 მანეთს¹²⁹. ამ მონაცემების შემდეგ მთავარეპისკოპოსი თავის შეხედულებას გამოთქვამს საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ. იგი საჭიროდ მიიჩნევს სასულიერო დიკასტერიის დაარსებას, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ არქიმანდრიტები და დეკანოზები უნდა ყოფილიყვნენ ექვსი კაცის შემადგენლობით. აღ. ტორმასოვის უშუალო მითითებით სასულიერო დიკასტერიის წევრებად დასახელდნენ: ქვათახევის არქიმანდრიტი დოსითეოსი, იკორთის - გამალიელი, კახეთის არქიმანდრიტი ელეფთერ ზუკაკი-შვილი, მცხეთის - იოანე მაღალაშვილი; დეკანოზები: იოსებ

წინამძღვრიშვილი და დიმიტრი ალექსეევი¹³⁰. დასახელებული პიროვნებები რუსეთის სამსახურში იდგნენ და ბუნებრივია, რუსეთის მთავრობისათვის სასურველი იყო მათ ხელში ყოფილიყო საეკლესიო მმართველობის ორგანო, რორმელიც საქართველოს ეკლესიას რუსეთის უწმიდესი სინოდის დანამატად აქცევდა. ვარლამმა თავისი შეხედულება გამოთქვა ეპარქიებისა და საარქიმანდრიტოების შემცრების შესახებ. მანვე წამოაყენა წინადადება, რომ მოლდავეთისა და ვლახეთის საეკლესიო მეთაურის მსგავსად, უნდა შეცვლილიყო საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრის ტიტული და კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად მას უნდა ეწოდოს „მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი და სინოდის ეგზარქოსი საქართველოში“, რომელიც აგრეთვე რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრიც იქნებოდა¹³¹.

მთავარმართებელმა 1811 წლის 18 თებერვალს ვარლამ მთავარეპისკოპოსის მიერ შემუშავებული საქართველოს ეკლესიის რეოგრგანიზაციის პროექტი გაუგზავნა რუსეთის უწმიდეს სინოდს განსახილველად. მას თან დაურთო თავისი ვრცელი მოხსენება, რომელშიც იგი მთავარეპისკოპოსის ყველა მოსაზრებაზე დასაბუთებულ განმარტებას იძლეოდა და აღიარებდა, რომ პროექტის ყველა დებულება მასთან იყო შეთანხმებული. გარდა ამისა, აღ. ტორმასოვი მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებდა ისეთ საკითხებზე, რომლებზეც ზემოთ აღნიშნულ პროექტში არაფერი იყო ნათქვამი. მისი აზრით, საელკესიო აზნაურებს უნდა ჩამორთმეოდათ ეკლესიამონასტრების მამულების მეურვეობა. ეს მამულები სახაზინო გამგებლობაში უნდა გადასულიყო, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული საეკლესიო ქონების განიავება. მისივე წინადადებით თბილისში უნდა გახსნილიყო სასულიერო სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულები სათანადო ცოდნის მიღების შემდეგ შეძლებდნენ მღვდელმსახურებას, როგორც თვითონ წერს: „ეს საჭიროდ მიმაჩნია, რადგან აქ საეკლესიო

წოდებას ლებულობს ხალხი დაუმსახურებლად. თუკი იმპერატორი ამ წინადადებას დაეთანხმება, მაშინ სასულიერო პირებად გიმნაზია დამთავრებულები იმსახურებენ, რომლებიც სათანადოდ იქნებიან განათლებულები". რა თქმა უნდა, რუსი მოხელე ქართველი სასულიერო პირთა განათლებით არ იყო დაინტერესებული. მას სურდა მეფის ერთგული სასულიერო პირების აღზრდა, რომლებიც მათი პოლიტიკის გამტარებლები იქნებოდნენ. მოხსენების დასასრულს ალ. ტორმასოვი ობერპროკურორს აცნობებს: „რუსეთში მყოფ ანტონ კათალიკოსს არ უნდა დაველოდოთ, რადგან იგი აქაურ საქმეებს წესრიგში ვერ მოიყვანს. ამის გარდა თვითნებურად მოქმედებს და არავის და არაფერს ანგარიშს არ უწევს. ამის უფლებას მას სამეფო გვარის ჩამომავლობაც აძლევს, რადგან იგი არის მეფე ერეკლეს შვილი და უკანასკნელი მეფის - გიორგის ძმა. ამიტომ მიმაჩნია ყველაზე სასარგებლოდ რუსეთის უწმიდესი სინოდის ეგზარქოსად და მცხეთა-თბილისის მიტროპოლიტად დაინიშნოს ვარლამი, როგორც სინოდის წევრი, რომელიც კარგად იცნობს რუსეთში არსებულ საეკლესიო წესებს". მანვე კახეთისა და ალავერდის ეპარქიის მმართველად მოითხოვა მიტროპოლიტ იოანე ბოდბელის დანიშვნა. დააყენა წინადადება, რომ სასულიერო პირებს ჯამაგირი ხაზინიდან მისცემოდათ, რადგან ამით ანტონ კათალიკოსს უფლება აღარ ექნებოდა მოეთხოვა საქართველოს ეკლესიის შემოსავლიდან გარკვეული თანხა ¹³².

ალ. ტორმასოვისა და ვარლამ მთავარეპისკოპოსის მოხსენებების საფუძველზე ობერპროკურორმა 1811 წლის 21 ივნისს იმპერატორ ალექსანდრე პირველის სახელზე ხელმოსაწერად შეადგინა პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ. რუსეთის უწმიდესი სინოდი საიმპერატორო კარის წინაშე წინადადებას აყენებდა: 1) საქართველოში აქამდე არსებული 13 ეპარქიის ნაცვლად შეიქმნას ორი მცხე-

თისა და ქართლის და მეორე - ალავერდისა და კახეთის. ცხრა საარქიმანდრიტოდან დარჩეს მხოლოდ ხუთი.

2) საქართველოს ეკლესიის მეთაურად დაინიშნოს მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი, მიეკუთვნოს მას სამუდამოდ ტიტული სინოდის წევრისა და მისი ეგზარქოსისა.

3) დაარსდეს დიკასტერია, მსგავსად რუსეთში არსებულისა, საქართველოს ეგზარქოსის მეთაურობით. დიკასტერია დაამტკიცებს ეკლესიათა და სასულიერო პირთა რაოდენობას, წარმართავს სასულიერო საქმეებს;

4) მღვდლებისა და ეკლესიის მსახურთა შვილების სასწავლებლად თავდაპირველად გიმნაზიის ნაცვლად გაიხსნას სასულიერო სემინარია;

5) თანხა, რომელიც საჭიროა ეკლესიის ხარჯებისათვის, საეკლესიო შემოსავლებისაგან გაიღება;

6) ეკლესიისა და მათ მსახურთა შესანახად სინოდი თანხმება: მიწები, რომელიც ეკლესიას ჰქონდა რუსეთის მმართველობის დამყარებამდე, ისევ ეკლესიას დარჩეს, რაც შეეხება იმ აზნაურებს, რომლებიც ეკლესიის მიწებს მართავდნენ, რადგანაც საეკლესიო გლეხთაგან შემოსავლის აკრება ხდება დიკასტერიის მიერ, ასეთი მმართველები საჭირო აღარ იქნება" ¹³³.

რადგან ეკლესიის რეორგანიზაციის დროს რუსეთის უწმიდესი სინოდი დიდ იმედებს სასულიერო დიკასტერიაზე ამყარებდა, ამიტომ მან მისი ფუნქციების განსაზღვრას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა: „1. შეისწავლოს ამჟამად არსებული ეკლესიები და მათში მოსამსახურე მღვდლებისა და სასულიერო პირების მდგომარეობა. თუ რომელიმე მათგანი ზედმეტია, ასეთი ეკლესიები გააუქმონ, მოსამსახურეები დაითხოვონ ანდა სხვა ეკლესიებში განანესონ, ხოლო ვინც ეკლესიიდან იქნება გაშვებული, მას დაენიშნოს წოდების შესაფერისი შემოსავალი; 2. საეკლესიო გლეხთა შემოსავალი მოყვანილ იქნას სრულ წესრიგში.

ამისათვის ნება მიეცეს დიკასტერიას შეამონმოს შემოსავალ-
გასავალი... 3. ცნობილია, თუ რამდენად გაძნელებულია საეკ-
ლესიო შემოსავლების ნატურის სახით აღება და იმისათვის,
რომ ეს თავიდან იქნეს აცილებული, ის შემოსავლები, რომლე-
ბიც უნდა დაიხარჯოს ეკლესიაზე, სასულიერო სასწავლებ-
ლებზე და სხვა დანესებულებებზე, შეიცვალოს ფულით, რო-
მელიც დიკასტერიას გადაეცემა. ხოლო ის შემოსავლები, რო-
მლებიც განკუთვნილია მღვდელმთავრებისა და არქიმანდრი-
ტების შესანახად, მიეცეთ მათ ნატურით დიკასტერიის გადან-
ყვეტილებით”¹³⁴.

ალექსანდრე პირველმა სინოდის აღნიშნულ პროექტს
1811 წლის 30 ივნისს წააწერა: „ასე იყო”¹³⁵. რუსეთის იმპერა-
ტორმა ერთი ხელის მოსმით გადანყვიტა მრავალსაუკუნოვა-
ნი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ბედი, რომელიც
ამიერიდან რუსეთის უნმდეს სინოდს დაექვემდებარა. ასეთი
თვითნებური გადანყვეტილებით უგულებელყოფილ იქნა მო-
ციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა გადანყვეტილე-
ბანი, რომელთა მიხედვით თითოეულ ავტოკეფალურ ეკლესიას
თვითონ აქვს უფლება, გადანყვიტოს თავისი ბედი გარეგანი
ჩარევის გარეშე. ალექსანდრე პირველის გადანყვეტილება
რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის გაგრძელება იყო სუ-
ლიერ სფეროში. რუსეთის რეაქციულმა ძალებმა კარგად იც-
ოდნენ, რომ ქართველი ხალხის ასიმილაციისათვის საჭირო
იყო იმ ერთადერთი სულიერი სფეროს მოსპობა, რომელიც
ერის პოტენციური შესაძლებლობის გამომხატველი იყო და
სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა. ავტო-
კეფალიის გაუქმების შემდეგ ჩვენში დაკანონდა ღვთისმსახუ-
რების სლავური წესი და პრაქტიკა, ხოლო წირვა-ლოცვა ხალ-
ხისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. რუსეთის
უნმდეს სინოდში საქართველოს ჯზარქოსს მეოთხე ადგილი
ეკავა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და მის მიერ გამოწვეული მძიმე შედეგების შესახებ სამართლიანად მიუთითებდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე 1926 წლის 27 იანვარს წმიდა ნინოს ხსენების დღეს წარმოთქმულ ქადაგებაში: „დიდი რუსეთის ეკლესიის თავი... ვერ მიუდგა პატარა საქართველოს ეკლესიის სხეულს: მან მოაშორა საქართველოს „სულის ხელმწიფე“, ჩაუკეტა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ ნავთსაყუდელი და წმიდა ნინოს ეკლესია გადააქცია „მართლმადიდებელი აღსარების უწყების“ განყოფილებად“¹³⁶.

საქართველოს ეკლესიისა და სასულიერო დიკასტერიის ხელმძღვანელად, როგორც წინასწარ იყო ნაგარაუდები, დაინიშნა რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრი ვარლამ ერისთავი, რომელსაც ებოძა საქართველოს ეგზარქოსის ტიტული. მასვე დაევალა მცხეთისა და ქართლის ეპარქიის მიტროპოლიტობა, ხოლო ალავერდისა და კახეთის მიტროპოლიტად დაინიშნა იოანე ბოდბელი. სასულიერო დიკასტერიის შემდაგენლობაში შეიყვანეს ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული რუსული ორიენტაციის სასულიერო პირები, რომლებმაც 1811 წლის 9 აგვისტოს ფიცის ტექსტით ერთგულება გამოუცხადეს რუსეთის იმპერატორს¹³⁷.

სასულიერო დიკასტერიამ 1815 წლის 8 მაისამდე იარსება. 1814 წელს დასველთ საქართველოს საკათალიკოსოს ლიკვიდაციის შემდეგ იგი გაუქმდა და დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომლის ხელმძღვანელობა ეგზარქოსს დაევალა.

მართალია, ვარლამ ერისთავმა ბევრი იშრომა საეგზარქოსოს ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ რეაქციული ძალები ვერ ისვენებდნენ. ისინი ი ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ ეგზარქოსი ქართველი იყო. ამიტომ შეეცადნენ ვარლამ მიტროპოლიტის თავიდან მოცილებას. საამისოდ მიმართეს ნაცად ხერხს - ერთმანეთს წაკიდეს ქართველი სასულიერო პირები. რუსეთი-

დან ახლად დაბრუნებული დოსითეოს ფირცხელაური და ვარლამ ეგზარქოსი ერთმანეთს მტრობდნენ. ავტოკეფალიის გაუქმებამდე დოსითეოსი ანტონ მეორის თანამზრახველთა წრეს ეკუთვნოდა. როცა კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთში გაიწვიეს, დოსითეოსი მას თან გაჰყვა. პეტერბურგში დოსითეოსის მიმართ იმპერატორმა დიდი გულმონყალება გამოიჩინა. იგი აკურთხეს ეპისკოპოსად და თან დაუნიშნეს პენსია ორი ათასი მანეთის ოდენობით. მასვე პეტერბურგში დაავალეს საქართველოს ეკლესიის ახალი მმართველობის შემუშავება. შემდეგ იგი გამოუშვეს საქართველოში და დანიშნეს ქორეპისკოპოსად. 1815 წელს დოსითეოსი გადაიყვანეს თელავის მღვდელმთავრად და აგრეთვე ჩააბარეს ოსეთის სასულიერო კომისიის ხელმძღვანელობაც¹³⁸.

ვარლამ ეგზარქოსსა და მის ნააზნაურალ ეპისკოპოს დოსითეოს ფირცხელაურს შორის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა. სიონის ტაძრის დეკანოზი იოანე ოსეშვილი ორივეს მუხლმოდრეკით ეხვეწებოდა, შურისა და მტრობისათვის თავი დაენებებინათ: „...თორემ დაღუპავთ სამშობლოს, ეკლესიას და თქვენს თავსაცო, არაფერს კეთილს არ დაგაყრიან რუსებო“¹³⁹. ყური არ უგდეს დეკანოზის რჩევას და როცა ვარლამ მიტროპოლიტი რუსეთში გაიწვიეს, ხოლო მის მაგივრად რუსი ეგზარქოსი დანიშნეს, მაშინ ენიშნათ ოსეშვილის რჩევა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ახალმა ეგზარქოსმა ეპისკოპოსი დოსითეოსიც გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და ისიც რუსეთში გადაასახლეს¹⁴⁰.

რუსეთში განწვევის შემდეგ მიტროპოლიტი ვარლამი დაინიშნა მოსკოვში დანილოვის მონასტრის წინამძღვრად, სადაც იგი გარდაიცვალა 1830 წელს. დასაფლავებულია იქვე.

მიტროპოლიტ ვარლამის მოცილების შემდეგ 1817 წელს საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა თეოფილაქტე რუსანოვი. ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1917 წლამდე საქართველოს ეკლესიის მეთაურად ვხედავთ მხოლოდ რუსი ეროვნე-

ბის მღვდელმთავრებს. მათი მეშვეობით რუსეთის იმპერიის მმართველი წრეები თავიანთი რეაქციული პოლიტიკის გატარებას ახდენდნენ საქართველოში. ეგზარქოსების საქმიანობის შესახებ სამართლიანად მიუთითებდა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე: „ჩვენი ენის, ზნე-ჩვეულებები-სა და წარსულის უცოდინარი სინოდის ეგზარქოსები საქართველოს ეკლესიას ამართავდნენ „ბრძანებითა მისი უდიდებულესობისათა“ და არა სჯულის კანონისა და საქართველოს ეკლესიის კრებათა ხელმძღვანელობით. ხოლო ადგილობრივი მათი თანამშრომლები ეპისკოპოზნი და მღვდელნი, ახალი მდგომარეობით ხელფეხშეკრულნი, ველარ ახერხებდნენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობის შესრულებას“ - მართლისა დამტკიცებას და გულარძნილსა განხდას“¹⁴¹. სწორედ ასეთ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა თეოფილაქტე რუსანოვი, რომელიც „იყო კაცი სასტიკი, უსამართლო, შეუბრალებელი და გაუტანელი“¹⁴². რუსეთში ყველამ შეიძულა იგი თავისი ახირებული შეხედულებების გამო, „თეოფილაქტე დორბლებს ჰყრიდა ხოლმე პირიდან, როცა კი გაჯავრდებოდა და სამღვდლო პირთა როზგავდა კიდევ“¹⁴³. მან მოსვლისთანავე სიონის საკათედრო ტაძარში სლავური ღვთისმსახურება შემოიღო. ხოლო ქართველ სასულიერო პირთა გვარებს მოაკვეცა „შვილი“ და „ძე“ და შეუცვალა „ОБЪ“-ით“¹⁴⁴. თეოფილაქტე ენერგიულად შეუდგა ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას. აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიის რეორგანიზაცია მან უმტკივნეულოდ განახორციელა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმების გატარების დროს იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რასაც მოჰყვა 1819-1820 წლებში იმერეთსა და გურიაში „საეკლესიო აჯანყება“. ქართველი ხალხის აღნიშნული აჯანყება იმის დასტური იყო, რომ სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად დამონებული ერი ვერ ეგუებოდა ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობას და ხმას იმაღლებდა რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ. თეოფი-

ლაქტე რუსანოვი უკან მაინც არ იხევდა. იგი იმდენად გათავ-
ხედდა, რომ 1821 წელს ბოდბეში საკუთარი ხელით გათხრა
დაუწყო ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს საფ-
ლავს, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთმა საქციელმა თავიდანვე
შეაძრუნა, გული გაუსკდა და იქვე გარდაიცვალა.

ამრიგად, ანტონ კათოლიკოს-პატრიარქის რუსეთში გა-
წვევით რუსეთის მმართველმა წრეებმა უმტკივნეულოდ შე-
ძლეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, რა-
მაც ქართველი მორწმუნე ერი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ენანებოდა თავისი ქვეყნისა და საკათალიკოსო ტახტის დატოვება, ამიტომ ფეხს ითრევდა, მაგრამ რუსი მოხელეების ძალდატანებამ და მის მიმართ ნაყენებულმა ყალბმა ბრალდებებმა იძულებული გახადეს რუსეთში გამგზავრებულიყო. 1810 წლის 3 ნოემბერს ანტონ მეორე თბილისიდან გავიდა, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უკანასკნელად წირა, პარაკლისიც გადაიხადა და ცრემლმორეული სამუდამოდ გამოეთხოვა თავის ქვეყანას და სამწყსოს.

ანტონ მეორემ რუსეთში გაიყოლა თავისი თანამზრახველები, რომელთა შორის იყო თბილისის კვირაცხოვლის ეკლესიის დეკანოზი აარონ ალექსი-მესხიშვილი მეუღლითურთ, მცხეთის საკათალიკოსოს სარდალი, თავადი ბეცია გედევანიშვილი, აზნაური ნიკოლოზ ელიოზისძე, ორი მთავარ დეკანოზი - ქრისტეფორე და ეპიფანე, აზნაური გიორგი ათანალიშვილი, ექიმი სოლომონ აკიმოვი, აზნაურები: იოსებ თულაშვილი, ნიკოლოზ ნაცვლიშვილი, მზარეული იაგორა ომანიშვილი, მსახური ბასილი, ნინია თულაშვილი, არქიმანდრიტი დოსითეოსი და ნეოფიტე. მოზდოკში მათ შეუერთდნენ კათალიკოსის ამალის ჩინოვნიკები: თავადი იოსებ მაღალაშვილი, აზნაური გრიგოლ ნათიშვილი და ბოქაული, თავადი ნიკოლოზ მიქაძე-ფალავანდიშვილი. გამყოლთა შორის იყო ანტონ მეორის დისშვილი, ერთ დროს თბილისის მოურავად ნამსახური ევსტატე ციციშვილი, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახლთუხუცესის მოვალეობას ასრულებდა. სულ კათოლიკოსის ამალაში 22 კაცი იმყოფებოდა. აღნიშნული პირებიდან ზოგიერთი საქართველოში დაბრუნდა, ხოლო რუსეთში დარჩენილთა ნაწილი კათალიკოსის დიდ მფარველობას განიცდიდა და მისი ხელშეწყობით ისინი სამსახურში მოენწყვნენ.

ზოგიერთი მათგანი რუსეთის მთავრობისაგან პენსიასაც ლე-
ბულობდა¹.

საქართველოს კათოლიკოს-პარიარქ ანტონ მეორის გა-
მგზავრება მთავარმართებელმა ალ. ტორმასოვმა სასწრაფოდ
აცნობა პეტერბურგს. საიმპერატორო კარი სათანადოდ მომ-
ზადებული ხვდებოდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთა-
ვარს. ჯერ კიდევ, პირველი გამგზავრების დროს (როგორც
ცნობილია ეს გამგზავრობა არ შედგა და ანტონ მეორე დუშეთი-
დან თბილისში დაბრუნდა) საიმპერატორო კარმა ყველაფერი
იღონა იმისათვის, რომ კათოლიკოსს ღირსეულად დახვედრო-
დნენ. იმპერატორმა ანტონ მეორის გამგზავრების ინფორმა-
ციის მიღებისთანავე ობერპროკურორ ალ. გოლიცინს დაავა-
ლა ეზრუნა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის საზეიმო
დასახვედრად. რუსეთის უწმინდესი სინოდის ხელმძღვანელმა
შინაგან საქმეთა მინისტრს კოზოდავლევს დაავალა საქარ-
თველოს კათოლიკოს-პატრიარქის საიმპერატორო დედაქალაქ-
ში ჩასვლამდე მისთვის შესაფერისი სახლი დაექირავებინათ.
შინაგან საქმეთა მინისტრი მთავარ პრისტავს თავად ნიკო-
ლოზ ვასილის ძე იაბლონსკის აღნიშნული საკითხის შესახებ
წერდა: „უწმინდესი სინოდის ობერპროკურორმა თავადმა
ალ. გოლიცინმა მაცნობა, რომ ხელმწიფე-იმპერატორის
ბრძანებით საქართველოს სამღვდლოების შესახებ საქმეები-
სათვის აქ გამოძახებული საქართველოს უპირველესი მრტ-
როპოლიტი, კათოლიკოსი ანტონი გამოსულა უკვე საქართვე-
ლოდან. უმაღლესი ბრძანების თანახმად მომზადებულ იქნეს
სახლი კათოლიკოს ანტონისათვის. თავს ვალდებულად
ვთვლი, ეს უმაღლესი ბრძანება მოვახსენო თქვენს აღმატე-
ბულებას და გთხოვოთ... წინასწარ იზრუნოთ კათოლიკოსის
დასაბინავებელი სახლის გამოსაძებნად და მაცნობოთ მე შემ-
დგომი განკარგულებისათვის, ვის სახლს გამოძებნით და რა
ფასად იქნება დაქირავებული“². ნ. იაბლონსკიმ მოკლე დროში
შეასრულა შინაგან საქმეთა მინისტრის დავალება. მან ანტონ

მეორისათვის გამონახა სამოქალაქო მრჩევლის კაკურინის 18 ოთახიანი, ავეჯით განწყობილი, კეთილმონწყობილი ბინა, წლიური 4000 მანეთის ასიგნაციის გადახდით. მანვე ობერპროკურორს და ფინანსთა მინისტრს აცნობა, რომ ქირის ნახევარი 2000 მანეთი წინასწარ უნდა გადაეხადათ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე. შინაგან საქმეთა მინისტრი კმაყოფილი იყო ნ. იაბლონსკის ოპერატიულობით. ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით სახლის მფლობელ კაკურინთან სასწრაფოდ გაფორმებულ იქნა შესაბამისი ხელშეკრულება³. იმპერატორის მითითებით პრისტავმა ნ. იაბლონსკიმ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მიიღო 1000 მანეთი ანტონ მეორის საზეიმოდ მიღების მოსაწყობად. ოპერატიულად მოგვარდა დაქირავებული სახლის კეთილმონწყობა. დამატებით შეტანილ იქნა საჭირო ავეჯი. კათოლიკოსის ჩასვლამდე დაქირავებული სახლის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა მინისტრის მითითებით ნ. იაბლონსკიმ დარაჯი გამოყო⁴.

როგორც ვხედავთ, პეტერბურგისაკენ მიმავალ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მისი თანმხლები პირების მიღებისათვის სათანადო პირობები, ჯერ კიდევ, 1810 წლის აგვისტოს ბოლოსათვის შექმნილი იყო.

მთავარმართებელმა ალ. ტორმასოვმა სათანადო ღონისძიებები განახორციელა ანტონ მეორის გასამგზავრებლად, მგზავრობის ხარჯი 5000 მანეთი მთავრობის ბიუჯეტიდან გამოიყო. საქართველოს მმართველმა თ. ახვერდოვმა კათოლიკოს-პატრიარქს და მის თანმხლებ პირებს არაგვის ხეობაში უსაფრთხოდ გავლის მიზნით სოფელ კობამდე გააყოლა დანილოვის პოლკის ოფიცერი 16 კაზაკთან ერთად, ხოლო კობიდან ვლადიკავკაზამდე მათ მიაცილებდა ხევისა და თაგაურის ხეობაში დაბანაკებული რუსი ჯარისკაცები⁵. დაცვის გაყოლებით ტორმასოვს სურდა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც ადრე გავრცელებულ ხმებთან იყო დაკავშირებული, რომ ლევან ფარნაოზის ძე ბატონიშვილს

არაგვის ხეობის ოსების დახმარებით არ ჩაეშალა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის გამგზავრება რუსეთში.

ანტონ მეორემ თანმხლებ პირებთან ერთად მშვიდობიანად გაიარა საქართველოს საზღვარი. ამის შემდეგაც არ მოცილებია მას დაცვა და პეტერბურგამდე იგი მგზავრობდა ჯარისკაცთა ბადრაგის გაძლიერებული დაცვის ქვეშ⁶.

საქართველოდან ანტონ მეორეს თან მიჰქონდა საპარტიარქოს სალაროს ნაწილი, რამდენიმე წმიდა ხატი, საკათალიკოსო შესამოსლები და თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლის ძირითადი ნაწილი ანტონ პირველის შრომებისაგან შედგებოდა.

ოთხთვიანი, დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ, 1811 წლის 10 მარტს ანტონ მეორე პეტერბურგიდან ერთი კვირის სავალზე, სოფელ ტოსნაში შეჩერდა. მოსკოვში გავლის დროს იგი შეხვედრია თავის ძმას ფარნაოზ ერეკლე მეორეს ძეს, რომელმაც საქართველოს სულიერი მოძღვარი პეტერბურგამდე მიაცილა. ანტონ მეორის მითითებით 1810 წლის 10 მარტს ბოქაულმა ნიკოლოზ მიქაძე-ფალავანდიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს კოზოდავლევს აცნობა: „თბილისიდან წამოსული კათოლიკოსი ანტონი მოვიდა სოფელ ტოსნაში, სხვებთან ერთად მას თან ახლავს აზნაური ელიოზიშვილი და კაზაკი ფროლოვი. კათოლიკოსთან ერთად მოსკოვიდან მოვიდა ქართველი ბატონიშვილი ფარნაოზ ერეკლეს ძე“⁷. კოზოდავლევმა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ ალ. გოლიცინს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მობრძანება აცნობა.

1811 წლის 19 მარტს საქართველოს კათოლიკოსი და მისი თანმხლები პირები პეტერბურგში დიდი პატივით მიიღეს. პრისტავმა ნ. იაბლონსკიმ შინაგან საქმეთა მინისტრის მხარდაჭერით არაფერი დაიშურა, რომ მისი მიღება საზეიმო ვითარებაში მომხდარიყო. ნოხებით მორთული, გაჩირაღდებული დარბაზი საპატიო სტუმრებს ვერ იტევდა. ნ. იაბლონსკი წინა-

სწარ იყო გაფრთხილებული ხელისუფლებისაგან, რომ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის მიღება მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. მასპინძელთა შორის არ იყო არც ერთი მაღალი თანამდებობის პირი. კულისებს მიღმა მყოფი გამარჯვებული იმპერატორი სახსრებს არ იშურებდა „საპატიო სტუმრების“ გამასპინძლებისათვის. საზეიმო მიღებისათვის წინასწარ გამოყოფილი 1000 მანეთი ნ. იაბლონსკის არ ეყო და საკუთარი თანხა 601 მანეთი და 47 კაპიკი დახარჯა, რაც შემდგომ აუნაზღაურეს⁸. იმპერატორ ალექსანდრე პირველის ასეთი დაინტერესება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დიდებული მიღებით საიმპერატორო კარის სტუმართმოყვარეობით არ აიხსნება. ანტონ მეორე იმპერატორისათვის მართლაც სასურველი სტუმარი იყო, რომელიც საპატიო სტუმრის ნაცვლად პატივყარილ, დატყვევებულ პიროვნებას ჰგავდა, რომელსაც ხელიდან გამოსტაცეს უძველესი საკათალიკოსო.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ანტონ კათოლიკოსი თავის თანმხლებ პირებთან ერთად ნაქირავებ, 18 ოთახიან ბინაში დაბინავდა, რომლის ქირას, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო იხდიდა. რუსეთის საიმპერატორო კარი და რუსეთის უწმინდესი სინოდის ხელმძღვანელობა პეტერბურგში მყოფ პატივყარილ ქართველ მწყემსმთავარს და მის თანმხლებ პირებს პირველ ხანებში დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. იმის გამო, რომ დაქირავებულ სახლში არვითარი ჭურჭელი არ აღმოჩნდა, კათოლიკოსმა თვითონ შეადგინა სია მისთვის აუცილებელი ნივთებისა და მათ მისაღებად თხოვნით მიმართა იმპერატორს. ხელმწიფის განკარგულებით და წარმოდგენილი სიის თანახმად, კათოლიკოსს სასახლის კანტორიდან გამოეყო სუფრის ორი დუჟინი ვერცხლუული და სამზარეულო ჭურჭელი მცირე რაოდენობით⁹. ანტონ მეორეს გადანყვებილი ჰქონდა, რომ ერთი წლის შემდეგ საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდოდა, სადაც მისი ახლობლები ცხოვრობდნენ. კათოლიკოსის ეს განზრახვა სამფო კარისათვის ცნობილი იყო.

ანტონ მეორის გადასვლას პეტერბურგიდან მოსკოვს იმით ხსნიდნენ, რომ ჩრდილოეთის ცივი კლიმატი მის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებდა. ანტონ მეორემ იმპერატორისაგან ნაბოძები ვერცხლის ჭურჭლის თავის საკუთრებაში დატოვება მოინდომა და ამის შესახებ პრისტავ ნ. იაბლონსკის აცნობა: „თქვენს მიერ კანტორიდან მოტანილი ზოგიერთი ვერცხლის ჭურჭელი და სხვა საგნები მე მჭირდება. ამიტომ ისინი მე ავიღე და პეტერბურგიდან წასვლისას თან წავიღებ. უმოჩილესად გთხოვთ თქვენ... მიშუამდგომლოთ სადაც საჭიროა, რათა საკუთრებაში დავიტოვო ზემოთ აღნიშნული ჭურჭელი და სხვა საგნები, რომელიც მე მივიღე იქ მოსვლის შემდეგ“. ნ. იაბლონსკიმ ყოველივე მოახსენა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორს ალ. გოლიცინს. ამ უკანასკნელმა კი ნებართვა იმპეტარორისაგან აიღო, რითაც დაკმაყოფილებულ იქნა კათალიკოსის სურვილი. კმაყოფილების ნიშნად ანტონ მეორე ნ. იაბლონსკის წერდა: „სასიამოვნო მოვალეობაა ჩემთვის მოვახსენო თქვენს უმაღლესობას ჩემი მგრძნობიარე მადლობა, თქვენი ჩემს სასარგებლოდ ყოველგვარი გულმოდგინე ღვაწლისათვის, რადგან მოვედი რა მე პეტერბურგში, დამხვდა ყოველმხრივ მორთული და დალაგებული სახლი, ყველა საჭირო საგნებითა და ავეჯით განწყობილი, რა თქმა უნდა, თქვენი შემწეობითა და წყალობით“¹⁰.

პეტერბურგში მყოფი ანტონ მეორე და მისი თანმხლები პირები გაურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ. მართალია, მათთვის უცნობი იყო ის საიდუმლო მიმონერები, რომელიც თბილისსა და პეტერბურგს შორის წარმოებდა კათალიკოსის რუსეთში განწვევის შემდეგ, მაგრამ ანტონ მეორე უკვე დარწმუნებული იყო იმაში, რომ მას საქართველოში აღარავინ დააბრუნებდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა კათალიკოს-პატრიარქმა 1811 წლის 21 მაისს ვრცელი წერილით მიმართა იმპერატორ ალექსანდრე პირველს. კათოლიკოსი შეახსენებს იმპერატორს, რომ საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყა-

ნაა, რომლის ეკლესიას მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ კათალიკოსი მართავდა და რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროში. მაგრამ „თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის სამემკვიდრეო ტახტზე ასვლის შემდეგ, შევიდა რა საქართველო რუსეთის შემადგენლობაში. თქვენმა საიმპერატორო უდიდებულესობამ ჩემი ყურადღება მიიქცია და კეთილი ინებეთ დაგემტკიცებინეთ მე იგივე ადგილზე, ჩემსავე თანამდებობაზე, რაც ჩანს 1801 წლის 31 დეკემბრის რესკრიპტში, რომელიც ჩემს სახელზეა შედგენილი, როცა თქვენ განმასხვავებელი ნიშნები მინყალობეთ. მე კი ჩემს თანამდებობასთან დაკავშირებულ მოვალეობად ჩავთვალე და არ შემინყვეტია ქართველი ხალხის გამხნეება. მისთვის მაგალითის მისაცემად, მე პირველმა დავიფიცე უმაღლესი ტახტის ერთგულებაზე“. საქართველოს ეკლესიის ყოფილი მწყემსმთავარი იმპერატორს სთხოვს, კვლავ შეუნარჩუნდეს მისი უდიდებულესობის კეთილი განყოფილება: „უმორჩილესად გთხოვთ - წერდა იგი წერილის დასასრულს - რომ ამის შემდეგ ვიცხოვრო უზრუნვეყოფილი და რიგიანი შემოსავლით, საკუთარი წოდების, კათალიკოსის ტიტულისა და მასთან დაკავშირებული უპირატესობათა შენარჩუნებით. გთხოვთ, დამავალოთ, და შემინარჩუნოთ თქვენი უმაღლესი საიმპერატორო უდიდებულესობის ისეთივე მფარველობა, როგორითაც აქამდე ვსარგებლობდი“¹¹.

მოტანილი ვრცელი მასალა ნათლად მეტყველებს იმაზედ, რომ ანტონ მეორე შესაძლებლად მიიჩნევდა, იმპერატორის მფარველობით კვლავ დაუბრუნდებოდა თავის სამწყსოს, მაგრამ 1811 წლის 10 ივნისს ალექსანდრე პირველის გამოცემულმა რესკრიპტმა ეს იმედი საბოლოოდ გადაუნურა. იმპერატორმა ყოველგვარი მორიდების გარეშე კათალიკოსს ამცნო: „სრულიად რუსეთის სახელმწიფოსთან საქართველოს მიერთების შემდეგ, საქართველოს ეკლესიაც უთუოდ უნდა შეერთებულიყო უნმინდესი და უმართებულესი სინოდის გამ-

გეობას. ახალ მმართველობასთან შეუთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათოლიკოსის დატოვება. უეჭველია, თქვენ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, მომართვით თხოვნა თქვენი მომავალი ცხოვრების მონყობის თაობაზე და თქვენთვის იმ ტიტულის დატოვების შესახებ, რომელსაც ასე დიდხანს ატარებდით. ზემოაღნიშნულ მიზეზთა პატივისცემის გამო, ყოვლადწყალობით გითხოვთ საქართველოს ეკლესიის საქმეთა მართვისაგან, უწმინდესი სინოდის წევრობისა და კათოლიკოსის წოდების შენარჩუნებით". დაკარგული დამოუკიდებლობის საკომპენსაციოდ იმპერატორი ანტონ მეორეს პირდებოდა: „სალმრთო მსახურების დროს გექნებათ თქვენ ყველა სასულიერო უპირატესობა, რომელიც აქამდე გქონდათ, ხოლო საეკლესიო იერარქიაში მოხსენიებული იქნებით, როგორც უნეტარესი. ბერძნულ-რუსულ იერარქიაში თქვენ ჩაითვლებით პირველი კლასის მოძღვართა შორის, როგორც აქამდე იყო ოთხი, შესაბამისად დაიჭერთ მეხუთე ადგილს“¹². ალექსანდრე პირველი ამჯერად უკვე ყოფილ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს პირდებოდა მატერიალურ უზრუნველყოფას, „წყნარ და უშფოთველ ცხოვრებას შუაგულ რუსეთში“¹³.

იმავე დღეს ალექსანდრე პირველმა მეორე რესკრიპციით კათოლიკოსი ანტონ მეორე დააჯილდოვა ანდრია პირველწოდებულის ორდენით. იმპერატორი კათოლიკოსს ატყობინებდა: „ვაფასებთ რა თქვენს დიდხნიერ სათნოებით სავსე ეკლესიის სამსახურს და რუსეთის ერთგულებას, ჩვენ აღვასრულებთ ჩვენს გულითად სასიამოვნო სურვილს და მოვალეობას გამოგიცხადოთ თქვენ წყალობა და სათნოება... ჩვენი იმპერატორებითის წყალობით მარად თქვენდა მადლობელი ვარ“¹⁴. რა თქმა უნდა, უმრევლოდ და უტახტოდ დარჩენილი კათოლიკოსი ანტონ მეორე კმაყოფილი არ იქნებოდა იმპერატორის მიერ ბოძებული პრივილეგიებით.

იმპერატორმა იმავე წლის 10 ივნისს რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს მისცა განკარგულება, რომ ეზრუნათ ქართველი კათოლიკოსის ბედზე, რადგან მის მიერ კათოლიკოსისადმი მინიჭებული უფლებების რეალიზაცია სინოდის პრეროგატივას წარმოადგენდა. იმპერატორისათვის აგრეთვე ცნობილი იყო, რომ ანტონ მეორეს სურდა საცხოვრებლად მოსკოვში გადასულიყო. ხელმწიფის მითითებით, რუსეთის უწმინდეს სინოდს აუცილებლად უნდა დაეკმაყოფილებინა კათოლიკოსის აღნიშნული სურვილი და შესაბამისი ხარჯებიც უნდა გაეღო.

იმპერატორის განკარგულების საფუძველზე 1811 წლის 11 იანვარს ობერპროკურორმა ალ. გოლიცინმა კათოლიკოს ანტონ მეორეს აცნობა: „მისმა უდიდებულესობამ იცის, რომ თქვენ სამუდამო სამყოფლად გსურთ მოსკოვი, უკეთესი კლიმატის გამო, ან იქნებ იმიტომაც, რომ ქართველები აქ, ამ უპირველეს სატახტო ქალაქში ბევრნი არიან... მოსკოვში ქართული სამეფოს სახლის საქმეებზე მზრუნველს პეტრე სტიფანეს ძე ვასილევს ებრძანა დაიქირავოს თქვენთვის რიგიანი სახლი ხაზინის ხარჯზე“¹⁵. იმპერატორის ნებართვით, ანტონ მეორეს უფლება ეძლეოდა საჭიროების შემთხვევაში წერილობით პირდაპირ ხელმწიფისათვის მიემართა.

მოსკოვში ანტონ მეორის გამგზავრებასთან დაკავშირებით სპეციალური გადანყვეტილება იქნა მიღებული, რომელიც 1811 წლის 14 ივნისს იმპერატორის მითითებით ობერპროკურორმა უწმინდესი სინოდის წევრებს გააცნო. რუსეთის უწმინდესი სინოდის დადგენილებაში აღნიშნული იყო: 1) ანტონ კათოლიკოსის საცხოვრებლად, მისი სურვილის თანახმად, დამტკიცდეს ქალაქი მოსკოვი; 2) ნება მიეცეს მას ჰქონდეს კარის ეკლესია; 3) არ ეკრძალება საეკლესიო მსახურება, როცა კი მოისურვებს სხვადასხვა ეპარქიასა და მონასტერში, მაგრამ იგი უნდა მოხდეს ადგილობრივი საეპარქიო ხელმძღვანელების თანხმობით; 4) ღვთისმსახურების ჩატარების

დროს, მას უნდა მოემსახუროს მიძინების ტაძრის მთავარ-
დიაკონი, სინოდალური მგალობლები და დიაკონები; 5) საეკ-
ლესიო სალარო, რომელიც მან საქართველოდან წამოიღო, მი-
სსავე განკარგულებაში რჩება; 6) მსახურების რაოდენობა და-
ენიშნოს მიტროპოლიტის ხარისხის შესაბამისად¹⁶.

იმპერატორის განკარგულებით ფინანსთა სამინისტრო-
სა და რუსეთის უნმიდესი სინოდის ერთობლივი გადაწყვეტი-
ლებით სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ანტონ მეორეს ყოველწ-
ლიური პენსია დაენიშნა 10 ათასი ვერცხლის მანეთი ანუ 40
ათასი მანეთი ასიგნაციით (იმ დროს ერთი ვერცხლის მანეთი
უდრიდა 4 მანეთ ასიგნაციას). ანდრია პირველწოდებულის
ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით კათოლიკოსი
ყოველწლიური დანამატის სახით საკმაოდ სოლიდურ თანხას
ღებულობდა. მასვე ეძლეოდა 1809 წელს ჩამორთმეული ჩე-
ლიაქის საბაჟოს სანაცვლო წელიწადში 10700 მანეთი ასიგნა-
ციით. ამ დანამატით ანტონ მეორის წლიური პენსია შეადგენ-
და 54 ათას მანეთს ასიგნაციით¹⁷. უმაღლესი განკარგულებით
ანტონმა მიიღო ნებართვა, რომ 62 სახაზინო მოსამსახურე
ჰყოლოდა. მან თავისთან მხოლოდ 15 დაიტოვა. მოსამსა-
ხურეთა ანაზღაურებისათვის ხაზინიდან დამატებით გამოყო-
ფილ იქნა ყოველწლიური თანხა 2086 მანეთის რაოდენობით.

იმავე ივნისის თვეში იმპერატორის ბრძანებით ანტონ
კათოლიკოსს ებოძა ხავერდის მწვანე მანტია, მოჭიქული
სჯულის ფიცრებით, ოქროთი ამოქარგული ჯვრებით და სხვა
მორთულობებით. ვერცხლით მოჭიქულ ქვედა კალთებზე ამ-
ოქარგული იყო სანყისი ასოებით იმ პირთა სახელი და წოდე-
ბა, ვისთვისაც განკუთვნილი იყო მანტია. ალექსანდრე პირვე-
ლის განკარგულებით სამეფო კარის კანტორიდან ანტონ მეო-

* სჯულის ფიცარი - ძველი აღთქმის მღვდელმთავრის საეკლესიო
შესამოსელი. სიმბოლურად გამოხატავდა ღმერთის მიერ მოსესა-
დმი ბოძებულ ათ მცნებას, რომელიც ამოკვეთილი იყო ფიქალზე.

რისათვის საჩუქრად უნდა გადაეცათ ოთხადგილიანი ფრანგული ოქროს კარეტა, რომელიც ოდესღაც იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულს ეკუთვნოდა. ექვსფანჯრიანი კარეტის ძარა ყვავილებითა და გირლიანდებით იყო მორთული. კარეტას ებმებოდა ექვსი ცხენი, რომელთაც თავზე სხვადასხვა აღკაზმულობა და სირაქლემას ფრთები ჰქონდათ დამაგრებული¹⁸.

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრობიდან გადაყენების შემდეგ მიმონერა გაიმართა რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრ კოზოდავლევს შორის გადამდგარი კათოლიკოსის ტიტულის შესახებ. ობერპროკურორმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გადამდგარი კათოლიკოსი ამიერიდან უნდა მოხსენიებულიყო არა „უწმიდესის“, არამედ „მღვდელმთავრის“ ტიტულით, რაც ამცირებდა ანტონ მეორის ღირსებას, რადგან „მღვდელმთავრის“ ტიტული გამოიყენებოდა როგორც მალალი, ისე დაბალი ეპისკოპოსების (მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი) მიმართ. „უწმიდესის“ ტიტულით სარგებლობდნენ მხოლოდ კათოლიკოსები და პატრიარქები. ამ პრინციპის გამო შეუთავსებელი და უხერხული იყო ანტონ მეორის კათოლიკოსობის ნოდებიდან „მღვდელმთავრის“ ტიტულით მოხსენიება. დეკანოზ ვ. ჟმაკინის აზრით, რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორმა თითქოს თვითნებურად გადაწყვიტა კათოლიკოსის ტიტულის საკითხი¹⁹, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, რადგან შეუძლებელია ალ. გოლოცინს იმპერატორის ნებართვის გარეშე ანტონ მეორის გარშემო რაიმე კერძო ხასიათის გადაწყვეტილება მიეღო. მითუმეტეს მან იცოდა, რომ 1811 წლის 30 ივნისის იმპერატორის რესკრიქტით ანტონ მეორეს თანამდებობიდან გადადგომის სანაცვლოდ ყველა ნოდება და ტიტული უნარჩუნდებოდა. როგორც ჩანს, სინოდის ობერპროკურორს საიდუმლო სიტყვიერი მითითება ჰქონდა კათოლიკოსის აღნიშნული ტიტულის შესახებ, სხვა-

ნაირად აღ. გოლიცინი იმპერატორის სურვილის საწინააღმდეგოდ ვერ წავიდოდა. ეტყობა, ეს სიტყვიერი შეთანხმება საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, რათა ანტონ მეორეს არ დაეკარგა იმპერატორისადმი ნდობა. კათოლიკოსი ანტონ მეორე უკმაყოფილო იყო მისთვის მინიჭებული ახალი ტიტულით. თუმცა ამის შესახებ მას ოფიციალურად არაფერი განუცხადებია.

ანტონ კათოლიკოსი დიდად ზრუნავდა თანმხლები პირების მატერიალურ უზრუნველყოფაზე. ამ მიზნით, მან 1811 წლის აგვისტოს დასაწყისში სთხოვა იმპერატორს თავის ამაღლაში მყოფი საერო პირები მათი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ჩინებითა და პენსიებით დაეჯილდოებინა, ხოლო ზოგიერთი მათგანის სამშობლოში დაბრუნებისათვის საჭირო პირობები შეექმნა. მცხეთის საკათალიკოსოს ყოფილი სარდალი თავადი ბეცია გედევანიშვილი, აზნაურები ნიკოლოზ ელიოზიშვილი და გრიგოლ ნათიშვილი, რომლებიც ადრე კათოლიკოსის საშინაო მეურნეობას განაგებდნენ უსახსროდ რჩებოდნენ. რუსეთის იმპერატორმა საეკლესიო აზნაურებს ჩამოართვა საკათალიკოსო მეურნეობის მართვის უფლება, რის გამოც მათი მომავალი ბედი გაურკვეველი ჩანდა. თავადი იოსებ მაღალაშვილი, რომელიც კათოლიკოსის ადიუტანტი და მისი მდივანიც იყო, არსაიდან არ ლებულობდა შემოსავალს და ანტონ მეორის ხარჯზე ცხოვრობდა. ალექსანდრე პირველის განკარგულებით ზემოთ ჩამოთვლილ პირებს მიეცათ ჩინები, ფულადი, ჯილდოები და დაენიშნათ პენსია. ანტონ მეორის თანმხლებმა თბილისელმა ექიმმა, კათოლიკოსის შუამდგომლობით, საქართველოში გამგზავრების წინ, სახელმწიფოს ხაზინიდან მიიღო სამგზავრო ფული და ტიტულიანი მრჩევლის ჩინი. ხოლო დონის ჯარების კაზაკს თეოდორ ფროლოვს, რომელიც თბილისიდან პეტერბურგამდე კათოლიკოსს არ მოსცილებია, სამგზავრო ფულის გარდა, ჯილდოდ ასი მანეთი გადაეცა.

მოსკოვში ანტონ მეორის საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით 1811 წლის 16 ივნისს რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორმა კრემლის ექსპედიციის მმართველს, ნამდვილ საიდუმლო მრჩეველს, პეტრე სტიფანეს ძე ვალუევს იმპერატორის განკარგულებით დაავალა კათოლიკოსისათვის მოსკოვში მაღალი სასულიერო პირებისთვის შესაფერის უბანში დაექირავებინა არც თუ დიდი, მაგრამ კარგი ავეჯით განყოფილი ეზოიანი სახლი. პ. ვალუევი, რომლის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ მოსკოვში მცხოვრები რუსეთში გადასახლებული ქართული სამეფოს ოჯახის წევრები, როგორც ჩანს, ხალისით არ შეხვედრია ობერპროკურორის წინადადებას და შემთხვევას ეძებდა მისგან თავის დასაძვრენად. იგი ალ. გოლიცინს თავაზობდა, რომ უკეთესი იქნებოდა, კათოლიკოსისათვის შენობა რომელიმე მონასტერთან ახლოს გამოენახათ, სადაც სასულიერო პირებისათვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ყოფნა, ვიდრე კერძო დაქირავებულ სახლში. ობერპროკურორი არ დათანხმდა პ. ვალუევის წინადადებას და კატეგორიულად მოითხოვა სინოდისა და იმპერატორის განკარგულება სასწრაფოდ შეესრულებინა. პ. ვალუევმა მოძებნა და დაიქირავა სახლი ღვთისმშობლის მიძინების ტაძართან ახლოს, პოკროვკაზე, რომელიც თავად დოლგორუკოვს ეკუთვნოდა, წელიწადში სამი ათას მანეთად, რომლის თანხას ხაზინა იხდიდა. თავად დოლგორუკოვის სახლი შეესაბამებოდა ყველა იმ მოთხოვნას, რასაც ობერპროკურორი ითხოვდა. დაქირავებული სახლი სამეურნეო მიზნებისათვის ძალზე მოხერხებულად იყო განლაგებული. იგი გარშემორტყმული იყო ორი ბაღით, გამოირჩეოდა კეთილმოწყობითა და სისუფთავით, მაგრამ საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ, მართალია, კათოლიკოსი მაღალი სასულიერო პირი იყო და თან მეფე ერეკლე მეორის შვილი, მაგრამ იგი იმავე უფლებებითა და პრივილეგიებით არ სარგებლობდა, როგორც სარგებლობდნენ მოსკოვში მცხოვრები ქართული სა-

მეფოს ოჯახის წევრები. ამ უკანასკნელთ მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, სასახლეები ჰქონდათ კრემლსა და მოსკოვის პრესტიჟულ უბნებში, რომლებიც მათ კუთვნილებას წარმოადგენდა. ანტონ მეორეს მათგან განსხვავებით დაქირავებულ ბინაში უნდა ეცხოვრა, ვინაიდან, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი განმარტავდა, კათოლიკოსის შესახებ არ არსებობდა „განმარტება სახელმწიფო საბჭოში“²⁰.

მოსკოვში გამგზავრებამდე ანტონ კათოლიკოსმა 1811 წლის 23 აგვისტოს ობერპროკურორის საშუალებით იმპერატორს თხოვნა გაუგზავნა თავის ამაღლაში მყოფი დისშვილის ევსტათე ციციშვილის შესახებ. ანტონ მეორე ჯერ კიდევ ახლადწამოსული იყო პეტერბურგში, როცა მისი თხოვნით ე. ციციშვილს იმპერატორმა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის წოდება მიანიჭა. ახლა კი იმპერატორისაგან ითხოვა, რომ მისი დისშვილი წმიდა ანნას პირველი ხარისხის ორდენით დაეჯილდოვებინა. ალექსანდრე პირველმა არ დააკმაყოფილა კათოლიკოსის შუამდგომლობა. ცოტა ხნის შემდეგ ანტონ მეორემ კვლავ მიმართა იმპერატორს ისევ თავისი დისშვილის შესახებ და აცნობა, რომ, რადგან მან კარგად არ იცოდა რუსული ენა, ე. ციციშვილი მისთვის თარჯიმნის ფუნქციას ასრულებდა. ამის გამო იგი მოითხოვდა, რომ გასამრჯელოდ ე. ციციშვილისთვის სახელმწიფოს ხაზინიდან გამოეყო ყოველდღიური თანხა სამი მანეთის ოდენობით. ამ საკითხთან დაკავშირებით იმპერატორს პასუხი არ გაუცია კათოლიკოსისათვის. სამაგიეროდ ობერპროკურორმა არა მარტო უარყო ანტონ მეორის ეს თხოვნა, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ კათოლიკოსი საქართველოს ეკლესიის მართვის ფუნქციებისაგან განთავისუფლებულია და არავითარი საჭიროება არ არსებობს მას სასულიერო საქმეებისათვის ჩინოვნიკი დავუნიშნოთო²¹.

ანტონ კათოლიკოსს სურდა საქართველოდან მოსკოვში გაეწვია ახლობელი სასულიერო პირები მღვდელმონაზონი

ევსევი და დიაკონი ფარსმანი. მათი მგზავრობისათვის საჭირო ხარჯების გაღებას იგი რუსეთის უწმიდესი სინოდისაგან - ითხოვდა. როგორც ჩანს, ანტონ მეორეს ეს თხოვნა არ შეუსრულეს.

ანტონ მეორის დაჟინებული მოთხოვნით საიმპერატორო კარი იძულებული გახდა, ეზრუნა მისი მხლებლების მატერიალურ უზრუნველყოფაზე. კათოლიკოსის წარდგინებით საქართველოს საპატრიარქოს მცველებს, მღვდელმონაზვნებს ქრისტეფორეს და ეპიფანეს დაენიშნათ წლიური სარჩო 250 მანეთი ასიგნაციებით, დეკანოზ აარონ ალექსი-მესხიშვილს დაენიშნა წლიური პენსია 400 მანეთი ვერცხლით და დაჯილდოვდა კუნკულით, ხოლო არქიმანდრიტ ნეოფიტეს პენსია მიეცა 600 მანეთი ვერცხლით და ებოძა ძვირფასი თვლებით შემკული ჯვარი²².

მოსკოვიდან გამგზავრების წინ ანტონ კათოლიკოსი 1811 წლის 31 აგვისტოს იმპერატორს შეხვდა და გამოთქვა რწმენა, რომ მისი უდიდებულესობის მიერ მინიჭებული უფლებები არასოდეს დაირღვეოდა და რომ იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე საიმპერატორო კარის მზრუნველობის ქვეშ იქნებოდა.

1811 წლის 3 სექტემბერს ანტონ კათოლიკოსი პეტერბურგიდან გაემგზავრა. იმავე წლის 4 სექტემბერს ობერპროკურორმა სასწრაფოდ აცნობა პ. ვალუევს კათოლიკოსის გამგზავრება და სთხოვა, რომ იგი თავისი მფარველობის ქვეშ მიეღო. †

† ანტონ მეორის მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. 1811 წლის 21 ოქტომბერს იგი უკვე მოსკოვში თავის თანმხლებ პირებთან ერთად დაბინავდა ნაქირავებ ბინაში. როგორც ჩანს, ანტონ მეორე კმაყოფილი არ იყო დაქირავებული ბინით. ზამთარი ახლოვდებოდა, ბინის გათბობისათვის კი არავინ ზრუნავდა. ობერპროკურორის მიერ ანტონ მეორის მზრუნველად გამოცხადებულმა

პ. ვალუევმა კათოლიკოსი ჩასვლიდან ხუთი დღის შემდეგ მონახულა, რომელსაც ანტონმა მოახსენა, რომ რადგან საშუალება არ აქვს საკუთარი თანხით გათბობისათვის შეშა შეიძინოს, იქნებ თვითონ დაეხმაროს სანჯავის მომარაგებაში. პ. ვალუევმა კათოლიკოსს ამ თხოვნაზე უარი განუცხადა. კათოლიკოსის ახალმა მზრუნველმა კარგად იცოდა, რომ ანტონ მეორე აღნიშნულ საკითხზე იმპერატორს მიმართავდა დასახმარებლად. იმის შიშით, რომ საიმპერატორო კარზე შესაძლებელია ეჭვი შეეტანათ პ. ვალუევზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობაში (ამის პრეცედენტიც არსებობდა, როგორც ზემოთ დავინახეთ, პ. ვალუევი შეეცადა აეცილებინა კათოლიკოსის მზრუნველობა), რასაც შესაძლებელია მისი კარიერის დასრულებაც მოჰყოლოდა. მან დაასწრო კათოლიკოსის თხოვნას და 1811 წლის 26 ოქტომბერს ვრცელი მოხსენება გაუგზავნა ობერპროკურორს კათოლიკოსის მოსკოვში დაბინავებასთან დაკავშირებით. თავის დაზღვევის მიზნით, იგი აუგად იხსენიებს კათოლიკოსს და მის ამალას, რომელმაც თითქოს მაღლობა არ გადაუხადა დაბინავებისათვის. სინამდვილეში კი პირიქით, მათ არ გამოხატეს პატივისცემა კათოლიკოსის მიმართ. მოსკოვში ჩასულ ანტონ მეორეს მაღალ ჩინოსანთაგან არავინ დახვედრია. მხოლოდ სახლის დაცვისათვის გამოყოფილმა მოხუცმა დარაჯმა გადასცა მას მისთვის დაქირავებული ბინის გასაღები. „მზრუნველი“ პ. ვალუევი აღშფოთებული წერს ალ. გოლიცინს, რომ 761 მანეთი დახარჯა სახლის კეთილმოწყობისათვის, „ფეთხუმ“ ქართველებს კი ხუთი დღის განმავლობაში კარების საკეტი და ზოგიერთი ავეჯი დაუმტვრევიათ, „თანაც ეზარებათ ცეცხლის დანთება“. პ. ვალუევის აზრით, თუკი პოლიციის საიმედო ზედამხედველობა არ დავანესეთ, შესაძლებელია სახლი ხანძარმა იმსხვერპლოს. წერილის დასასრულს პ. ვალუევი ობერპროკურორს ატყობინებს: კათოლიკოსმა „ხელიდან არ გაუშვა მომენტი, რომ ჩემთვის ეთქვა, თავის შესანახი თანხიდან შეშის შეძენის

საშუალება არა მაქვსო, რაზეც მტკიცე უარით ვუპასუხე, რადგან არავითარი თანხა არ გამაჩნია მისთვის შეშის საყიდლად. თქვენს ბრწყინვალეობასაც ვურჩევ, თუ იგივე სათხოვრით თქვენც მოგმართავთ, მისი თხოვნა უყურადღებოდ დატოვოთ, რათა ეს არ იქცეს კიდევ ერთ საფუძველად მისი მიდრეკილებისა ურიცხვი პრეტენზიებისადმი, რითაც ისინი (ქართველები - ე. ბ.), ჩემი გამოცდილებით ვიცი გამორჩეულნი არიან. თქვენი უარი აიძულებს მას შეწყვიტოს ბატონობა და თავი ქვეშევრდომად იგრძნოს. სხვაგვარად ისინი (ქართველები - ე. ბ.) რამდენადაც თხოვნისას თავს იმდაბლებენ, იმდენად ამაყები არიან”²³.

თავის მხრივ, ანტონ კათოლიკომა ობერპროკურორს გაუგზავნა იმპერატორისადმი გადასაცემი წერილი. მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია პ. ვალუევის უდიერი მოპყრობის გამო. იგი უკმაყოფილო იყო დაქირავებული სახლის კეითლმოუნყობლობით. „აქვს ბევრი ნაკლი, უფრო მეტიც, შეშა არ გვეგზავნება” - წერდა ანტონ მეორე. დასასრულს იგი იმპერატორს სთხოვდა, მისთვის ხაზიდიდან სპეციალური თანხა გამოეყოთ სახლის გასათბობად და წესრიგში მოსაყვანად²⁴. ობერპროკურორმა პ. ვალუევის წერილზე დაყრდნობით, რომელიც ანტონ მეორესა და მისი თანმხლები პირების ლანძღვა-გინებას შეიცავდა, იმპერატორს ვრცელი მიმართვა გაუგზავნა. მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ კათოლიკოსის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ბუნებრივია, იმპერატორმა ანტონ მეორის თხოვნას უარით უპასუხა.

როგორც ვხედავთ, სამშობლოდან გაძევებული, პატივყარილი კათოლიკოსის მომავალი რუსი ჩინოვნიკების ნებასურვილზე იყო დამოკიდებული, რომლებიც ქედმაღლურად და დამამცირებლად ექცეოდნენ ქრთველი ერის ან უკვე ყოფილ სულიერ მოძღვარს.

პ. ვალუევის მოხსენების საფუძველზე იმპერატორის განკარგულებით, კათოლიკოსისთვის დაქირავებულ სახლში ხა-

ნძრის თავიდან აცილების მიზნით, მოსკოვის პოლიციის შტატიდან დაინიშნა კვარტლის კომისარი, რომლის მოვალეობას შეადგენდა ლუმელების გახურება და მილების განმენდაზე მკაცრი კონტროლი, აგრეთვე, სახლის წესრიგისა და სისუფთავეზე ზრუნვა. კვარტლის კომისარმა მოსკოვის პოლიციის სამმართველოდან განსაკუთრებული წერილობითი ინსტრუქცია მიიღო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის²⁵.

ანტონ მეორეს დიდად ადარდებდა თავისი დისშვილის ევსტატი ციციშვილის ბედი, რომელიც ბიძას თან ჩამოჰყვა და სიკვდილამდე არ მოშორებია. საქართველოში დარჩენილი მისი ცოლ-შვილი და დედა, დაქვრივებული მარიამ ერეკლე მეორის ასული ვალებში იყო ჩაფლული და დიდ მატერიალურ სივინროვეს განიცდიდა. საქართველოში ყოფნის დროს ევსტატი ციციშვილს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ლეკთა ერთ-ერთი თავდასხმის დროს დაჭრილი ე. ციციშვილი ლეკებს დაუტყვევებიათ. შვილის დასახმარებლად დედამისს მამულები დაუგირავებია და ექვსასი მანეთი ვერცხლით გადაუხდია. ვალს ყოველწლიური პროცენტი ემატებოდა. რუსეთში მყოფი ერთადერთი შვილი ოჯახს ვერაფერ დახმარებას უწევდა. თავისი დისშვილის ვალებთან დაკავშირებით კათოლიკოსმა იგი წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს კოზოდავლევს, რომ ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე. იმპერატორმა აღნიშნული თხოვნის განხილვა დაავალა მინისტრთა კომიტეტს, რომლის გადაწყვეტილებით ე. ციციშვილს დაენიშნა ყოველწლიური პენსია ათას ხუთასი მანეთი ვერცხლით და ათასი მანეთი ასიგნაციით. რაც, ბუნებრივია, ვალების გასტუმრებისათვის საკმარისი არ იყო. ამის შემდეგ ანტონ მეორემ თავისი დისშვილის მატერიალური უზრუნველყოფისათვის მიმართა იმპერატორის დედას, დედოფალ მარია თევდორეს ასულს, რომელსაც აუწყა, რომ თავად ე. ციციშვილისადმი დანიშნული ყოველწლიური პენსია არა თუ ვალების, არა-

მედ მისი პროცენტის გასტუმრებისათვისაც კი არ იყო საკმარისი. იგი სთხოვს დედოფალს, უშუამდგომლოს იმპერატორის წინაშე, რომ მისი განკარგულებით ასიგნაციებით დანიშნული თანხა ვერცხლით გადაუხადონ, ხოლო ვერცხლით განზრახული ათას ხუთასი მანეთი თავად ევსტატე ციციშვილის შთამომავლობას გადაეცეს. კათოლიკოსი იმედს არ კარგავდა, რომ მის ამ თხოვნას დედოფალი გულსყურით მოეკიდებოდა. „ეკადნიერდები - წერდა იგი მარია თევდორეს ასულს, - გთხოვოთ თქვენ, დედოფალო, მის უდიდებულესობა იმპერატორთან უშუამდგომლობას. თქვენი დაულალავი მზრუნველობა ობოლთა, უმწეოთა და უბედურთა მიმართ; მარად სახსოვარი წყალობა და სიკეთე თქვენი გულუხვი მარჯვენისა, რომელიც მათზე იფრქვევა, მაძლევენ მე გაბედულებას იმედის ქონისა, რომ ჩემი თხოვნაც არ დარჩება უყურადღებოდ, რადგან ის გზას აძლევს ახალ მადლს, თქვენ კი ზეცის მიერ ჩემთვის მადლის საქმნელად ხართ ნაჩუქარი“²⁶. ასეთი თხოვნის მოუხედავად იმპერატორმა არ დააკმაყოფილა კათოლიკოსის სურვილი. ერთი წლის შემდეგ ანტონ მეორემ ისევ ევსტატე ციციშვილის შესახებ დახმარებისათვის მიმართა ობერპროკურორს, რომ მისთვის ჯილდო მიეცათ, ან წლიური ხელფასი დაენიშნათ. ალ. გოლიცინმა შინაგან საქმეთა მინისტრს კოზოდავლევს მიმართა და თავად ე. ციციშვილისათვის ხელფასის დანიშვნა სთხოვა, იმასთან შეფარდებით, „რასაც ქართული სამეფო ოჯახის წევრებთან გამწესებული სხვა ჩინოვნიკები იღებდნენ“. როგორც მკვლევარი ვ. ჟმაკინი აღნიშნავს, შინაგან საქმეთა მინისტრი კეთილგანწყობით არ მოჰკიდებია ობერპროკურორის თხოვნას. „მე არ შემიძლია - წერდა იგი რუსეთის სინოდის ობერპროკურორს - თქვენი ბრწყინვალეების სურვილის შესრულება თავადი ციციანოვის კათოლიკოსთან ჯამაგირიან ბოქაულად გამწესებაზე. ჯერ ერთი, მე არ შემიძლია ხელმწიფესთან ვიშუამდგომლო სასულიერო პირისათვის ბოქაულის დანიშვნის თაობაზე. მოკლედ,

თუ თქვენი ბრწყინვალეობა მიიჩნევს, რომ თავად ციციანოვს შეუძლია სასარგებლო იყოს კათოლიკოს ანტონისათვის, ხომ არ ინებებდით, რადგან ეს საკითხი სასულიერო პირს ეხება, პირდაპირ, თქვენი სახელით მოგეხსენებინათ მინისტრთა კომიტეტისათვის²⁷. აღნიშნული თხოვნაც უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

რუსეთში მყოფი ანტონ მეორე არ ივინყებდა საქართველოში დარჩენილ თავის ერთგულ მსახურებს და მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვისაც ზრუნავდა. საქართველოში მოღვაწეობის დროს ანტონმა შეიკედლა გაქრისტიანებული სპარსელი გრიგოლ სულთანი, რომელსაც კათოლიკოსის რუსეთში განვევის შემდეგ მთავარმართებელმა ალ. ტორჭასოვმა კვირაში ხუთი მანეთი ვერცხლით დაუნიშნა. ახალმა მთავარმართებელმა მ. პაულიჩმა მას ეს დახმარება მოუხსნა. მოსკოვში მყოფმა ანტონმა შეიტყო რა ყოველივე 1812 წლის 3 თებერვალს, შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა ეზრუნა უსახსროდ დარჩენილი გრიგოლ სულთანის მატერიალური დახმარებისთვის. თავის მხრივ ამ უკანასკნელმაც დახმარებისათვის მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ანტონ კათოლიკოსის თხოვნა დააკმაყოფილეს და იმპერატორის განკარგულებით გრიგოლ სულთანს ყოველწლიურად დაენიშნა 200 მანეთი ასიგნაციით დახმარება²⁸.

მოსალოდნელი იყო, რომ ანტონ მეორის ცხოვრება მოსკოვში მშვიდად და უზრუნველად წარიმართებოდა. აქ მას ისე უნდა ეგრძნო თავი, როგორც მშობლიურ გარემოში, რადგან მოსკოვში ცხოვრობდნენ კათოლიკოსის უახლოესი ნათესავეები: ძმები, ძმისშვილები და სხვები. ანტონი მათთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, წყაროებმა არ შემოგვინახა (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივაგენით ასეთ მასალას) ამ ურთიერთობის ამსახველი მასალები. სამაგიეროდ ოფიციალურმა დოკუმენტებმა უამრავი ცნობა შემოგვინახა მოსკოვის საეკლესიო ხელისუფალთა მიერ ანტონ კა-

თოლიკოსის უფლებათა შელახვის შესახებ. ანტონ მეორის ჩასვლის დროს მოსკოვის მიტროპოლიტი იყო პლატონი, რომელიც მოხუცებულობის გამო სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს თავისი ეპარქიიდან დაშორებულ ერთ-ერთ მონასტერში ატარებდა. მიტროპოლიტის მოვალეობას ასრულებდა ვიკარი (ქორეპისკოპოსი), ეპისკოპოსი ავგუსტინი (ვინოგრადსკი).

ჯერ კიდევ, კათოლიკოსის გამგზავრებამდე, პეტრებურგში შეეცადნენ საქმე ისე მოეწყოთ, რომ მის მოსკოვში ცხოვრებას და მოღვაწეობას ადგილბრივ სასულიერო პირთაგან არავითარი უხერხულობა და გართულება არ შეხვედროდა. ამ მიზნით ობერპროკურორმა ეპისკოპოს ავგუსტინს აცნობა, რომ ანტონ მეორეს მოსკოვში ჩასვლის შემდეგ სათანადო პირობები შეექმნებოდა. „მე დარწმუნებული ვარ, - წერდა იგი ეპისკოპოსს, - რომ თქვენი უნმინდესობა არ მოაკლებს მას ყურადღებას. თქვენს მიერ აღერსიანი და მისივე ნოდების შესაფერისი პატივისცემით მიღება, იმპერატორსაც სასიამოვნოდ დარჩება“²⁹.

კათოლიკოსის ჩასვლის მეორე დღეს მოსკოვის მიტროპოლიის ვიკარი ავგუსტინი ეწვია ანტონ მეორეს და მათ შორის დაძაბული ურთიერთობა ამ დღიდანვე დაიწყო. საქმე ეხებოდა კათოლიკოსის კარის ეკლესიის საკითხს, რომლის მონაწილეობა ობერპროკურორის დავალებით ეპისკოპოს ავგუსტინს ჰქონდა დავალებული, მაგრამ აღნიშნული სამლოცველოს მონაწილეობა ჭიანურდებოდა. კათოლიკოსმა ვიკარიუსს სასულიერო პირისათვის დამახასიათებელი ტაქტით რამდენჯერმე შეახსენა დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ეპისკოპოსი რატომღაც თავს არიდებდა კათოლიკოსის თხოვნას. საქმეს საშველი რომ არ დაადგა, ანტონ მეორემ ვიკარიუსთან ორი სასულიერო პირი გაგზავნა, რომლებმაც ეპისკოპოსს კატეგორიულად მოთხოვეს ობერპროკურორის მიერ მასზედ დავალებული საკითხის დროულად მოგვარება. განაწყენებულმა ვიკარიუსმა 1811 წლის 1 ნოემბერს ანტონ კათოლიკოსს სა-

ყვედურით მიმართა და თან მოახსენა, რომ მასთან გააგზავნიდა თავის წარმომადგენელს, რომელიც შეადგენდა სრულსიას ეკლესიის მონყობისათვის. კათოლიკოსის დაჟინებული მოთხოვნით ეპისკოპოსმა ავგუსტინმა იკადრა კარის ეკლესიის მოსაწყობად საჭირო ნივთების გამოგზავნა. 1811 წლის 21 ნოემბერს ახალგაზსნილი ეკლესია ანტონ მეორემ აკურთხა. ვიკარიუსი ამ საკითხთან დაკავშირებით ურცხვად წერდა ობერპროკურორს: „მე მოვამარაგე კათოლიკოსის ეკლესია, როგორც კანკელით, ასევე ყველა საეკლესიო ნივთით“³⁰. ამ წერილით საიმპერატორო კარზე ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ავგუსტინის ხელშეწყობა რომ არ ყოფილიყო, კარის ეკლესია არ გაიმართებოდა. არადა, როგორც დავინახეთ, ეპისკოპოსი ყოველმხრივ ცდილობდა საქმის გაჭიანურებას, რომ ამ გზით თავიდან აეცილებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა. ანტონ მეორემ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას, თავმდაბლობის გამო, ვიკარიუსის საქციელი არ შეატყობინა.

ანტონ მეორე, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკოსის ღირსება სრულ დამოუკიდებლობას აძლევდა, შეგუებული იყო იმპერატორის იმ განკარგულების, რომლის ძალითაც საეკლესიო ღვთისმსახურების ჩასატარებლად იგი წინასწარ უნდა შეთანხმებოდა ადგილობრივი ეპარქიის მთავარს. დასტურის შემთხვევაში მისგან უნდა მიეღო ლიტურგიკისათვის საჭირო საეკლესიო ნივთები. მოსკოვში ყოფნის დროს ასეთი უფლება მას ვიკარიუსისაგან უნდა აეღო. ძნელი იყო ყოფილი მწყემსმთავრისათვის ასეთ პირობებთან შეგუება, მაგრამ იგი იმპერატორის განკარგულებას ზედმინევნით იცავდა. თუმცა ამ საკითხშიც ანტონ მეორე ეპისკოპოს ავგუსტინის წინააღმდეგობას წააწყდა. მოსკოვში ჩამოსვლის ერთი თვის შემდეგ კათოლიკოსმა მოისურვა მიძინების ტაძარში ღვთისმსახურების ჩატარება. წესისამებრ მან თხოვნით მიმართა ეპისკოპოს ავგუსტინს, რაზეც ვიკარიუსმა უარით უპასუხა. თავისი საქციელის გამართლების მიზნით აღნიშნული ინციდენტის შესა-

ხებ ობერპროკურორს აცნობა, რომ თითქოს კათოლიკოსი რუსეთის საპატრიარქოს სინოდიდან ითხოვდა კვერთხს და სხვა საჭირო ნივთებს და ამ მოტივით მას ღვთისმსახურების უფლება არ მისცა, რადგან მისივე განმარტებით, რუსეთში პატრიარქობის გაუქმების შემდეგ (იგი გააუქმა პეტრე პირველმა) საპატრიარქოს სალაროში დაცული საეკლესიო ნივთები ხმარებაში აღარ იყო. სინამდვილეში ანტონი არა საპატრიარქოს, არამედ მოსკოვის სამიტროპოლიტოს სალაროდან ითხოვდა ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი ზოგიერთი საეკლესიო ნივთს. აღ. გოლიცინმა ვიკარიუსის ცილისწამება სინამდვილედ მიიჩნია და მისი მოქმედება გაამართლა³¹. ვიკარიუსმა თავისი არასწორი ინფორმაციით რუსეთის უწმიდესი სინოდი და საიმპერატორო კარი კათოლიკოსის სანინაალმდეგოდ განაწყო. მომხდარი ინციდენტის შესახებ ანტონმა რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთ არაფერი აცნობა.

მოსკოვის ვიკარიუსის ავგუსტინის ახირებულობის მიუხედავად ანტონ კათოლიკოსმა მინიჭებული უფლებების მკაცრი დაცვით 1811 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აღაღვლინა წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სამრევლო ეკლესიაში, არხანგელსკის ტაძარში და მიხაილოვსკის სასახლეში. წირვა-ლოცვას ესწრებოდნენ რუსი ეროვნების მოქალაქეებიც. მართალია, ლიტურგია მათვის გაუგებარ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ისინი გაოცებულები იყვნენ კათოლიკოსის მწირველობით. როგორც გადმოგვცემენ, ანტონი „საკვირველი სასოებისანი მწირველი ყოფილა“. პლატონ იოსელიანის ცნობით, მიტროპოლიტი იონა, რომელიც შემდგომ საქართველოს ეგზარქოსი (1821-1832 წწ.) იყო, ხშირად იტყოდა ხოლმე: „რუსეთში მისგან (ანტონისაგან - ე. ბ.) ვისწავლე წირვაო. თვით იონა იყო დიდად სასიამოვნო მწირველი“³².

მოსკოვში ჩამოსვლისთანავე ანტონმა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა. კათოლიკოსის

გავლენა რუსი ეროვნების მრევლში თანდათან იზრდებოდა. ხშირად ისინი წმიდა საიდუმლო წესების აღსრულებისათვის ან წესის აგების დროს ანტონ კათოლიკოსს მიმართავდნენ. 1811 წლის 5 ნოემბერს წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სამრევლო ეკლესიაში ჭირისუფლების დაჟინებული მოთხოვნით წესი აუგო პირველი კლასის ვაჭარ ტრეტიაკოვს. მოსკოვში მცხოვრები ქართველობა ანტონ კათოლიკოსის მუდმივი მრევლის წევრი იყო. 1811 წლის 24 დეკემბერს ანტონმა წესი აუგო თავის ახლო ნათესავს, ძმის შვილიშვილს იგორ ალექსანდრეს ძე გოლოცინს. პატივმოყვარე ვიკარი ავგუსტინი სხვადასხვა მიზეზებით ხშირად ცდილობდა არ დაექმაცოფილებინა კათოლიკოსის მოთხოვნა. მან ანტონ მეორეს უარი განუცხადა 1811 წლის 26 დეკემბერს ნოვოდევიჩის ტაძარში პანაშვიდი გადაეხადა ვაჭარ ტრეტიაკოვისათვის. ეპისკოპოსმა ავგუსტინმა პანაშვიდის გადახდა დაავალა ანტონ კათოლიკოსის ამალის წევრს დეკანოზ იონას, ვითომდა იმ მოტივით, რომ იგი სახელმწიფოსაგან მცირე შემოსავალს ღებულობდა. როგორც ვხედავთ, გაგულისებული ვიკარი პროვოკაციებზეც წავიდა. მას სურდა ანტონის თანამზრახველთა შორის განხეთქილება ჩამოეგდო. ეპისკოპოს ავგუსტინს ნაკლებად ადარდებდა დეკანოზ იონას შემოსავალი. განხეთქილების შეტანით მას სურდა შეესუსტებინა კათოლიკოსის თანამზრახველთა წრე. მაგრამ ეს მან ვერ შეძლო. დეკანოზმა იონამ კარგად იცოდა, რომ ხელმწიფისაგან დანიშნულ ყოველწლიურ თანხას 600 მანეთს ანტონი კათოლიკოსის წყალობით ღებულობდა.

ეპისკოპოს ავგუსტინის მიერ შეურაცხყოფილმა კათოლიკოსმა 1811 წლის 26 დეკემბერს წერილობით მიმართა პეტერბურგის მიტროპოლიტ ამბროსის და რუსეთში უწმიდესი სინოდის ობერპროკურორი ალ. გოლიცინს. ანტონ კათოლიკოსის დიდსულოვნება კარგად ჩანს წერილის შინაარსიდან. იგი დაწვრილებით არ საუბრობს კონკრეტულ ფაქტებზე, რაც ავგუსტინმა მისი უფლებების შელახვისათვის გამოიყენა. ზო-

გადად აღნიშნავს, რომ ეპისკოპოსი აბუჩად იგდებს და უდიერად ეპყრობა კათოლიკოსს და მის გარემოცვას. წერილის დასასრულს ანტონი ობერპროკურორს სთხოვს: „დაბეჯითებით ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალეებას, საკუთარ თავზე აიღეთ ჩემზე მზრუნველობა, როგორც ვაჟიშვილმა სულიერ მამაზე, ასეთი შემთხვევისაგან დამიცავით, რადგან მღვდელმსახურმა ავგუსტინმა მე დაუმსახურებელი წყენა მომაყენა, რისთვისაც არავითარი მიზეზი არ მიმიცია. მას კი, მგონია, საამისოდ არავითარი უფლება არა აქვს³³.

მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, რაც ანტონ კათოლიკოსის საჩივარს შეიძლება მოჰყოლოდა, ეპისკოპოსმა ავგუსტინმა 1812 წლის 22 იანვარს წერილით მიმართა ობერპროკურორს. იგი თავს იმართლებდა და ცილს სწამებდა ანტონ კათოლიკოსს თავისი უფლებების გადაჭარბებაში. ეპისკოპოსი ურცხვად აღიარებდა, რომ ძალღონეს არ იშურებს კანონის ფარგლებში კათოლიკოსის სურვილები დააკმაყოფილოს. იგი ობერპროკურორს აცნობებს, არ ყოფილა შემთხვევა, რომ კათოლიკოსის თხოვნა მას არ გაეთვალისწინებინოს. თავისი აზრების დასასაბუთებლად ეპისკოპოსი შეგნებულად ამახინჯებდა მომხდარ ფაქტებს.

პეტერბურგის მიტროპოლიტმა ამბროსიმ ანტონ კათოლიკოსის საჩივარი გაუგზავნა ეპისკოპოს ავგუსტინს და შესაბამისი ახსნა-განმარტება მოითხოვა მისგან. 1812 წლის 25 იანვარს ავგუსტინმა ანტონ მეორის საჩივრის გაცნობის შემდეგ პასუხი გაუგზავნა პეტერბურგის მიტროპოლიტს. ეს წერილი არაფრით არ განსხვავდება ობერპროკურორისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსისაგან. ეპისკოპოსი იგივე ცილისმწამებლური მეთოდებით თავს იმართლებს პეტერბურგის მიტროპოლიტის წინაშე. ანტონის საჩივარს მის ახირობად და უფლებების გადაჭარბებად მიჩნევს და თვითონ ითხოვს თავის დაცვას კათოლიკოსის უსამართლო საჩივრებისაგან³⁴.

ეპისკოპოსი ავგუსტინი ამის შემდეგაც არ ისვენებდა. 1812 წლის თებერვლის დასაწყისში მან ისეთი საქციელი ჩაიდინა, რომელმაც შეურაცხყო არა მარტო კათოლიკოსი, არამედ მოსკოველი ქართველობა. იმავე წლის 6 თებერვალს ანტონმა თხოვნით მიმართა ვიკარიუსს, ნება დაერთო მისი ახლო ნათესავის, დისშვილის, დადიანის ქალისათვის წესის აგება დონის მონასტერში ჩაეტარებინათ. ეპისკოპოსმა ავგუსტინმა დიპლომატიურად უარყო მისი მოთხოვნა და კათოლიკოსს ურჩია გარდაცვლილისათვის წესი აეგოთ იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში. კათოლიკოსი არ შეკამათებია ვიკარიუსის გადაწყვეტილებას, რადგან მას ახალი საბაბი არ მისცემოდა ანტონ მეორეზე ზემოქმედებისათვის. მოსკოვში მცხოვრები ქართველობა აღშფოთებული იყო ვიკარიუსის მოქმედებით. ისინი მას ბრალს სდებდნენ კათოლიკოსისა და მოსკოველი ქართველებისადმი უპატივცემლობაში. იგორ ალექსანდრეს ძე გრუზინსკი პირადად ეახლა ეპისკოპოს ავგუსტინს, რომელმაც ურცხვად განუცხადა, რომ „სამრევლო ეკლესიაში განსვენებულის წესის აგება ანტონ კათოლიკოსთან არის შეთანხმებული, ხოლო განსვენებულის ნათესავები ამ საკითხზე საერთოდ არ დამლაპარაკებიანო“³⁵. ვიკარიუსის გადაწყვეტილებით წესის აგება ჩატარდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამრევლო ეკლესიაში. აქაც იჩინა თავი არაორგანიზებულობამ. მიტროპოლიის სალაროდან ეკლესიაში საეკლესიო ნივთები დაგვიანებით მოიტანეს, ხოლო წირვისას დეკანოზმა ვერ მოასწრო, მანტია კათოლიკოსისათვის დროზე მიერთმია. ამის შემყურე ეკლესიაში შეკრებილი ქართველი საზოგადოება აღშფოთებას ვერ მალავდა. შეშინებულმა ეპისკოპოსმა ავგუსტინმა 1812 წლის 8 და 12 თებერვალს პეტერბურგის მიტროპოლიტს მიმართვა გაუგზავნა. იგი დამახინჯებით აუწყებს მიტროპოლიტს მომხდარ ფაქტს და წარმოქმნილი ინციდენტის მიზეზად ანტონ მეორეს ასახელებს. ეპისკოპოსი ცრუობს მიტროპოლიტის წინაშე: „დონის მონასტრის

ნაცვლად კათოლიკოსს, როცა წესის ასაგებად სამრევლო ეკლესია შევთავაზე... ამ წინადადებას იგი სიამოვნებით დათანხმდა, თქვა, ჩემთვის უკეთესია სამრევლო ეკლესიაში ჩავატარო რიტუალი, რადგან ჩემს სახლთან ძალიან ახლოა, დონის მონასტერში წასვლა არც კი მინდოდაო³⁶. სინამდვილეში, აღნიშნული ფაქტის შესახებ ანტონ კათოლიკოსი მოგვიანებით, 1812 წლის 4 აპრილს ობერპროკურორს აცნობებს, რომ მას განზრახული ჰქონდა გარდაცვლილი ნათესავისათვის წესი აეგო დონის მონასტერში და აგრეთვე „... მსურდა გადამეხადა ჩემი ახლო ნათესავების პანაშვიდი, სადაც ბევრი მათგანია დასაფლავებული, მაგრამ ვიკარმა ავგუსტინმა ამ მოვალეობას ჩამომაცილა“³⁷. კათოლიკოსის ამ სურვილის მიუხედავად ეპისკოპოსი ავგუსტინი ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე პეტერბურგის მიტროპოლიტს წერს, რომ „განსვენებული თავადის ქალის ნათესავებს ჩემთვის რომ ეცნობებინათ მისთვის წესის აგება დონის მონასტერში სურდათ, სიამოვნებით დავთანხმდებოდიო“³⁸. იგი მიტროპოლიტს ატყობინებს, რომ კათოლიკოსმა აიყოლია მოსკოველი ქართველები, რომლებიც „ჩემს წინააღმდეგ არიან აღმდგარნი, მაგრამ მე ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, მხნედ ვიდგე საღმრთო საქმის სადარაჯოზე“³⁹.

პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა 1812 წლის 20 თებერვალს ეპისკოპოს ავგუსტინის საჩივრები განსახილველად რუსეთის უწმიდეს სინოდის ობერპროკურორს ალ. გოლიცინს გადაუგზავნა და თან სთხოვა, რომ ყოველი ღონე ეხმარა მომჩივანი მხარეების დასაწყნარებლად. ამ უკანასკნელმა მოსკოვის მიტროპოლიის ვიკარ ავგუსტინს აცნობა, რომ რუსეთის უწმიდეს სინოდში ახსნა-განმარტებითი ბარათი გაეგზავნა ანტონ კათოლიკოსთან უთრიერთობის შესახებ. რუსეთის უზენაესი ხელისუფლებისაგან გათამამებულმა ეპისკოპოსმა ავგუსტინმა სხვა „ბრალდებებთან“ ერთად ანტონ კათოლიკოსს ცილი დასწამა, რომ თითქოს იგი საეკლესიო

ღვთისმსახურების დროს გასამრჯელოს იღებდა. „მე მეჩვენება - ნერდა იგი წერილის ბოლოს, - რომ კათოლიკოსი ჩემს წინააღმდეგ შინაგანადაა განწყობილი. მას სურდა მიესაკუთრებინა საპატრიარქო უპირატესობა მსახურებაში. მე კი, მისი აზრით, ყველაფერში ვეწინააღმდეგებოდი“⁴⁰.

ობერპროკურორი ალ. გოლიცინი გაეცნო ანტონ კათოლიკოსისა და ეპისკოპოს ავგუსტინს შორის არსებულ უთანხმოების მასალებს და როგორც მკვლევარი დეკანოზი ვ. ჟმაკინი გაოცებული წერს: „რატომღაც გოლიცინმა მთლიანად ავგუსტინის მხარე დაიჭირა. მან იმპერატორის წინაშე მოხსენებაც ამ განწყობით შეადგინა“⁴¹, რასაც ადასტურებს ანტონ მეორისადმი 1812 წლის 4 მარტს მის მიერ გაგზავნილი საკმაოდ უკმეხი პასუხი. ობერპროკურორი დანაშაულად უთვლის ანტონ კათოლიკოსს ყველა იმ ბრალდებას, რაც მას ეპისკოპოსმა ავგუსტინმა წაუყენა. ალ. გოლიცინი კათოლიკოსს ატყობინებს, რომ იმპერატორი არ იწონებს მის მიერ ეკლესია-მონასტრებში პანაშვიდების გადახდას და წესის აგებას. იგი კატეგორიული ტონით შეახსენებს კათოლიკოსს, რომ „სასულიერო წესების აღსრულება არ განეკუთვნება თქვენს მოვალეობას. ის ადგილობრივი ეპარქიის ეპისკოპოსის მოვალეობაა. თქვენი უწმიდესობის სურვილით, თქვენს სახლში მოწყობილია ეკლესია, სადაც შეგიძლიათ მსახურება, როცა კი მოისურვებთ. სამრევლო ეკლესიაში ან მონასტერში არ მოგეცემათ ღვთისმსახურების უფლება, თუკი წინასწარ არ ითხოვთ საეპარქიო ხელმძღვანელობის თანხმობას. იმპერატორი ელის ჩვეულ მშვიდობისმოყვარეობას, რომ ამიერიდან მოისპობა ყოველგვარი საბაბი ეპისკოპოს ავგუსტინთან უკმაყოფილებისა, რომელიც თავადაც არ დაუშვებს ამას, რადგან აქვს შესაბამისი პატივისცემა თქვენი წოდებისადმი“⁴².

როგორც ვხედავთ, ეპისკოპოს ავგუსტინის ცილისმწამებლურმა ინფორმაციამ სასურველ შედეგს მიაღწია. მათ შო-

რის მომხდარი კონფლიქტის მთავარ დამნაშავედ რუსეთის უზენაესმა ხელისუფლებამ ანტონ კათოლიკოსი მიიჩნია.

მკვახე პასუხის მიუხედავად ანტონ კათოლიკოსმა საჭიროდ ჩათვალა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა და 1812 წლის 4 აპრილს ალ. გოლიცინისადმი გაგზავნილ წერილში დასაბუთებული პასუხი გასცა ყველა იმ ბრალდებებს, რომელთაც ეპისკოპოსი ავგუსტინი უყენებდა⁴³. მაგრამ კათოლიკოსის სიმართლის დადგენით არავინ დაინტერესებულა. მათი მიზანი იყო ანტონ კათოლიკოსის გამო რაიმე პრობლემა არ შექმნოდა სამეფო ხელისუფლებას.

თავის მხრივ, ეპისკოპოსი ავგუსტინიც გაფრთხილებულ იქნა რუსეთის უწმიდესი სინოდის მიერ და დაეწალა მას, რომ ყოველი ღონე ეხმარა „კეთილთანხმობისა და მშვიდობის მოყვარეობის აღსადგენად და გასამტკიცებლად“. ეპისკოპოსი ავგუსტინი, რომელიც გამარჯვებულად თვლიდა თავს, სასიამოვნოდ მიიჩნევდა უმაღლესი ხელისუფლებისაგან ასეთ გაფრთხილებას. გახარებული ეპისკოპოსი ობერპროკურორს ატყობინებდა, რომ „ამის შემდეგ კიდევ უფრო გავალრმავებ ჩემს მოვალეობას და გამოვიყენებ ყველა შესაძლო საშუალებას, მისი უწმინდესობა, კათოლიკოსი ჩემდამი სამშვიდობოდ განვანყო და დავიმსახურო მისი მადლიერება იმ სამსახურისათვის, რასაც დღეისათვის ვაგრძელებ განსაკუთრებული სიამოვნებით“⁴⁴.

ეპისკოპოს ავგუსტინს არ დასცალდა თავისი სურვილის სისრულეებში მოყვანა, რადგან რუსეთს ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით ფრანგები შემოესივნენ. მშვიდობიანმა მოსახლეობამ მოსკოვი დატოვა. უსაფრთხოების მიზნით ანტონ კათოლიკოსი თავის თანხმლებ პირებთან ერთად საგუბერნიო ქალაქ ტამბოვში გადასახლდა. ომის გამო ანტონ კათოლისოსს ტამბოვში ცხოვრება მძიმე პირობებში უხდებოდა. მან საკუთარი ხარჯით დაიქირავა პატარა ბინა და უსახსრობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ნაპოლეონის მიერ მო-

სკოვის განადგურებამ რუსეთი მძიმე ეკონომიკურ გასაჭირში ჩააგდო. ქვეყნის ფინანსურმა კრიზისმა განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა იმ პიროვნებებზე, რომლებიც სახელმწიფო ხაზინიდან ლებულობდნენ შემოსავალს. უსახსროდ დარჩენილმა კათოლიკოსმა დახმარებისათვის უზენაეს ხელისუფლებას მიმართა, მაგრამ მათ უარით უპასუხეს იმის გამო, რომ სახელმწიფოს ხაზინა დაცარიელებული იყო. 1812 წლის 4 სექტემბერს ანტონ მეორემ ობერპროკურორ ალ. გოლიცინს აცნობა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა და დახმარება სთხოვა, რომ მისთვის დანიშნული პენსია ტამბოვში მიეღო. აგრეთვე იქნებ სახელმწიფოს ეზრუნა ბინის ქირის გადახდაზე. ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ტამბოვის სახაზინო პალატას დაევალა კათოლიკოსისათვის პენსია მიეცა. იმპერატორის გადაწყვეტილებით ანტონ მეორისათვის დაიქირავეს ორი მომიჯნავე სახლი, მაგრამ დაქრავებული ბინა კათოლიკოსისათვის მოუხერხებელი აღმოჩნდა. ტამბოვის ხელისუფალთა დახმარებით ანტონი საცხოვრებლად გადავიდა ვაჭარი ქალის ბლოხინას მისთვის შესაფერის კეთილმოწყობილ ბინაში. ყოველთვიურ ქირას 350 მანეთს ასიგნაციით სახელმწიფო იხდიდა⁴⁵.

ძნელი იყო ანტონისათვის საგუბერნიო ქალაქში ცხოვრება. მოსკოვისაგან განსხვავებით, აქ არ ცხოვრობდნენ ქართველები, ურთიერთობა არ ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ფაქტიურად კარჩაკეტილი ცხოვრობდა. როგორც დეკანოზი ვ. ჟმაკინი აღნიშნავს, მოსკოვიდან ტამბოვში ანტონის გადასვლამ უზენაეს ხელისუფლებას ბევრი თავსატეხი გაუჩინა⁴⁶. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთში გადასახლებულ ქართული სამეფო ოჯახის წევრებზე სახელმწიფოს საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილება არსებობდა. ამ გადაწყვეტილებით ისინი სხვადასხვა პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ანტონ კათოლიკოსი, მართალია, სამეფო გვარის წარმომადგენელი და მეფე ერეკლე მეორის პირდაპირი შთამომავ-

ვალი იყო, მაგრამ ამ პრივილეგიებით, როგორც სასულიერო პირი ვერ სარგებლობდა და როცა კათოლიკოსი ხშირად რაიმე მოთხოვნას დააყენებდა ხოლმე ხელისუფლების წინაშე, სახელმწიფოს საბჭოს გადაწყვეტილების ძალით უარს ეუბნებოდნენ. ამავე გადაწყვეტილებით შეზღუდული იყო ქართული სამეფო ოჯახი ნევრთა განსახლების არეალი. მათ უფლება არ ჰქონდათ ეცხოვრათ რუსეთის სამხრეთ ნაწილში. კანონის შესაბამისად ანტონ კათოლიკოსზე ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდებოდა, მაგრამ უზენაესი ხელისუფლება კათოლიკოსის უფლებათა შეზღუდვის მიზნით აღნიშნულ კანონს ხშირად იყენებდა. ტამბოვში ცხოვრების დროს ანტონ კათოლიკოსზე გავრცელდა ხმა, რომ იგი თანმხლებ პირებთან ერთად ასტრახანისკენ გაემგზავრა. ქართული სამეფო გვარის ოჯახზე მზრუნველმა და მეთვალყურემ პ. ვალუევმა აღნიშნული ფაქტი სასწრაფოდ აცნობა პეტერბურგს. რუსეთის უზენაესი ხელისუფლება შემფოთებული იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რუსეთის უწმიდეს სინოდს შორის აღნიშნულ საკითხზე მიმონერა გაიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ასტრახანისა და სამხრეთ გუბერნიების ხელმძღვანელებს დაევალოთ, არავითარ შემთხვევაში თავიანთი საზღვრებიდან არ გაეშვათ კათოლიკოსი. როგორც ვხედავთ, მართალია, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება ანტონ მეორეზე არ ვრცელდებოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, შინაგან საქმეთა მინისტრი მას არ აძლევდა უფლებას თავისი ნებით გადაადგილებულიყო და თავისი სურვილით ეცხოვრა რუსეთის ნებისმიერ ქალაქში. საბედნიეროდ, აღნიშნული ხმები ჭორი გამოდგა და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ანტონ კათოლიკოსი უზენაესი ხელისუფლების ნებართვის გარეშე ტამბოვიდან გამგზავრებას არ აპირებდა. მან 1813 წლის 4 მარტს ობერპროკურორ ალ. გოლიცინს აცნობა თავისი მძიმე მდგომარეობა და დახმარება სთხოვა, რომ ისევ მოსკოვში დაბრუნებულიყო. ობერპროკურორმა კათოლიკო-

სის თხოვნა გააცნო იმპერატორს, რომელმაც ანტონ მეორის თხოვნა არ შეინიშნა. ალ. გოლიცინმა ხელმწიფის უარი შეატყობინა კათოლიკოსს და თან მოახსენა, რომ „დადაქალაქი მოსკოვი ამჟამად ისეთ მდგომარეობაში არაა, რომ თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, მასში რაიმე სიამოვნება შეგეძლოთ ჰპოვოთ. საშინელმა ხანძარმა საუკეთესო შენობები გაანადგურა, საშუალო დონის სახლში ცხოვრება კი თქვენ არ შეგეფერებათ“⁴⁸.

მართალია, იმპერატორმა არ დააკმაყოფილა კათოლიკოსის თხოვნა მოსკოვში გადასვლის შესახებ, მაგრამ იგი დაჯილდოვდა 1812 წლის სამამულო ომის სახსოვრად გამოშვებული უბრალო ბრინჯაოს ჯვრით, რომელიც მაგრდებოდა ვლადიმირის ლენტზე.

ანტონ მეორემ, როდესაც უზენაესი ხელისუფლებისაგან მიღო უარი მოსკოვში გადასვლაზე, განიზრახა საცხოვრებლად ისევ სატახტო ქალაქ პეტერბურგში დაბრუნებულიყო. თავისი განზრახვა მან შეატყობინა რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს. ამ უკანასკნელმა კათოლიკოსს აცნობა, რომ იმპერატორი პეტერბურგში არ იმყოფებოდა და მისი ნებართვის გარეშე მას უფლება არ ჰქონდა რაიმე გადაწყვეტილება მიეღო. ამ თხოვნიდან თითქმის ორი წელი გავიდა და პასუხი პეტერბურგიდან იგვიანებდა. 1817 წლის ოქტომბრიდან ანტონ მეორემ კვლავ განაახლა თხოვნა. ამჯერად იგი ისევ მოსკოვში დაბრუნებას და იმ სახლში დაბინავებას ითხოვდა, სადაც ადრე ცხოვრობდა. კათოლიკოსის თხოვნის პასუხად იმპერატორის დავალებით ობერპროკურორმა ალ. გოლიცინმა ანტონს შეატყობინა, რომ ცოტა ხანს მოეცადა, რადგან „მოსკოვმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრო აშენება, მონყობა მტრის თავდასხმის გამო“⁴⁹. ამკარაა, რომ უზენაეს ხელისუფალთ არ სურდათ ანტონ მეორის მოსკოვში დაბრუნება. შესაძლოა, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მოსკოვის მიტოროპოლიტის ვიკარიუს ავგუსტინსა და კათოლიკოსს შორის დაძაბული ურ-

თიერთობა კიდევ უფრო არ გაღრმავებულიყო, რაც შეიძლება სავალალო შედეგით დამთავრებულიყო. ხელისუფლებამ დაინახა, რომ ამ კონფლიქტში მოსკოველი ქართველობა, ქართული სამეფოს ოჯახის წევრები კათოლიკოსს უჭერდნენ მხარს. როგორც ჩანს, ანტონ მეორის მოსკოვში ჩასვლით ხელისუფლებას არ უნდოდა რაიმე გაუგებრობას ჰქონოდა ადგილი. ხელისუფლებას სურდა, რომ ანტონ მეორე თავის ახლობელთა წრიდან შორს ყოფილიყო, რადგან მთავრობის ქმედებით უკმაყოფილო კათოლიკოსსა და სამეფო გვარის წევრებს შორის შესაძლებელი იყო ანტირუსული განწყობილება ჩამოყალიბებულიყო. რა თქმა უნდა, როგორც ანტონ კათოლიკოსში, ისე გადასახლებულ ქართულ სამეფო წევრებს შორის ანტირუსული განწყობილება ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ამას ისინი აშკარად ვერ გამოხატავდნენ.

ანტონ მეორე გრძნობდა, რომ უზენაეს ხელისუფალთ არ სურდათ მისი დაბრუნება მოსკოვში. 1818 წლის 19 მარტს ობერპროკურორ ალ. გოლიცინისადმი გაგზავნილ წერილში იგი დაბეჯითებით ითხოვს მოსკოვში დაბრუნების ნებართვის მიღებას. კათოლიკოსი გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, თუ რატომ აბრკოლებდნენ მისი სურვილის განხორციელებას. „ამ შემთხვევაში - წერს იგი ობერპროკურორს - ჩემ მხრივ, ვერანაირ მიზეზს ვერ ვვარაუდობ, რაც ამ საქმეს ხელს უნდა უშლიდეს. მე ტამბოვში ვიმყოფები მხოლოდ და მხოლოდ 1812 წელს მოსკოვზე მტრის ჯარების თავდასხმის გამო, რათა სიცოცხლე გადამერჩინა, არ არსებობს სხვა რაიმე მიზეზი ტამბოვში სამუდამოდ საცხოვრებლად გადმოსვლისა“⁵⁰.

კათოლიკოსის სულიერ სიმარტოვეს თან დაერთო ავადმყოფობა. მართალია, იგი ფიზიკურად კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ჩრდილოეთის მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა მის ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა. ტამბოვში გადმოსვლის შემდეგ ანტონ მეორე ხშირად ავადმყოფობდა. „ტამბოვში - წერდა იგი 1817 წლის ნოემბერში ობერპროკურორ

ალ. გოლიცინს - ისეთ ადგილზე, რომელიც მოარული სენისა და ჰავის გამო, განსაკუთრებით ზაფხულსა და შემოდგომაზე, მე უკიდურესად ავად ვარ და ვიტანჯები. ისეთ დონემდე ვარ ჯანმრეყელი, რომ სრულ ღონემიხდილობას ვგრძნობ⁵¹. ჯანმრთელობის მდგომარეობა ანტონ მეორეს იძულებულს ხდიდა საცხოვრებლად საგუბერნიო ქალაქიდან მოსკოვში ან პეტერბურგში გადასულიყო, სადაც იგი ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებოდა. რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას ნაკლებად ადარდებდა კათოლიკოსის ჯანმრთელობა. ამას ემატებოდა ქრონიკული უსახსრობა. მართალია, მას სახელმწიფოსაგან ეძლეოდა ყოველწლიური პენსია 54 ათასი მანეთი ასიგნაციით, მაგრამ კათოლიკოსი მაინც გაჭირვებაში ცხოვრობდა, რადგან თავისი პენსიით იგი ეხმარებოდა ახლობლებს, ქვრივ-ობლებს, ღარიბებს. გარდა ამისა, მართალია, მისი გარემოცვა სახელმწიფოსაგან დახმარებას ღებულობდა, მაგრამ ეს დახმარება ისე მცირე იყო, რომ წლდიდან-წლამდე არ ჰყოფნიდათ. ასე, რომ მისი თანმხლები პირები კათოლიკოსის ხარჯზე ცხოვრობდნენ. ანტონ კათოლიკოსის გასაავალი რამდენჯერმე აღემატებოდა შემოსავალს, რის გამოც იგი იძულებული იყო ვალები აეღო. კათოლიკოსის ვალების რაოდენობა საკმაოდ სოლიდური თანხას წარმოადგენდა. როგორც წყაროები გადმოგვცემენ იგი „მდიდარი იყო თავისი სიღარიბით“⁵².

ტამბოვში ყოფნის დროს ანტონს თავი შეახსენეს მევალებმა. ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას მას რამდენიმე პირის ვალი ემართა. 1809 წელს ანტონ მეორეს ბრილიანტის ჯვარისა და ორი პანაგიის დაგირავებით ვაჭარ ოსიპ ზუბალოვისაგან უსესხია ექვსი ათასი მანეთი ვერცხლით. აქედან ერთი პანაგია მისი წინამორბედი კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველის კუთვნილება ყოფილა, რომელიც ეკატერინე მეორეს უსახსოვრებია მისთვის. ანტონ პირველის გარდაცვალების შემდეგ მეფე ერეკლე მეორემ კათოლიკოსის ვალების

ნაცვლად ეს პანაგია დაიტოვა. ანტონ მეორეს, კათოლიკოს-პატრიარქობის პერიოდში, მამისაგან შეუსყიდია აღნიშნული პანაგია და მისი კუთვნილება გამხდარა. ზემოთ ჩამოთვლილი ნივთების გარდა ანტონ მეორეს აგრეთვე დაგირავებული ჰქონდა ბრილიანტით მოოჭვილი ოქროს საათი, დანის ოქროს ფუტლიარი და ოქროს ბეჭედი, რომელიც სომეხთა პატრიარქისაგან ჰქონდა ნაჩუქარი. რადგან ანტონ მეორეს უსახსრობის გამო არ შეეძლო დაგირავებული ნივთების უკან დაბრუნება, მინისტრთა კაბინეტმა ცხრა ათასი მანეთი გადაუხადა დამგირავებელს და ორივე პანაგია სახელმწიფომ თავის კუთვნილებად გამოაცხადა⁵³. ანტონ მეორეს 1818 წლისათვის თხუთმეტი პიროვნების ვალი ჰქონდა. კათოლიკოსს უჭირდა ვალების გადახდა. ვალს პროცენტებიც ემატებოდა. მას განსაკუთრებით დიდი ვალები ჰქონდა აღებული მოსკოველი ვაჭრებისაგან: გრიგოლ კოლონტაროვის, ზაბარვის, ნიკოლოზ გოლოვინის, გუბინის, მილიუტინის, გილიაპუტინის, ფაბილოვის და იაროსლაველი ვაჭრის ივანე შჩერბაკოვის. ამას ემატებოდა საქართველოში აღებული ვალები: შალვა პიტოვის, მირმან მირმანოვის, იოსებ თულაშვილის, შალვა ნაცვლიშვილის, სერგო სარქისოვის და მოზდოკელი ვაჭრის არტემ არცუპუხოვის. სულ მისი ვალები შეადგინა 189694 მანეთსა და 66 კაპიკს ასიგნაციით ან 47427 მანეთსა და 66 კაპიკს ვერცხლით⁵⁴. ეს თანხა სამჯერ აღემატებოდა კათოლიკოსის წლიურ შემოსავალს. 1818 წლისათვის ანტონ მეორეს თითქმის ყველა მოვალე უჩიოდა. მევალეები ფულის დაბრუნებას ვერ ახერხებდნენ. ამის გამო მათ დახმარებისათვის მიმართეს რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს. ობერპროკურორის რჩევით მევალეებმა კათოლიკოსის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს სასამართლოში ვალების დაბრუნების მიზნით. განსაკუთრებით აქტიურობდა მოსკოველი ვაჭარი გრიგოლ კოლონტაროვი, რომლისგანაც ანტონს ყველაზე მეტი ვალი 45 ათასი მანეთი ჰქონდა აღებული. 1818 წელს სასამართლოს გა-

დანყვეტილებით სხვადასხვა დროს აღებული ვალების დასაფარავად კათოლიკოსს ყოველთვიური პენსიიდან უნდა დაქვითვოდა ერთი მესამედი. მრავალრიცხოვანი ვალების გამო, პენსიიდან ეს გამოქვითვა ძალიან დიდხანს გაგრძელდა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა კათოლიკოსის მატერიალური მდგომარეობა. ვალების გასტუმრების მიზნით ზოგიერთი პირადი ძვირფასი ნივთიც გაყიდა, ახალი ვალიც აიღო, რომ საჩქაროდ ძველი ვალები გაესტუმრებინა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ანტონმა 1818 წლის 15 თებერვალს იმპერატორს მიმართა დახმარებისათვის. „ვიმყოფები რა - წერდა იგი ალექსანდრე პირველს - გაჭირვებულ მდგომარეობაში, ამჟამად არ გამაჩნია არავითარი შესაძლებლობა დარჩენილი ვალების გადასახდელად, რომელსაც ჩემდა სამწუხაროდ ითხოვდნენ ჩემგან საგანგებო დაწესებულებათა საშუალებით. ზოგიერთი ვალის ანგარიშში უკვე მექვითება თანხა პენსიიდან, რადგან გადახდის უუნარო ვარ. პენსია ჩემი ცხოვრების სახსარს შეადგენს“. იგი თხოვდა იმპერატორს, რომ „ჩემთვის ნაბოძები პენსიიდან სამი ათას შვიდას ორმოცდაათი მანეთი მიღებულ იქნეს სახაზინო ადგილას პროცენტების დასარიცხად ჩემზე არსებული ვალების გადახდისათვის, ხოლო დანარჩენი თანხა ხალმეუხებლად გადმომეცეს საცხოვრებლად და თავის სარჩენად“⁵⁵.

იმპერატორმა არ გაითვალისწინა ანტონ კათოლიკოსის თხოვნა და რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის მეშვეობით აცნობა, რომ საკუთარი ვალების გადახდისას უნდა ეხელმძღვანელა რუსეთის სახელმწიფო კანონებით.

ტამბოვში ანტონს სხვა უსიამოვნებების გადატანაც მოუხდა. საქართველოს მაშინდელმა ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა (1817-1821) რუსეთის უწმიდეს სინოდს მოახსენა, რომ ანტონ კათოლიკოსმა რუსეთში გამგზავრებისას თან წაიღო საქართველოს საპატრიარქოს ქონება (ძვირფასი საეკლესიო შესამოსლები, ბრილიანტებით შემკული მიტრა და

სხვა), რომელთა ღირებულება საკმაოდ დიდი იყო. ეგზარქოსი რუსეთის უწმიდეს სინოდს აცნობებდა, რომ იგი, როგორც საქართველოს ეგზარქოსი, იყო მემკვიდრე საქართველოს ეკლესიის ქონებისა და აღნიშნული საპატრიარქოს სალაროც საქართველოს საეგზარქოსოს უნდა გადასცემოდა. ეგზარქოსი თავის მოსაზრებას იმით ამყარებდა, რომ თავისი ლმობიერი ხასიათით „კათოლიკოსს გარემომცველი ნათესავები ყოველთვის იყენებდნენ“, რის გამოც, შესაძლებელია, ანტონ მეორის სისუსტის გამო საპატრიარქოს ქონება განიავდეს. ეგზარქოსის აზრით, თუკი საქართველოში არ მოხერხდება ამ ქონების დაბრუნება, მაშინ აუცილებელია მისი ჩაბარება კათოლიკოსის თანმხლებ საიმედო არქიმანდრიტისათვის, რომელიც პასუხისმდებლობას იკისრებს არსებული ქონების დაცვაზე⁵⁶.

რუსეთის უწმიდესი სინოდი საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის მოწოდებული ინფორმაციის გამო განმარტებას ანტონ კათოლიკოსისაგან ითხოვდა. განაწყენებული ანტონ მეორე 1819 წლის 7 იანვარს რუსეთის უწმიდეს სინოდს აუწყებდა, რომ საქართველოს საპატრიარქოთა შემოსავალითა და საჭურჭლით სარგებლობის უფლება მას სიკვდილამდე ჰქონდა მინიჭებული, იმპერატორის მიერ 1811 წლის 30 ივნისის ძალით, რომელიც მას ობერპროკურორის მეშვეობით ეცნობა. კათოლიკოსმა რუსეთის უწმიდეს სინოდს წარუდგინა საქართველოდან მის მიერ გატანილი საეკლესიო ქონების აღწერილობა, რომელშიც ოცდაათი ნივთი იყო დასახელებული. ანტონ მეორე აცნობებდა ობერპროკურორს, რომ საპატრიარქოს სალაროზე ხელი არავის მიუწვდებოდა და იგი საიმედოდაა დაცული. „ჩემს საღვთო ვალად ვთვლი - წერდა იგი ალ. გოლიცინს - შეგატყუბინოთ, რომ 1795 წელს, როცა სპარსეთის ალა-მაჰმად-ხანმა ააოხრა თბილისი, მთელი ქონება გაძარცვა, შემდეგ კი ქალაქი გადაწვა ჩემი ეკლესიის ჩათვლით. მაშინ მე სხვაზე არაფერზე ვზრუნავდი, მხოლოდ სა-

პატრიარქო საჭურჭლის გადარჩენისათვის. ასევე 1812 წელს მოსკოვში მტრის შემოსვლისას მივატოვე რა პირადი ქონება, ყოველნაირად ვცდილობდი აქედან უვნებლად გამეტანა საკათალიკოსო განძი. ჩემს მიერ წამოღებული ყველა ნივთი, რომელიც ამ საჭურჭლეს შეადგენენ, ჩემთანვე ინახება უვნებლად, ჩემს ოთახში, რომლის გასაღები და ლუქი მე მაქვს”⁵⁷. კათოლიკოსის განმარტების შემდეგ ობერპროკურორი დარწმუნდა, რომ საქართველოს საპატრიარქო ქონებას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. მართლაც, ანტონ მეორის გარდაცვალების (1827) შემდეგ საპატრიარქოს სალარო უნაკლოდ გადაეცა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას. ეგზარქოს თეოფილაქტეს მიმართვა რუსეთის უწმიდესი სინოდისადმი აშკარად პროვოკაციული გამოხტომა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა კათოლიკოსისა და მისი გარემოცვის დამცირებას. თუკი თეოფილაქტეს განცხადების შემდეგ საპატრიარქოს სალარო საქართველოს საეგზარქოსოს გადაცემოდა, მისი ბედი მართლაც საეჭვო იქნებოდა, შესაძლებელია, იგი დაკარგულიყო, რადგან თეოფილაქემ გაძარცვის მიზნით წმ. ნინოს საფლავიც არ დაინდო. საქართველოში საპატრიარქოს სალაროს დაბრუნების დროს (1829 წელი) თეოფილაქტე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. ეგზარქოსად იმყოფებოდა ანტონ კათოლიკოსის თაყვანისმცემელი იონა ვასილევსკი (1821-1832).

ტამბოვში მყოფი ანტონ მეორე, მართალია, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ იგი მაინც დიდად ზრუნავდა თანმხლები სასულიერო პირების მომავალზე. 1815 წელს მან მოინდომა შუამთის მონასტრის ბერის ქრისტეფორეს საქართველოში დაბრუნება და მისი ბოჭორმის მონასტრის არქიმანდრიტად დანიშვნა. ამ მიზნით, მან იმავე წლის 15 ოქტომბერს რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს აცნობა: „ცხრა წელიწადია ქრისტეფორე ბერი მემსახურება, ყოველდღე მიწირავს და მილოცავს. გთხოვთ, ბოჭორმის მონასტერ-

ში არქიმანდრიტობა უბოძეთო"⁵⁸. ობერპროკურორმა ალ. გოლიცინმა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას სთხოვა კათოლიკოსის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ, მაგრამ გამოირკვა, რომ ბოჭორმის მონასტერი უკვე მოქმედი აღარ იყო და არც არქიმანდრიტის ადგილი იყო თავისუფალი. პირიქით 13 არქიმანდრიტი უმოქმედოდ იყო დარჩენილი. ანტონ კათოლიკოსის ვითომდა პატივისცემის ნიშნად ალ. გოლიცინმა საქართველოს ეგზარქოსს აცნობა, რომ „ბერი ქრისტეფორე არქიმანდრიტად აკურთხეთ მაშინ, როცა მაგ ცამეტ არქიმანდრიტს მონასტრები მიეცეს და ახალი ადგილი გაიხსნასო"⁵⁹. მიუხედავად რუსეთის უწმიდესი სინოდის „დიდი მცდელობისა“ ქრისტეფორე ბერი ვერ ეღირსა ანტონ მეორის მოთხოვნილ ხარისხს.

ანტონ მეორემ ტამბოვში 1819 წლის გაზაფხულამდე დაჰყო. ფიზიკურად და სულიერად დაუძღვრებულმა კათოლიკოსმა 1818 წლის 31 მაისს უშუალოდ იმპერატორს მიმართა და ამცნო თავისი მძიმე ხვედრის შესახებ. „აქაური კლიმატის საზიანო ზემოქმედების გამო - წერდა იგი იმპერატორს, - ჩემი აქ ყოფნის ხუთი წლის განმავლობაში, სამჯერ ძლიერ ვიყავი ავად და ახლა სრულ უღონობას ვგრძნობ... უმდაბლესად გთხოვთ, ყოვლადმონყალე ნებართვას სანკტ-პეტერბურგში ცხოვრებისა, სადაც თქვენი უმაღლესობა და უავეგუსტესი ოჯახი ინებებთ ჩვეულებრივ, სამყოფელის ქონას"⁶⁰. ამ წერილის პასუხად 1819 წლის 4 იანვარს იმპერატორმა გასცა განკარგულება კათოლიკოსისათვის პეტერბურგში სახლი დაექირავებინათ. ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა, ბოქაულმა ნ. იაბლონსკიმ ანტონ მეორისათვის ნევის პროსპექტზე წელიწადში 7 ათას მანეთად დაიქირავა კოლეგიის მრჩეველის რტიშჩევის სახლი, რომელიც ცამეტი ოთახისაგან შედგებოდა. ხუთი ოთახი განყოფილი იყო ავეჯით. დანარჩენი ოთახები უავეჯოდ იყო. 1819 წლის მარტის შუახანებისათვის ხაზინის ხარჯზე ოთახები კეთილმოეწყო და შეივსო საჭირო ავეჯით⁶¹.

რუსეთის უზენაესი ხელისუფლების თანხმობის მიუხედავად ანტონ მეორე მაინც ვერ ახერხებდა პეტერბურგში გადასვლას. მიზეზად იგი შერყეულ ჯანმრთელობას ასახელებდა. 1819 წლის 18 თებერვალს კათოლიკოსი ობერპროკურორ ალ. გოლიცინს აცნობებდა: „როგორც არ უნდა მსურდეს, რაც შეიძლება მალე ვისარგებლო მონარქის მიერ მინიჭებული უფლებით, შერყეული ჯანმრთელობის გამო არაფრით არ შემიძლია ზამთარში დავადგე გზას, იძულებული ვარ, გადავდო მგზავრობა მაისის თვემდე, რომელ დროსაც მე მშვიდად და სასიამოვნოდ ვიქნები“⁶². ჯანმრთელობის გარდა ანტონ კათოლიკოსს გამგზავრებაში ხელს უშლიდა უფულობა. ამის გამო იგი 1819 წლის თებერვალში ობერპროკურორს სთხოვდა ეშუამდგომლა იმპერატორთან, რომ მისთვის სამგზავრო ფული გამოეყოს ხაზინიდან. მართალია, ანტონი პირველხარისხოვანი მიტროპოლიტი იყო და კანონმდებლობით სამგზავრო თანხა სახელმწიფოსაგან უნდა მიეღო, მაგრამ კანონის ძალით იგი ამ უფლებით ვერ ისარგებლებდა, რადგან სახელმწიფო თანამდებობა არ ეკავა. მიტროპოლიტები სახელმწიფოსგან ფინანსდებოდნენ მხოლოდ სამსახურებრივი გადაადგილების დროს. ამ მოტივით, ანტონ მეორეს სამგზავრო ხარჯზე უარი ეთქვა, მაგრამ ობერპროკურორმა, იცოდა რა, ანტონის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, იმპერატორთან შეთანხმებით ეს საკითხი კათოლიკოსის სასარგებლოდ გადანყვიტა⁶³.

1819 წლის 26 მაისს თანმხლებ პირებთან ერთად ანტონ მეორე პეტერბურგში ჩავიდა. კათოლიკოსი დაქირავებული ბინის მოწყობით კმაყოფილი იყო, მაგრამ არ მოსწონდა საჯინიბო და მოითხოვდა მის შეკეთებას, რაზეც სახლის მეპატრონე სახსრების უქონლობის გამო უარს აცხადებდა. იმავე წლის 11 ივნისს ობერპროკურორისადმი გაგზავნილ ბარათში იგი ითხოვდა იმპერატორთან აუდიენციას. შედგა თუ არა ეს შეხვედრა ჩვენთვის უცნობია⁶⁴.

პეტერბურგში ანტონ მეორე ცხოვრობდა 1819-1820 წლებში. მართალია, იგი რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრად ითვლებოდა, მაგრამ ამ უფლებით არასოდეს უსარგებლია და სინოდის სხდომებს ერთხელაც არ დასწრებია. დაქირავებულ სახლში მას ჰქონდა კარის ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა ყოველდღე მიმდინარეობდა. 1820 წელს ანტონმა რუსეთის უწმიდეს სინოდს სთხოვა თავის კარის ეკლესიაში მეფსალმუნის დანიშვნა სახელმწიფოს ხარჯზე მისთვის მოსამსახურედ გამოყოფილი გლეხთა რიცხვიდან. ობერპროკურორმა კათოლიკოსს შესთავაზა მეფსალმუნე პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა რიცხვიდან შეერჩია, ანდა საქართველოდან გამოეთხოვა და საკუთარ ხარჯზე შეენახა⁶⁵. ანტონ მეორე კარგად ამჩნევდა, რომ, რაც დრო გადიოდა, მისდამი საიმპერატორო კარის კეთილგანწყობა თანდათან სუსტდებოდა, რაც ბუნებრივი იყო. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მისი ყოფილი საჭეთმპყრობელის გულისმოგების მიზნით მეტისმეტი მზრუნველობის გამოჩენა იმპერატორს უკვე ზედმეტად მიაჩნდა.

პეტერბურგში ანტონი ძველი შინაგანანესით ცხოვრობდა. 1820 წლიდან მის შინაგანანესში გარკვეული ცვლილება მოხდა. შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით ანტონ მეორეს ამიერიდან ყოველთვიურად ხელზე ეძლეოდა 13,352 ათასი მანეთი სახლის ქირის, გათბობის და მოსამსახურეთა პერსონალისათვის. აღნიშნული თანხით ანტონ მეორეს თვითონ უნდა ექირავებინა ბინა და მოეწყო თავისი სურვილისამებრ⁶⁶.

პეტერბურგში გადასვლის შემდეგ ანტონ კათოლიკოსის ცხოვრება შედარებით მშვიდად წარიმართა. ანტონ მეორე თავისუფალ დროს მშობლიური ლიტერატურის შესწავლით იყო გართული. მის მდიდარ ბიბლიოთეკაში კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის მრავალი ხელნაწერი ინახებოდა. ანტონ მეორე დიდად ყოფილა დაინტერესებული საქართველოს ისტორიული წარსულით, კერძოდ, ქართველთა პირველსაცხოვ-

რისის გარკვევით. თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ ანტონ კათოლიკოსს შეუდგენია ერთი ისტორიული კრებული. ანტონ მეორის დავალებით აღნიშნული კრებული 1822 წელს პეტერბურგში გადაუწერია თეიმურაზ ბატონიშვილს. როგორც თეიმურაზი წერს: „ძველს ქართლის ცხოვრებიდამ გამონერილი მე თვითონ გამოვწერე კათოლიკისის ანტონის შეკრებული მოთხრობიდამ, რომლითაც მრავალთა წერილთაგან გამოეკრიბა და ნებავდა თურმე ისტორიისა და სრულისა აღწერა და აღარ დასცალდა და ის გამონერილები ისე უქმად დარჩა“⁶⁷. ანტონ მეორის აღნიშნული კრებული დღემდე დაკარგულად ითვლება. მისი მოძიების აუცილებლობას ჯერ კიდევ 1903 წელს მოსე ჯანაშვილი მოითხოვდა. აღნიშნული კრებულის მოძიება რუსეთის არქივებშია შესაძლებელი.

მიუხედავად კარგი პირობებისა ჩრდილოეთის ნესტიანი კლიმატის გამო ანტონ კათოლიკოსის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. „კათოლიკოსს სევდა მიეძალა და ავადმყოფობა დაიწყო. გული სამხრეთისაკენ მოუწევდა, სადაც, თავისი ცხოვრების უკანასკნელი, ბედუკუდმართი დღეები გაეტარებინა და ძვლები დაემარხა“⁶⁸. ასაკის მატებასთან ერთად კიდევ უფრო იზრდებოდა მისი ნოსტალგია სამშობლოსადმი, სადაც მან ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები გაატარა, სადაც იგი ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველი ერის სულიერი მოძღვარი იყო. ასეთი გრძნობით შეპყრობილი ანტონ მეორე 1822 წლის 28 მარტს ობერპროკურორ ალ. გოლიცინის მეშვეობით იმპერატორს აუწყებდა: „ახლა ვიმყოფებით რა მოხუცებულობის ასაკში, ძალიან გამიძლიერდა აქაური კლიმატით გამოწვეული ჩემი ავადმყოფობა, რამაც შეიძლება უდროოდ შემიმოკლოს სიცოცხლე. გთხოვთ, კეთილი ინებოთ ღვთით კურთხეულო ხელმწიფევ, განკარგულება გასცეთ ჩემი საქართველოში გაგზავნისა, ერთადერთი ადგილის, რომლის კლიმატი ჩემი ჯანმრთელობისათვის საზიანო არ არის. სიბერე და ავადმყოფობა არის ერთადერთი მიზეზი, რომ არა-

ვითარი სამსახურის ძალა აღარ მაქვს. ამიტომ ვხედავ, მივმართო თქვენი უდიდებულესობის მოწყალებას, გთხოვოთ საქართველოს კლიმატით სარგებლობის უფლება". წერილის დასასრულს იგი იმპერატორს სთხოვს, რომ პენსია და ის პრივილეგიები, რომელთაც ის სარგებლობდა რუსეთში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც შეუნარჩუნდეს, „რადგან საქართველოში არც სახლისა და ეკიპაჟის ქონა, დღიური ლუკმის შოვნა და მოსამსახურეების ყოლა მე არ შემიძლია“⁶⁹.

იმპერატორმა ანტონ კათოლიკოსისათვის პასუხი დააყოვნა იმის გამო, რომ მას სურდა გაეგო იმჟამინდელი საქართველოს მთავარმართებლის ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვის (1816-1827) აზრი კათოლიკოსის სურვილთან დაკავშირებით. რუსეთის უნმიდესი სინოდის ობერპროკურორმა 1822 წლის მაისის შუა რიცხვებში მთავარმართებელ ალ. ერმოლოვს აცნობა იმპერატორის დაინტერესება და სთხოვა, „ხომ არ ჰქონდა მას თავის მხრიდან რაიმე საწინააღმდეგო ანტონ კათოლიკოსის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით“⁷⁰.

ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვს, რომელსაც საქართველოს მთავარმართებლად ყოფნა მძიმე პერიოდში მოუხდა, დადებითი აზრი ვერ ექნებოდა ანტონ კათოლიკოსის საქართველოში დაბრუნებაზე. ჯერ კიდევ ალ. ერმოლოვის მმართველობამდე მთავარმართებელი მარკიზ პაულიჩის დროს (1811-1812) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ 1812 წელს კახეთის მოსახლეობა აჯანყდა რუსული მმართველობის წინააღმდეგ. მართალია, აჯანყებულებს დაკარგული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დაუსვამთ, მაგრამ აჯანყებაში სასულიერო პირების აქტიური მონაწილეობა იმაზე მეტყველებდა, რომ ისინი სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად ვერ ეგუებოდნენ მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის უფლებების დაკარგვას. აჯანყების მარცხის მიუხედავად, ქართველ ხალხში თავისუფლებისათვის ბრძოლა არ ჩამკვდარა. მთავარმართებელი

აღ. ერმოლოვი კარგად ხედავდა, რომ „თბილისიდან ანტონ კათოლიკოსის წასვლის შემდეგ საქართველოს მცხოვრებთ არ შეეძლოთ შერიგებოდნენ მათი ეკლესიის დამოუკიდებლობის განადგურებას და მისი უწმინდესი სინოდისათვის დაქვემდებარებას. ყველა ქართველი, გამონაკლისის გარდა, წუხდა თავის სამეფო წარმოშობის კათოლიკოსის ბედზე“⁷¹ - წერდა აღ. ერმოლოვი რუსეთის უზენაეს ხელისუფალთ. ჯერ კიდევ 1819 წელს საქართველოს ეგზარქოსი, მიტროპოლიტი თეოფილაქტე პეტერბურგს აცნობებდა, რომ საქართველოს ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს, მხოლოდ მაშინ ახსენებდნენ რუსეთის უწმიდეს სინოდს, როცა ეკლესიაში რუს ჩინოვნიკებს ამჩნევდნენ, სხვა დროს კი მის იგნორირებას ახდენენო⁷². აღ. ერმოლოვის მმართველობის დროს 1819-1820 წლებში იმერეთსა და გურიაში ადგილი ჰქონდა ე. წ. „საეკლესიო ბუნტს“. ეგზარქოსის მიერ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარებას წინ აღუდგა სასულიერო პირებისა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. სამხედრო ძალის გამოყენებით აჯანყება ჩაქრობილ იქნა. აჯანყების ხელმძღვანელი მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი შეიპყრეს. მიტროპოლიტ დოსითეოსს წამებით სული ამოხადეს და ანანურის ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატთან ახლოს ჩუმად დაკრძალეს, ხოლო ექვთიმე გენათელი შორეულ სვირის მონასტერში გამოკეტეს.

საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში პერმანენტულად მიმდინარე აჯანყებები მთავარმართებელ აღ. ერმოლოვს აძლევდა საფუძველს იმისა, რომ ყოფილი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრისათვის საკუთარ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მიეცათ, რადგან მისი დაბრუნება საქართველოში ახალი არეულობის მიზეზი იქნებოდა. ამ განწყობით საქართველოს მთავარმართებელმა 1822 წლის 9 მაისს ყაბარდოს სამხედრო ბანკიდან რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს აცნობა:

„თქვენი ბრწყინვალეებისათვის სრულიად ცნობილია კათოლიკოსის ჩვევები და თვისებები, რომ ასეთი თვითებების ადამიანი არ შეიძლება გულგრილი იყოს ხელისუფლებისადმი. მე კი იმის დამატებაც შემიძლია, რომ თავისი მაღალი წარმომავლობით გაამაყებული, სწუხს მის დაკარგვას და აქ დაბრუნებული თავს ვერ შეიკავებს ინტრიგებისაგან, რაც გავლენას მოახდენს აქაურ მცხოვრებთა გონებაზე. აქაურ ძლიერთა ამა სოფლისათა შორის ბევრი ჰყავს ისეთი ნათესავი, რომლებიც, მიუხედავად მთელი მისი არარაობისა, მოხარული იქნებიან ხედავდნენ მასში ვაჟს მეფე ერეკლესას, რომლის სახელსაც აქ დიდი პატივით ინახავენ“. ალ. ერმოლოვი, რომელიც ზედმინევნით ერკვეოდა საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციაში, კარგად ხედავდა ახალი მმართველობის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილებას. ამის საფუძველზე იგი უზენაეს ხელისუფლებას ატყობინებდა: „სასულიერო საქმეების მართვის ახალი ნესწყობილება, რომელმაც ბევრი პიროვნების ერთპიროვნული მმთარველობა შეზღუდა, უკმაყოფილო ხალხი შეგვძინა. ყველა ისინი, რომლებიც ანტონთან ერთად იყოფდნენ თავითმმართველობას, მის მხარეზე იქნებიან. აქაური თავადაზნაურობა... ჩვენს მიერ შემოღებულ ახალ ნესწყობილებას ღებულობს, როგორც თავისუფლების შეზღუდვას. მათი გაგებით, კათოლიკოსი დევნის მსხვერპლია. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რაიმე მოიმოქმედონ მის ძველ უფლებებში აღასდგენად“⁷³. ალ. ერმოლოვი აგრეთვე გამორიცხავდა საქართველოში კათოლიკოსის დისწულის ევსტატე ციციშვილის დაბრუნებას, რადგან ისიც შეიძლება არეულობის მიზეზად იქცეს. მთავარმართველის აზრით, კათოლიკოსს იმდენი თანხა აქვს დანიშნული, რომლის საშუალებით მას შეუძლია საქართველოს გარდა რუსეთის იმპერიის იმ ნაწილში იცხოვროს, სადაც ზომიერი კლიმატური პირობები არსებობს. მოტანილი წერილის შინაარსი ნათლად მეტყველებს ალ. ერმოლოვის მაღალ პოლიტიკურ აზროვნებაზე, რადგან კათოლი-

კოსის საქართველოში დაბრუნება მართლაც ახალი მღელვარების საფუძველი იქნებოდა. ქართველი ერი ვერ შეეგუებოდა საქართველოში დაბრუნებული თავისი სულიერი მოძღვრის უფუნქციოდ დატოვებას.

საქართველოს მთავარმართებლის აღნიშნული პასუხი 1823 წლის 15 აპრილს აცნობეს იმპერატორს, მაგრამ მისი შინაარსი, რა თქმა უნდა, დაფარული დარჩა ანტონ მეორისათვის. იმპერატორის განკარგულებით იმავე წლის 24 აპრილს ობერპროკურორმა ალ. გოლიცინმა დიპლომატიური პასუხი გასცა ანტონ მეორის მოთხოვნას. „მისი საიმპერატორო უდიდებულესობამ - წერდა იგი კათოლიკოსს - ინება შეენიშნა, რომ მიუღებელი იქნებოდა თქვენი ბრწყინვალეების რაიმე თანამდებობის გარეშე დაბრუნება საქართველოში, სადაც, თქვენ, მოწყალეო მეუფევ, მანამდე ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი გეჭირათ. მაგრამ თუ აქაური კლიმატი არასასიამოვნოდ მიგაჩნიათ თქვენი ჯანმრთელობისათვის, მისი უდიდებულესობა თქვენს ბრწყინვალეებას სთავაზობს აირჩიოს საცხოვრებლად ყირიმი ან რომელიმე სამხრეთი გუბერნია“⁷⁴.

ასეთი პასუხის შემდეგ ანტონ კათოლიკოსი, ბუნებრივია, უკმაყოფილო დარჩებოდა, რადგან მას სამშობლოში დაბრუნების იმედი საბოლოოდ გადაეწურა. მაგრამ პეტრებურგის მძიმე კლიმატური პირობები აიძულებდა კათოლიკოსს საცხოვრებლად შეერჩია რუსეთის სამხრეთი გუბერნიები. ეტყობა, იგი დიდხანს ფიქრობდა, თუ სად აჯობებდა საცხოვრებლად გადასვლა. იმპერატორის მიერ შემოთავაზებულ ყირიმზე უარი განაცხადა. 1823 წლის 10 მაისს ანტონ მეორემ ობერპროკურორს აცნობა, რომ განზრახული აქვს ასტრახანში დამკვიდრდეს და სთხოვა ხალმნიფეს ეზრუნა მის გამგზავრებაზე. იმპერატორი დათანხმდა კათოლიკოსის გადაწყვეტილებას და მისი ბრძანებით ხაზინიდან ანტონს და მის თანმხლებ პირებს სამგზავროდ გამოუყო 5 ათასი მანეთი და ნება მისცა გადაადგილებულიყო უმაღლეს ხელისუფლებასთან

წინასწარი შეთანხმების გარეშე⁷⁵. როგორც ჩანს, ანტონ მეორეს სურდა სიცოცხლის ბოლო წლები ასტრახანში გაეტარებინა, სადაც დაკრძალული იყო ქართველი მეფეები - ვახტანგ მეექვსე (1716-1724) და პაპამისი - თეიმურაზ მეორე (1745-1762).

ასტრახანში გამგზავრებამდე ანტონ კათოლიკოსმა გადაწყვიტა დროებით საცხოვრებლად ნიჟნი-ნოვგოროდში დამკვიდრებულიყო, სადაც მისი თანამემამულენი და ახლო ნათესავები ცხოვრობდნენ, ქართველთა მეფეთა შთამომავლები: გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, ლევან გრუზინსკის ქვირივი პარასკევა ევგრაფის ასული, გვარად ტატიშევა თავისი ოჯახით, რომელსაც აგრეთვე უწოდებდნენ თავადის ასულ კატუნსკის, მისი სოფლის. კატუნსკის (ბალახინის მამრა) მიხედვით. აქვე ცხოვრობდა ანტონ მეორის ახლო ნათესავი დედის მხრიდან ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დადიანი⁷⁶.

თავისი გადაწყვეტილება ანტონ მეორემ 1823 წლის ივნისში აცნობა რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს ალ. გოლიცინს. ამ უკანასკნელმა, გახარებულმა იმით, რომ კათოლიკოსმა დროებით გადადო გამგზავრება ასტრახანში, სასწრაფოდ შეატყობინა ნიჟნი-ნოვგოროდის ეპისკოპოსს მოსეს და თან აუწყა, რომ ხელმწიფემ ანტონ მეორის თხოვნით, ბრძანება გასცა, მოემარაგებინათ ის საეკლესიო საჭირო ნივთებით, რასაც კათოლიკოსი ანტონი ღვისმსახურებისას მოითხოვდა⁷⁷.

პეტერბურგიდან გამგზავრების წინ ანტონ მეორემ ობერპროკურორს სთხოვა, რომ სამგზავრო თანხა გამოეყოთ არა მარტო მისთვის, არამედ მის დისშვილ ევსტატე ციციშვილისათვისაც. კათოლიკოსს სურდა თავისი დისშვილი სასწრაფოდ გაერიდებინა პეტერბურგიდან, რადგან მას ზოგიერთ პიროვნებებთან სკანდალური ურფიერთობა ჰქონდა. ანტონის თხოვნა დააკმაყოფილეს, მაგრამ დროებით უარი განაცხადეს ევსტატე ციციშვილის პეტერბურგიდან გამგზავრებაზე,

რადგან მის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. ანტონ კათოლიკოსის ამაღლის წევრი იოსებ თულაშვილი ე. ციციშვილს ბრალად სდებდა მისი კუთვნილი დალუქული კონვერტის გახსნას და იქიდან საქმიანი დოკუმენტების ამოღებას. თუ როგორ დამთავრდა ე. ციციშვილისა და ი. თულაშვილის საქმის გარჩევა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ანტონის გამგზავრებიდან მცირე ხნის შემდეგ ე. ციციშვილი ნიჟნი-ნოვგოროდში ისევ ბიძის ამაღლას შეუერთდა⁷⁸.

ანტონ კათოლიკოსი 1823 წლის 5 სექტემბერს თანმხლებ პირვებთან ერთად ნიჟნი-ნოვგოროდში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს. იგი ძალიან წააგავდა ანტონ მეორის პეტერბურგში პირველად ჩასვლის ცერემონიალს. ქალაქის შესასვლელი საზღვიმოდ იყო მორთული. ნიჟნი-ნოვგოროდის ეპისკოპოსის განკარგულებით საპატიო სტუმარს დახვდნენ სემინარიის სექტორი და პეჩერის მონასტრის არქიმადრიტი გაბრიელი, სასულიერო კონსისტორიის ორი წევრი და ქალაქის დიდგვაროვანი. ანტონ კათოლიკოსი კმაყოფილი იყო იმ დიდებული შეხვედრით, რომელიც ნიჟნი-ნოვგოროდის საზოგადოებამ მოუწყო. როგორც ჩანს, რუსეთის უზენაესი ხელისუფლება წინასწარ იყო გაფრთხილებული, რომ კათოლიკოსთან შეხვედრისას დიდი სიყვარული და სითბო გამოეჩინათ. მათი მიზანი იყო ნიჟნი-ნოვგოროდში დროებით გადასულ ანტონს ისეთი პირობები დახვედროდა, რომ მას აღარ გასჩენოდა სურვილი ასტრახანში გამგზავრებისა. რუსეთის საიმპერატორო კარს ნამდვილად არ სურდა კათოლიკოსი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში დამკვიდრებულიყო. მათთვის უფრო მისაღები იყო ანტონ მეორის რუსეთის შიდა გუბერნიაში ეცხოვრა, რითაც ადვილად განახორციელებდნენ მასზედ კონტროლს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, რუსეთის ხელისუფალთა იმედები გამართლდა. ნიჟნი-ნოვგოროდში დამკვიდრებულ ანტონს აღარ მოუსურვებია ასტრახანში გამგზავრება.

ნიჟნი-ნოვგოროდის ხელისუფლებას წინასწარ უზრუნია ანტონისა და მისი ამაღლის დაბინავებაზე. მოგზაურობით დაღლილმა კათოლიკოსმა დაისვენა. მეორე დღეს კი ეპისკოპოს მოსეს წერილობით შეატყობინა მშვიდობიანად მობრძანება და მადლობა გადაუხადა სტუმართმოყვარეობისათვის.

ნიჟნი-ნოვგოროდში ანტონი დიდხანს არ გაჩერებულა. მცირე ხნით იგი საცხოვრებლად გადავიდა სოფელ ლისკოვოში თავის ახლო ნათესავ გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკისთან. ეს უკანასკნელი ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან ლისკოვოში ააშენა სკოლა, საავადმყოფო და ბიბლიოთეკა, რაც იმ დროისათვის იშვიათი მოვლენა იყო⁷⁹. ერთ დროს იგი არჩეული იყო მაკარევის მაზრის დეპუტატად, ხოლო ოცი წლის განმავლობაში იყო ადგილობრივი გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი. ეს ის გიორგი გრუზინსკია, რომელმაც 1801 წელს წმ. ნონოს ჯვარი იმპერატორ ალექსანდრე პირველს კორონაციის დღეს გადასცა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელმა იგი თავის კანონიერ მფლობელს დაუბრუნა. სოფელ ლისკოვოში ახლობელთა გარემოცვაში მყოფ ანტონ კათოლიკოსი თავს კარგად გრძნობდა. გიორგი გრუზინსკი, რომელიც ანტონ მეორეს დიდ პატივს სცემდა, ყოველმხრივ ცდილობდა მისი სულიერი ტკივილების შემსუბუქებას.

1824 წლის გაზაფხულზე კათოლიკოსი ლისკოვოდან საცხოვრებლად ისევ ნიჟნი-ნოვგოროდში დაბრუნდა. მან დაიქირავა რიუმინის სახლი, რომელიც პოკროვის საყდრის პირდაპირ მდებარეობდა. ნიჟნი-ნოვგოროდის ქართველობა აღნიშნული ტაძრის მრევლი იყო. სწორედ ამიტომ ანტონ კათოლიკოსმა თავის მუდმივ სალოცავად ეს ეკლესია აირჩია, სადაც კვირაობით და საზეიმო დღეებში ქართველები ღვთისმსახურებას თავიანთ მშობლიურ ენაზე ასრულებდნენ ხარლამპის ეკვდერში. ანტონ მეორე წირვა-ლოცვას ხშირად ესწრებოდა, მაგრამ, რადგანაც ჯანმრთელობა შერყეული ჰქონ-

და და დიდხანს ფეხზე დგომა არ შეეძლო, წირვის მიმდინარეობისას ძირითათად იჯდა, რისთვისაც ეკლესიის შუაგულში, თაღქვეშ მისთვის დადგმული იყო სპეციალური თეთრი შალითით გადაკრული მაღალი საეარძელი⁸¹. პოვროვსკის ტაძარს ანტონმა შესწირა უძველესი წმიდა სამების სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც დღესაც აღნიშნულ ტაძარშია დასვენებული. კათოლიკოსი ზოგჯერ თვითონ ატარებდა წირვას და ქადაგებას წარმოთქვამდა, როგორც იოანე ბატონიშვილი გადმოგვცემს, ანტონ მეორე ყოფილა „მოქადაგე კარგი, რომელსა ყოველთვის ძალუძს მოუმზადებლად ქადაგებისა თქმა“⁸². პოვროვსკის ტაძრის მეტრიკული ჩანაწერით ირკვევა, რომ 1824 წლის 9 ოქტომბერს ანტონ მეორე ყოფილა მიმრქმელი პორუჩიკის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა და ოლგა ლეონის ასულის ტურჩანიკოვის შვილის ვარვარასი⁸³.

რიუმინის სახლი ანტონ კათოლიკოსმა მალე დატოვა და საცხოვრებლად გადავიდა ვარვარის ქუჩაზე მდებარე ბრავინის სახლში. აქაც დიდხანს არ გაჩერებულა. ერთხანს იგი კოტელნიკოვის ბინაში ცხოვრობდა, შემდეგ დამკვიდრდა ოშარსკის ქუჩაზე ეფიმიევის კეთილმონყობილ ხის სახლში, სადაც იგი გარდაცვალებამდე ცხოვრობდა⁸⁴.

პოვროვის საყდართან ახლოს მდებარეობდა ქალთა ჯვართამაღლების მონასტერი. აღნიშნულ ტაძარში ანტონ მეორე იშვიათად წირავდა. წირვას იგი ქართულ ენაზე ატარებდა. გადმოგვცემენ, რომ არსებული ტაძრის მონაზვნებს კარგა ხანს ახსოვდათ, თუ როგორ მობრძანდებოდა ხოლმე ანტონ მეორე ოქროს კარეტით და როგორ ასრულებდა მათთან ლიტურგიას ქართულ ენაზე, რომელიც, მართალია, მათ არ ესმოდათ, მაგრამ იმდენად სასოებით ლოცულობდა, რომ მათზე ძალზე დიდ გავლენას ახდენდა. კათოლიკოსი ქართულად წირავდა, დამხმარე სასულიერო პირები: მღვდლები და მგალობლები რუსულ ენაზე წირავდნენ და გალობდნენ. შემორჩენილია მოგონება, რომ წირვის შემდეგ ანტონი იკვებებოდა

სამონასტრო ტრაპეზში იღუმენია დოროთი მიხაილოვთან. მონაზვნები გაოცებულები იყვნენ კათოლიკოსის ასეთი თავ-მდაბლობით⁸⁵.

ანტონ კათოლიკოსი ნიჟნი-ნოვგოროდში ადგილობრივ ეპისკოპოს მოსეს შემდეგ უპირველეს მღვდელმთავრად ითვლებოდა. ნირვა-ლოცვის ჩატარების თუ სხვა საკითხების გადაწყვეტის დროს, მას ადგილობრივ სასულიერო კონსისტორიისაგან არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. პირიქით, მათგან იგი დიდ ყურადღებასა და პატივისცემას გრძნობდა. თავის მხრივ, ანტონ კათოლიკოსი სიკეთით პასუხობდა მათ კეთილგანწყობას. მან დიდად განიცადა ნიჟნი-ნოვგოროდის ეპისკოპოს მოსეს ავადმყოფობა. ავადმყოფობის პერიოდში იგი აკურთხებდა და აზიარებდა არა მარტო მას, არამედ მთელ მის გარემოცვას. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მან წესი აუგო და პანაშვიდი გადაუხადა ნიჟნი-ნოვგოროდის მღვდელმთავარს. სხვათაშორის, დაკრძალვას დასწრებია ბერძენი მიტროპოლიტი აგათანგელოზი, რომელიც ნეჟინის ნაცვლად ნიჟნი-ნოვგოროდში აღმოჩნდა⁸⁶. მანვე, 1825 წლის ნოემბერში ადგილობრივი სასულიერო კონსისტორიის თხოვნით საკათედრო ტაძარში გადაიხადა გარდაცვლილი იმპერატორის ალექსანდრე პირველის პანაშვიდი. ადგილობრივი საერო ხელისუფლების განკარგულებით კათოლიკოსმა ანტონმა 1825 წლის დეკემბერში ნიჟნი-ნოვგოროდის მოსახლეობას ორჯერ დაადებინა ფიცი, პირველად ლამით იმპერატორ კონსტანტინეს ერთგულებაზე, ხოლო მეორედ საღამოს წირვის შემდეგ იმპერატორ ნიკოლოზის ერთგულებაზე⁸⁷. ანტონ მეორემ ნიკოლოზ პირველს ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გაუგზავნა. ახალმა იმპერატორმა გულთაღი მადლობა გადაუხადა ანტონ კათოლიკოსს და გამოთქვა სურვილი, რომ საიმპერატორო კარი ყურადღებას არ მოაკლებდა მის უწმიდესობას⁸⁸.

ნიჟნი-ნოვგოროდში ანტონის მოღვაწეობის დროინდელი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მას ეკლესიებში წირვის დროს იხსენებდნენ უნეტარესად, ქართლისა და კახეთის კათოლიკოსად, ხოლო ოფიციალურ მიმონერებში - მეუფედ.


ნიჟნი-ნოვგოროდში ცხოვრების დროს ანტონ კათოლიკოსი ყოველთვის საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. იგი ადგილობრივი წარჩინებული ოჯახების ხშირი სტუმარი იყო. რუსული ენის სუსტად ცოდნის გამო საზოგადოებას თარჯიმნის საშუალებით ესაუბრებოდა. რუსული წყაროების გადმოცემით: „მისი მიმართვა ყველასადმი იყო ძალიან თავაზიანი და კეთილშობილური, მისი მანერები სავსებით შეეფერებოდა მის მაღალ წოდებას და წარმომავლობას“⁸⁹.

ნიჟნი-ნოვგოროდის დაბალი ფენები პატივისცემით ეპყრობოდა კათოლიკოსს. როცა იგი თავისი ფრანგული კარეჯით ქალაქის ქუჩებში გამოჩნდებოდა, მთელი მოსახლეობა მის დასანახად გამოეფინებოდა ხოლმე. თვითმხილველნი გადმოგვცემენ, რომ „სადა საგუბერნიო ქალაქში ყველაფერი ეს უჩვეულო იყო, რომ ხალხს უნდოდა ქართველი იერარქის ცქერა და ყველგან ბრბო დაჰყვებოდა მას“⁹⁰. ანტონ მეორეს თურმე ხშირად ეკითხებოდნენ: „ნუთუ საქართველოში ყველა შენისთანა ლამაზები არიანო“. მათ შეკითხვაზე კათოლიკოსი პასუხობდა: „იქ ჩემზე უფრო ლამაზები არიანო“⁹¹.

ანტონ მეორის ფიზიკურ გარეგნობას მეტ ელფერს მატებდა სამღვდელმთავრო საეკლესიო შესამოსელი: „თავს უმშვენებდა თეთრი ბარტყულა ბრილიანტიანი ჯვრითა და მუხლებზე მარგალიტის ქერუბიმით. მკერდზე უბრწყინავდა ორი ძვირფასი პანაგია და მსხვილი ბრილიანტებით მორთული ჯვარი, ნმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის ოქროს ძენკვი ვარსკვლავით და ნმ. ალექსანდრე ნეველის ორდენის ვარსკვლავი. აღნიშნულ პირველხარისხოვან და ძვირფას მოკაზმულობას შორის იყო 1812 წლის სამამულო ომის სამახსოვრო

ნიშნები. ყოველივე ეს ისედაც დიდებული შესახედაობის კათოლიკოს ანტონ მეორეს უფრო მეტ ბრწყინვალეებას მატებდა⁹². 1885 წელს ნიჟნი-ნოვგოროდის საეპაქიო ჟურნალი ანტონ კათოლიკოსისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავდა, რომ „ბევრი ნიჟნი-ნოვგოროდელ თვითმხილველს დღესაც ცოცხლად ახსოვს თავისი სახელოვანი სტუმარი და ბევრ საინტერესოს ჰყვებიან მის შესახებ“⁹³.

ანტონ კათოლიკოსის პიროვნებამ რუსულ ხელოვნებაში თავისი ასახვა ჰპოვა. რუსმა მხატვრებმა ანტონ მეორის რამდენიმე ფერწერული ტილო შექმნეს. მათი წყალობით შემოგვრჩა კათოლიკოსის პორტრეტები, რომელთა ნაწილს ქართველი საზოგადოება დღემდე არ იცნობს. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მესამე ტომში




მხატვარ პინაევის მიერ
შესრულებული ანტონ მეორის
პორტრეტი.

მოთავსებულია ანტონ მეორის სურათი, რომელიც 1811 წელს რუსეთში დაუხატავს მხატვარ პინაევს. აღნიშნული პორტრეტი შესრულებულია ესტამპიდან, რომელიც თბილისის კარის ეკლესიის მოძღვარს გიორგი მელითაურს გადმოუღია და მხატვარ პინაევისათვის მიუერთმევია. პინაევმა მღვდელ გიორგი მელითაურის მონოდებული მასალის საფუძველზე შექმნა ანტონ მეორის პორტრეტი. მკვლევარი

მ. ბერძნიშვილი აქტების მესამე ტომში გამოქვეყნებული ანტონ მეორის პორტრეტის ავტორად მიიჩნევს მხატვარ ვ. ბოროვიკოვსკის⁹⁴, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. აქტების მესამე ტომის შესავალ ნაწილში გარკვევითაა მითითებული, რომ აღნიშნულ პორტრეტის ავტორია მხატვარი პინაევი⁹⁵. მხატვარ პინაევის მიერ შესრულებულ ანტონ მეორის პორტრეტთან დაკავშირებით ხშირად გაუგებრობასაც აქვს ადგილი. ზოგჯერ ანტონ მეორის აღნიშნულ პორტრეტს მიიჩნევენ ანტონ პირველის სურათად. პირველად ეს შეცდომა გაიპარა 1900 წელს ფრანგულ ენაზე რაფიელ ისარლიშვილის მიერ გამოცემულ ალექსანდრე ხახანაშვილის „საქართველოს ისტორიაში“, სადაც ანტონ პირველის პორტრეტი შეცდომით იყო დაბეჭდილი⁹⁶. დასახელებულ ნაშრომზე დაყრდნობით აღნიშნული შეცდომა გაიმეორა მიხეილ თამარაშვილმა 1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოცემულ შრომაში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“⁹⁷. მ. თამარაშვილმა ნაშრომის გამოცემისთანავე შენიშნა უზუსტობა, რის გამოც იგი დიდად ნუხდა და 1910 წლის 25 აპრილს ცნობილ მნიგნობარსა და საზოგადო მოღვაწეს ზაქარია ჭიჭინაძეს წერდა: „მე ისე გადმოვაბეჭდინე, როგორც იყო ხახანოვ-ისარლოვის მიერ გამოცემულ ისტორიაში. ამიტომ ვნუხვარ, რომ იმათ მეც შემაცდინეს და ანტონ მეორე ანტონ პირველად დამანერინეს. ამ შეცდომას თავიდან ავიცილებდი, უკეთუ მ. ჯანაშვილს ჩემი წერილისათვის პასუხი მოეცა. მაგ დალოცვილმა, აქამდინაც არ იკადრა ცარიელი პასუხის მოცემა“⁹⁸. მ. თამარაშვილი იმედოვნებდა, რომ მეორე გამოცემაში ამ შეცდომას გამოასწორებდა, მაგრამ 1911 წლის 15 სექტემბერს ტრაგიკულად დაღუპვის გამო, დანაპირები ვეღარ შეასრულა. 1995 წელს საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევითმა ფონდმა თარგმნა და ქართულ ენაზე გამოსცა მ. თამარაშვილის აღნიშნული შრომა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ გამოცემაშიც იგივე განმეორდა. მომავალში შეცდომის თავიდან აცილებით მიზნით,

ჩვენს მიერ ამ საკითხზე გამოქვეყნდა ნაშრომი, სადაც მიუთითეთ აღნიშნული უზუსტობა⁹⁹. ნაშრომს თან დავურთეთ ანტონ მეორის მასწავლებლისა და მისი წინამორბედი კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველის პორტრეტი, რომელიც ამ უკანასკნელის მოსკოვში ყოფნის დროს, როგორც პ. იოსელიანი გადმოგვცემს: „დაეხატვინებინა თვით მას მოსკოვსა“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მისი პორტრეტი კათოლიკე მისიონერების კუთვნილება გამხდარა. მათი საქართველოდან გაძევების შემდეგ (1845 წ.) პ. იოსელიანს ანტონ პირველის პორტრეტი შეუძენია. აღნიშნული პორტრეტი პ. იოსელიანმა დაურთო 1853 წელს გამოცემულ ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობას“¹⁰⁰. ამჟამად დედანი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.



ჩვენი მცდელობის მიუხედავად, შეცდომა კვლავ განმეორდა. 1996 წელს ანტონ პირველის 275-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა საფოსტო მარკა ანტონ პირველის გამოსახულებით. წარმოდგენილ მარკაზე ანტონ პირველის ნაცვლად გამოსახულია მხატვარ პინაევის მიერ შესრულებული ანტონ მეორის პორტრეტი. მართალია, დაშვებულ უზ-

უსტობას კვლავ გამოვეხმაურეთ¹⁰¹, მაგრამ დღემდე დასახელებული მარკა კვლავ მიმოქცევაშია.



კათოლიკოს ანტონ I-ის (1720-1788 წწ.) 275 წლის-თავთან დაკავშირებით 1996 წელს შეცდომით გამოცემული საფოსტო მარკა.

ანტონ მეორის პორტრეტებიდან აღსანიშნავია ცნობილი რუსი მხატვრის ვლადიმერ ლუკას ძე ბოროვიკოვსკის (1757-1825) ფერწერული ტილო, რომელიც მას დაუხატავს 1811 წელს. პეტერბურგში მცხოვრებ ანტონ მეორეს ვ. ბოროვიკოვსკი კარგად იცნობდა და ამ ნაცნობობამ გააბედვინა ალბათ, რომ შეექმნა მისი პორტრეტი. პორტრეტზე აღბეჭდილი ანტონ მეორე ძვირფასი სასულიერო შესამოსელითაა წარმოდგენილი. მკერდს უმშვენებს ანდრია პირველწოდებუ-

ლის ორდენი. აღნიშნული სურათი კოლექციონერ ნ. დ. ბიკოვის კუთვნილებას შეადგენდა. 1882 წელს პ. ი. ტრეტიაკოვმა იგი შეისყიდა და ამჟამად დაცულია მოსკოვში, ტრეტიაკოვის გალერეაში. ვ. ბოროვიკოვსკის ნაწარმოებთა კატალოგიდან ჩანს, რომ ანტონ კათოლიკოსის პორტრეტის ყველაზე ძველი ასლი თბილისში მცხოვრებ ს. თუშმალიშვილის საკუთრება ყოფილა¹⁰². სპეციალისტების აზრით, ვ. ბოროვიკოვსკის შემოქმედებაში ანტონ მეორის პორტრეტი ერთ-ერთი უბრწყინვალესი შედეგია¹⁰³. შემო-



მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერეაში დაცული ვ. ბოროვიკოვსკის მიერ შესრულებული ანტონ მეორის პორტრეტი.



საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის ფონდში დაცული უცნობი ავტორის მიერ XIX ს. 10-იან წლებში შესრულებული ანტონ მეორის პორტრეტი.

კათოლიკოსი წელსზემთ, ანფასით, მუქი შინდისფერი ანაფორით, ლურჯი მოსასხამით და მღვდელმთავრის თეთრი ოქსინის ოლარით მოსილი. მკერდს უმშვენებს პანაგია ჯვარცმის გამოსახულებით, ხელთ უპყრია კვერთხი ჩალისფერი ალმით¹⁰⁴. ნიჟნი-ნოვგოროდში ცხოვრების დროს ჩვენთვის უცნობ მხატვარს შეუქმნია ანტონ მეორის პორტრეტი, რომელზეც უკვე ხანში შესული კათოლიკოსია გამოსახული. ეს პორტრეტი და-

რჩენილია უცნობი მხატვრების მიერ შესრულებული ანტონ მეორის რამდენიმე პორტრეტი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია 1812 წელს შესრულებული მისი პორტრეტი. ხოლო გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში ინახება XIX საუკუნის 10-იან წლებში უცნობი რუსი მხატვრის მიერ შესრულებული ანტონ მეორის სურათი. პორტრეტზე აღბეჭდილია



ნიჟნი-ნოვგოროდის მუზეუმში დაცული უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული ანტონ II-ის პორტრეტი.

ცულია ნიჟნი-ნოვგოროდის ისტორიის მუზეუმში. ნიჟნი-ნოვგოროდში ანტონ მეორის ჯანმრთელობა თანდათანობით უარესდებოდა, რის გამოც ბოლო წლებში იგი ხშირად ავადმყოფობდა. იმის შიშმა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ დავა არ ატეხილიყო ნათესავებს შორის ქონების განაწილების გამო, რომლის მწარე მაგალითი მას ჰქონდა, როცა 1819 წელს გარდაცვლილი დავით ბატონიშვილის ახლობლებს შორის მემკვიდრეობის გამო წინააღმდეგობა იმდენად გამწვავდა, რომ მის მოგვარებაში თვით იმპერატორი ჩაერია, 1825 წლის 13 ოქტომბერს სასამართლო მოხელის თანდასწრებით ანტონ კათოლიკოსმა ანდერძი შეადგინა. ანდერძის მიხედვით ანტონ მეორე თავის მემკვიდრედ ასახელებდა დისწულს ევსტატე ციციშვილს, რომელიც 15 წლის განმავლობაში ბიძას არ მოშორებია და ერთგულად ემსახურებოდა.

ჟურნალი „მწყემსი“ 1889 წელს (№13) იუწყებოდა, რომ აღმოჩნდა კათოლიკოს ანტონ მეორის ანდერძი. მომდევნო, 1890 წელს დიმიტრი ფურცელაძემ ცალკე წიგნად გამოცხა იგი, რომელსაც თან კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის მოკლე ბიოგრაფიაც დაურთო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ დ. ფურცელაძის გამოცემული ნაშრომი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანდერძი არ იყო. 1890 წელს მღვდელმა პ. კარბელაშვილმა მიუთითა, რომ გამოქვეყნებული ანდერძი, რომელიც 1793 წელს იყო შედგენილი, ეკუთვნოდა 1822 წელს გარდაცვლილ ხონის მთავარეპისკოპოსს ანტონ აბაშიძეს¹⁰⁵. დ. ფურცელაძის მიერ გამოქვეყნებული ანდერძი, რომელიც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ვითარებას ასახავს, ცხადია, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ანტონ მეორის ანდერძად. სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში კვლავ განემეორდა შეცდომა, საპატრიარქოს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ 1990 წლის №2 კვლავ გამოქვეყნდა დ. ფურცელაძის ზემოთ დასახელებული გამოცემა. მომავალში გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მთლიანი სახით გთავაზობთ ანტონ მეორის

ანდერძს, რომელიც პირველად რუსულ ენაზედ გამოქვეყნდა 1865 წელს ნიჟნი-ნოვგოროდის საეპარქიო უწყების ჟურნალში, ხოლო ქართულად იგი 1900 წელს გამოსცა მღვდელმა პ. კარბელაშვილმა¹⁰⁶.

„სახელისა ყოვლად შემძლებელისა, წმიდისა და განუყოფელისა სამებისა - მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ამინ. მე ქვემორე ხელის მომწერელი ჩემის მოხუცებულობისა გამო მუდამ ვფიქრობდი და გონებაც ჩემი დამიმტკიცებდა ბუნებრივ და ქრისტეს სარწმუნეობისამებრ, რომ თითოეული კაცი სცხოვრობს ცხოველის ღვთის უფლების ქვეშ და არა ძალუძს წინასწარ განიგულოს რა მოულოდნელი შემთხვევანი მოელიან მის სიცოცხლესა. ამიტომ ვიდრე ზემონიჭებულის გონებით აღვჭურვილვარ - მაქვს ხსოვნა და სრული ჭკუა, და მეორე მხრივ აღსავსე მადლობითა ჩემის ღვიძლი დისწულისადმი, ბატონის დეისტვიტელნი სტოტსკი სოვეტნიკისა და კავალერიისა თავადის ვესტატე დავითის ძე ციციშვილისა, რომელიც დიდი ხნიდგან ჩემთან სცხოვრობს და აკმაყოფილებს ჩემთა სურვილთა და უფრთხილდება ჩემსა სიცოცხლესა და ქონებასა როგორც ნათესაობისა გამო, ეგრეთვე განსაკუთრებულისა ჩემდა მიმართისა მეგობრობისა და სიყვარულის გამო. თუმცა ხშირად მოვსულვარ გრძნობათა სავსებასა და გადამეხადნა სიკეთე. გარნა ვერა რაიმე ჯილდო და საჩუქარი ვერა ვიცი რა შეძლების უქონლობის გამო, რადგან უმაღლესად ბოძებულის პენსიონერიდგან და წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის შემოსავლისაგან ჩემს ყოველ წლიურ ხარჯს შემდეგ არა მრჩებოდა რა: ხშირად ხარჯი სჭარბობდა შემოსავლისა - რაკი ვალები მქონდა ხოლმე მოსაშორებელი. ამიტომ მე მოვახდინე შემდეგი განკარგულება, რათა ჩემნი ნათესავნი და მემკიდრენი არ შეეხნენ ჩემს დისწულსა და ტყუილუბრალოდ დავა არავინ დაუნყოს.

მე განვსაზღვრე: ა) ყოველი ჩემი მცირედი მოძრავი ქონება, რომელიც 20 თუმანზე მეტს არ შეადგენს და ფული, რაც

კი ჩემს უკანასკნელს დანახარჯებს გადარჩება - ჩემი სიკვდილის შემდეგ მიანდერძებია უცილობელ საკუთრებად ჩემი ღვიძლის დისწულისათვის თავად ევსტატე დავითის ძე ციციშვილისათვის, ნიშნად ჩემის გულითადის მისდა მადლობისა, მისის ჩემდა წრფელი სიყვარულისა და ერთგულებისა, და განმეორებით ჩემის მისდა უზადო სიყვარულს მე შესაფერად ვერ დავაჯილდოვე, რადგან რაც საქართველოში ქონება მქონდა, ყოველივე მცხეთის სვეტის ცხოველის ტაძარს შევნირე, რაზედაც საერო განათლების მინისტრს თავად ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გოლიცინს მოხსენებული აქვს.

ბ) ჩემს დისწულს, ევსტატე დავითის ძეს ვთხოვ მინისაგან გვამი ჩემი დაასაფლავოს; უკუეთუ არ ეყოს ჩემი სამარხი, თავისი დახარჯოს თუ საჭიროდ დაინახოს, რასაც მივანდობ მისს დისწულს ნებაზედ.

გ) კვალად ვთხოვ ჩემს ნათესავეებს და მემკიდრეებს, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ არა რაიმე დავა არ დაუნყონ ჩემს დისწულს, ე. დ. ციციშვილს, რადგანაც ამას ზეით ნშინდა სვინდისითა მომიხსენებია, რომ რაც მითქვამს იმაზედ მეტი არა მაქვს რა და არც შემეძლო მქონოდა. და თუ ვინმე წამოედავოს და თხოვნა დაუნყოს, ყოველმა სასამართლომ იგი დავა უქმად ჩაატაროს. დასამტკიცებლად ამისა საკუთარ ხელს ვანერ და ჩემს საკათალიკოზო ბეჭდით (ღერბი) ვბეჭდავ, დაინერა ანდერძი ესე ნიჟნი-ნოვგოროდში, 13 ოქტომბერი, 1825 წ. კათოლიკოზი ანტონი საქართველოსი.

ესე ანდერძი მისი უწმიდესობა კათოლიკოს ანტონის ნებით და ბრძანებით, სალი ჭკუით და მეხსიერებით და ხელმონერილია საკუთრივ, რასაც ვადასტურებ და ხელს ვანერ არტილერიის მაიორი ნიკოლოზ ივანოვი, შვილი ლისკოვსკის; ამასვე ვადასტურებ და ხელს ვანერ ტიტულიარული მრჩეველი და კავალერი ნიკოლოზ გასიანოვი, ასევე კოლეგიის მრჩეველი და კავალერი ალექსანდრე ვასილის ძე შვილი ზელენეცკის, კოლეგიის მრჩეველი და კავალერი დიმიტრი ივანეს ძე

ნიკოლაევი. ნამდვილის ადევს გერბიანი ბეჭედი". ანდერძი დაამონმა კოლეგიის რეგისტრატორმა ვასილ პოკროვსკიმ¹⁰⁷.

ნიჟნი-ნოვგოროდში ანტონ კათოლიკოსის თანმხლებთა რიცხვი შემცირდა. ზოგიერთი მათგანი საქართველოში დაბრუნდა, ხოლო ზოგმა საცხოვრებლად მოსკოვი და პეტერბურგი არჩია. სიკვდილის ბოლომდე ანტონ მეორეს საქართველოდან წარგზავნილთა შორის შერჩა დეკანოზი აარონ ალექსი-მესხიშვილი, რომელიც კათოლიკოსის მოძღვარიც იყო. ცოლშვილით ჩამოსულ დეკანოზ აარონს მატერიალურად უჭირდა. იგი ანტონის დახმარებით შტატიან დეკანოზად ითვლებოდა და სახელმწიფოსგან ჯამაგირს ღებულობდა. რუსეთში მყოფი აარონ ალექსი-მესხიშვილი თავისი წინაპრების მსგავსად მნიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდა. სოფელ ლისკოვოში მას გადაუწერია ხელნაწერი: „ანტიქრისტეს მოსულისა და ამ სოფლის აღსრულებისა“. მისი გადანერილი უნდა იყო დ. კარიჭაშვილის კატალოგში შესული ორი ხელნაწერი სამოელ რუბინ იუდიანი და „ოქროს აღნაქვის“¹⁰⁸. ანტონ კათალიკოსმა გარდაცვალების წინ კეთილგანწყობილების ნიშნად თავის მოძღვარს საჩუქრად თავისი ლოგინი გადასცა. კათოლიკოსის ამაღლაში იყო აგრეთვე მღვდელი სიმონ გიორგის ძე ერიაშვილი, მორჩილი სოლომონ ჩერქეზიშვილი, სახლის გამგებელი თავადი ფარსადან ნაზარეს ძე ნაცვლიშვილი, თარჯიმანი ივანე თომას ძე მოლოდინაშვილი, სხვადასხვა დავალებების შემსრულებელი იოსებ ბერზინი (ბერძენიშვილი?), ანტონის დისწული ევსტაქე. დავითის ძე ციციშვილი, არქიმანდრიტი თეოფანე, რომელიც ნიჟნი-ნოვგოროდში ჩასვლისთანავე ხშირად ავადმყოფობდა და სასიკვდილოდ იყო გადადებული. იგი გარდაიცვალა 1826 წლის 29 აპრილს და დაკრძალეს პეჩერის მონასტერში. გარდა ამისა ხელმწიფის განკარგულებით კათოლიკოსის ამაღლაში იყვნენ რუსი მოსამსახურეები: იგორ კუზნეცოვი; ყმა-გლეხები: ილია რუსკოვი, ნიკიფორე ტულიაპოვი და ათანასი კუზნეცოვი¹⁰⁹. ანტონ კათალიკოსი დიდი პა-

ტივისცემით ეპყრობოდა თავის მოსამსახურეებს, რომლებიც ფაქტიურად მის ხარჯზე ცხოვრობდნენ.

ნიჟნი-ნოვგოროდში თავის ბედს შეგუებული ანტონ მეორე შედარებით მშვიდად გრძნობდა თავს. ნიჟნი-ნოვგოროდის ახალი ეპისკოპოსი ათანასეც კეთილგანწყობილი იყო კათოლიკოსის მიმართ. 1826 წლის 16 მარტს ანტონ კათალიკოსმა საქართველოს ეგზარქოსს მიტროპოლიტ იონა ვასილევსკის (1821-1832) შემოუთვალა: „ორი ბერი, ერთი მღვდელმონაზონი და ერთი იეროდიაკონი გამომიგზავნე, რომ ქართულად მიწირონ და მილოცონ“¹¹⁰. საქართველოს ეგზარქოსმა დააკმაყოფილა ყოფილი მწყემსმთავრის თხოვნა და მიტროპოლიტ იონანე ბოდბელის (მაყაშვილი) შუამდგომლობითა და ანტონის დის თეკლე ბატონიშვილის თანხმობით 1826 წლის 21 ივნისს რუსეთში გაემგზავრნენ თბილისის ფერიცვალების მღვდელმონაზონი ფილადელფოს კიკნაძე და შუამთის მონასტრის იეროდიაკონი დანიელ ანდრონიკაშვილი. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ იწვევდა წირვა-ლოცვისათვის ანტონ მეორე საქართველოდან სასულიერო პირებს. მის ამაღლაში მყოფი დეკანოზ აარონ-მესხიშვილი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, კათოლიკოსის მოძღვარიც იყო და მღვდელი სიმონ ესიაშვილი ამ საქმეს თავს კარგად ართმევდნენ. ანდა, მას ხომ უფლება ჰქონდა მორჩილი სოლომონ ჩერქეზიშვილი ბერად აღეკვეცა და შემდეგ ხარისხში აეყვანა. გარდა ამისა, საქართველოდან ჩასულ სასულიერო პირებს კათოლიკოსის ხარჯზე უნდა ეცხოვრათ, რაც მის ისედაც მძიმე მატერიალურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა. საინტერესოა ისიც, რომ კათოლიკოსთან გასაგზავნი კანდიდატურები შერჩეულ იქნა მიტროპოლიტ იონანე ბოდბელის (რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას უარყოფითად შეხვდა და 1802 წლის კელმენჩურის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ამის გამო იგი დააპატიმრეს. მართალია, იგი შემდეგ შეეგუა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ გარდაცვალებ-

ბამდე (1837წ.) შინაგანად რუსული მმართველობის მოწინააღმდეგე იყო) და ერეკლე მეორის ასულის თეკლე ბატონიშვილის რეკომენდაციით. იონა ეგზარქოსი, რომელიც მოსკოვში ყოფის პერიოდებიდან ახლოს იცნობდა ანტონ მეორეს და დიდად აფასებდა, ენდო კათოლიკოსთან დაახლოვებულ მიტროპოლიტ იოანესა და მისი დის თეკლე ბატონიშვილის გადამწვეტილებას და სწორედ მათ მიერ შერჩეული სასულიერო პირები გაგზავნა ნიჟნი-ნოვგოროდში. ჩვენი აზრით, ანტონ მეორე დასახელებული სასულიერო პირების მიწვევით, ხომ არ ასრულებდა ვინმეს დავალებას? მითუმეტეს, რომ ფილადელფოს კიკნაძეს რუსეთში მყოფი სოლომონ დოდაშვილი ჯერ კიდევ ადრე პირდებოდა: „თუ გასურსო, ინებებენო მეფისძენი, რომ დაგიბარონო“¹¹¹. ჯერ კიდევ 1903 წელს მღვდელმა პ. კარბელაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოდან ფილადელფოსმა მოსკოვში ოქროპირ ბატონიშვილს თეკლე და თამარ ბატონიშვილების და სხვათა საიდუმლო წერილები ჩაუტანაო, რომელთა მიზანი საქართველოს აღდგენა იყოო“¹¹². ჩვენ არ ვიცით, პ. კარბელაშვილის აღნიშნული მოსაზრება რა ცნობებს ეყრდნობა, მაგრამ მის ამ ვარაუდს დღემდე მოძიებული წყაროები არ ადასტურებს¹¹³. ერთი რამ კი ცხადია, თეკლე ბატონიშვილი თავის ახლობებს და ძმა-კათოლიკოსს ფილადელფოსის ხელით მოკითხვის ბარათებს მაინც გაუგზავნიდა. უეჭველია, რომ ნიჟნი-ნოვგოროდისაკენ მიმავალმა ფილადელფოს კიკნაძემ სწორედ მისი რეკომენდაციით რამდენიმე ხანი დაჰყო მოსკოვში ოქროპირ ბატონიშვილთან.

თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მცხოვრებ ბატონიშვილებთან ანტონ კათოლიკოსს, ჩვენთვის უცნობია. ნიჟნი-ნოვგოროდში გადმოსვლის შემდეგ ეს ურთიერთობა ალბათ კვლავ გრძელდებოდა. იგი, უეჭველია, ახლოს იცნობდა ბატონიშვილთა ზრახვებს. ნიჟნი-ნოვგოროდში ანტონ მეორე დროებით ცხოვრობდა. თავისი ახლობების რჩევით ხომ არ თქვა უარი ასტრახანში გამგზავრებაზე? ნიჟნი-ნოვგორო-

დი მოსკოვთან და პეტერბურგთან შედარებით ახლოს იყო და საჭიროების შემთხვევაში კათოლიკოსს თავის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. როგორც ვხედავთ, წყაროების უქონლობის გამო ჩვენი შეხედულება ვარაუდის ფარგლებს არ სცილდება. ერთი რამ კი ცხადია, ანტონ კათოლიკოსის მოთხოვნა ფილადელფოს კიკნაძეს საშუალებას აძლევდა თავისი ადრინდელი ოცნებები განეხორციელებინა. მას ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში სურდა ენების შესწავლის მიზნით რუსეთის რომელიმე მონასტერში დამკვიდრება. თავისი სურვილის დასაკმაყოფილებლად ფილადელფოსმა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს თხოვნაც კი გაუგზავნა. მკვლევარ მანანა ხომერიკის სამართლიანი მითითებით ფილადელფოს კიკნაძეს რუსეთში გამგზავრება არა ენების შესწავლის, არამედ ბატონიშვილებთან დაახლოების მიზნით უნდოდა¹⁴. რუსეთში მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი, რომელიც კარგად იცნობდა ფილადელფოსის ზრახვებს, ბატონიშვილებს მხარდაჭერას ჰპირდებოდა.

1826 წლის 5 ოქტომბერს მღვდელმონაზონი ფილადელფოს კიკნაძე და იეროდიაკონი დანიელ ანდრონიკაშვილი ნიჟნი-ნოვგოროდში ჩავიდნენ. კათოლიკოსმა მათი ჩასვლით გაიხარა, მაგრამ 1827 წლის დასაწყისში საქართველოში გამოსტუმრა ფილადელფოსი, დანიელი კი თავისთან დაიტოვა, იონა ეგზარქოსს კი საყვედურებს უთვლიდა: „ფილადელფოსი ჩემი გონებისა არ გამოდგა, მოუსვენარიო“. ეგზარქოსი თავს იმართლებდა: „თქვენი დის თეკლე ბატონიშვილის თანხმობითა და იონა ბოდბელის რჩევით გამოგვგზავნე ფილადელფოსი, თანაც მაგათ გარდა არავინ ისურვა მანდეთ ჩამოსვლაო“¹⁵. გაუგებარი რჩება, თუ რატომ გამოსტუმრა ოთხი თვის შემდეგ ანტონ მეორემ ფილადელფოსი და რას გულისხმობდა მის „ მოუსვენრობაში “. ამ კითხვაზე პასუხს გვცემს მკვლევარ მანანა ხომერიკის მიერ ახლახან გამოვლენილი მასალები. თუმცა ამ მასალების გამომზიურებამდე, ფილადელ-

ფოსის რუსეთში დაპატიმრებისა და ანტონ მეორის გარემოცვასთან უთანხმოების შესახებ ყოვლად დაუსაბუთებელი მოსაზრებანი არსებობდა. ს. ხუციშვილს მიაჩნდა, რომ ფილადელფოსი დააპატიმრეს ანტირუსული ქმედების გამო¹⁶. მკვლევარ მ. ბერძნიშვილის აზრით, მისი დაპატიმრების მიზეზი შეიქნა ის, რომ მან თითქოს ცილი დასწამა ანტონ კათოლიკოსის წევრებს. დასახელებული მკვლევარი მეორე შეხედულებასაც გვთავაზობს, რომლის მიხედვით ფილადელფოსს დასწამეს ცილი: „ თითქოს მას ეთქვას, რომ დანიელი უხამასი სიტყვებით ამკობდა ხელმწიფეს“¹⁷. ზემოთ დასახელებულ მკვლევართაგან მ. ბერძნიშვილის მხოლოდ ერთი თვალსაზრისი ნაწილობრივ ახლოს დგას სასამართლოს გადაწყვეტილებასთან, რამდენადაც ფილადელფოსს სწორედ ცილისწამების განაჩენი გამოუტანეს.

მანანა ხომერიკის აზრით, „...ფილადელფოსი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა იმ გარემოსათვის, რომელიც მას ანტონ მეორესთან დახვდა. როგორც ჩანს, ყოფილი კათოლიკოსის გარემოცვაში ანტიცარისტული განწყობილება იყო გამეფებული. მონასტერში გაზრდილი ბერისათვის ამგვარი სიტამამე უცხო იყო“¹⁸. რა თქმა უნდა, ანტონ კათოლიკოსში და, ბუნებრივია, მის გარემოცვაში დამონებული სამშობლოს ბედის გამო ანტირუსული განწყობილება ყოველთვის იყო, მაგრამ ისინი და მათ შორის კათოლიკოსიც ამ განწყობილებას აშკარად არ გამოხატავდნენ. ანტონ მეორე ფრთხილობდა - მისი ზრახვები დაფარული უნდა ყოფილიყო ხელისუფლებისათვის. სხვა შემთხვევაში იგი რუსეთის უზენაესი ხელისუფლებისაგან დიდ რისხვას დაიმსახურებდა. მან ჯერ კიდევ საქართველოში მოღვაწეობისას, შემდეგ კი რუსეთში ყოფნისას არაერთხელ გამოსცადა საკუთარ თავზე ხელისუფლების ძალმომრეობა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთის ხელისუფალთაგან იგი საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ნიჟნი-ნოვგოროდში ცხოვრებისას ქართველების გარ-

მბერს საქართველოს მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ იმპერატორის გადაწყვეტილებით კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე აუცილებლად უნდა წასულიყო პეტერბურგში, რათა პირადად დასწრებოდა რუსეთის უწმიდესი სინოდის სხდომებს, რომელზეც საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხი განიხილებოდა. სინამდვილეში ანტონ მეორის პეტერბურგში მიწვევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „საპატიო“ გადასახლებას ნიშნავდა, საიდანაც მას დაბრუნება აღარ ეწერა. თუ რა პოზიციას დაიკავებდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი აღნიშნული საკითხის მიმართ, როგორც ობერპროკურორი წერდა ალ. ტორმასოვს, ცნობილი უნდა გამხდარიყო იმპერატორისათვის⁶⁷. აქედან ნათლად ჩანს, თუ რა ცხოველ ინტერესს იჩენდა ხელისუფლება ანტონ მეორის რუსეთში გასაწვევად. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი კარგად გრძნობდა თუ რა მიზანი ამოძრავებდა რუსეთის რეაქციულ ძალებს, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა და ცდილობდა, ეს „საპატიო მიწვევა“ როგორმე თავიდან აეცილებინა. 1809 წლის 7 დეკემბერს საქართველოს მმართველ თ. ახვერდოვისადმი გაგზავნილ წერილში ანტონ მეორე მადლობას გამოხატავს იმპერატორის მიმართ იმ პატივისცემისათვის, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოიჩინა მისი პეტერბურგში მიწვევის გამო. „ამასთან-წერდა იგი რუს გენერალს - აღფრთოვანებული ვარ იმ აზრით, რომ ნება მეძლევა ვუცქირო მის (იმპერატორის - ე. ბ.) წმინდა სახეს, რომელმაც ჩემი მამული აიყვანა უდიდეს სიხარულში და ამ ყოველივეს სიხარულს აღტაცებაში მოვყავარ, მაგრამ იმდენად უბედური ვარ, რომ ძალა არა მაქვს მივყვე ჩემი გულის მოძრაობას, რადგან ავადმყოფობით ვიყავი შეპყრობილი და უკიდურესად დავსუსტდი, რისგანაც დღემდე ძალიან შერყეულია ჩემი ჯანმრთელობა... რაც იმედს მართმევს, რომ ხანგრძლივი და ძნელი მგზავრობა გადავიტანო“⁶⁸. რა თქმა უნდა, ანტონ მეორე აღფრთოვანებული არ იყო რუსეთის ხელისუფლების თვი-

ბლოს ბედზეც და ჩაუნერგავდა იმის სურვილს, რომ მისი კეთილდღეობისათვის ებრძოლა. ჩვენი აზრით, ფილადელფოს კიკნადის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა მღვდელმონაზონმა იოსტოს ანდრონიკაშვილმა და არა ოქროპირ ბატონიშვილთან ურთიერთობამ¹²⁰. რუსეთში მოღვაწე ს. დოდაშვილმა, რომელთანაც აქტიური მიმონერა ჰქონდა ფილადელფოსს ჯერ კიდევ ნიჟნი-ნოვგოროდში გამგზავრებამდე, ეტყობა კარგად იცნობდა მის განწყობილებას და ამიტომაც პირდებოდა ბატონიშვილებთან დაახლოებას, სხვანაირად წარმოუდგეგნელია ს. დოდაშვილს, რომელსაც ღრმად ჰქონდა გააზრებული თავისი შემდგომი მოღვაწეობა, არა თუ ურთიერთობა დაემყარებინა, არამედ რეკომენდაცია გაენია ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ბატონიშვილებთან. ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მეტ დამაჯერებლობას მატებს ს. დოდაშვილის მიერ 1826 წლის 15 დეკემბერს ფილადელფოსისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ არ გახარებია მისი რუსეთში ჩასვლა, რადგან თვითონაც მალე სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა და მამულის საკეთილდღეოდ თავისი საიდუმლო მიზნების განხორციელებისათვის ფ. კიკნაძე ერთგულ თანამებრძოლად ესახებოდა¹²¹. ეს საიდუმლო მიზნები ამ დროისათვის ფილადელფოსისათვის უცნობი იყო. ჩვენი აზრით, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ფილადელფოსს რუსეთში ჩასვლა და ბაგრატიონების გაცნობა ალბათ იმ მიზნით სურდა, გაერკვია თუ რას ფიქრობდნენ ისინი ქვეყნის მომავალზე. ოქროპირ ბატონიშვილთან ურთიერთობამ მას დაანახა, რომ აუცილებელი იყო სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა. მასთან ურთიერთობით იგი თანაზიარი ხდება იმ მიზნების განხორციელებისა, რომელსაც ბატონიშვილები და ს. დოდაშვილი მომავალში ისახავდნენ მიზნად.

ფილადელფოსს კიკნადის მიზნების რეალიზაციისათვის მართლაც მიუღებელი იყო ანტონ კათოლიკოსის გარემოცვა,

სადაც მხოლოდ წირვა-ლოცვა უნდა აღესრულებინა. ბატონი-შვილებთან ახლო ურთიერთობა კი მის სულიერ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. ფილადელფოსის ეს განწყობილება გამოიცნო გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ, რომელიც მოგვიანებით ინციდენტის შემდეგ მას ურჩევდა მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლას¹²².

მომხდარი ინციდენტის დროს ფილადელფოსი გაალიზიანა იმ ფაქტმა, რომ მან კათოლიკოსს და ე. ციციშვილს სთხოვა იეროდიაკონ დანიელის გაჩუმება. ანტონს დუმილით უპასუხია, ხოლო ე. ციციშვილი აღშფოთებულა ბერის საქციელით, პირში შეუფურთხებია და სენაკში გამოუკეტავს, თან დამუქრებია, ციმბირში გიკრავ თავსო. სასონარკვეთილი ფილადელფოსი ამის შემდეგ წინდაუხედავ ნაბიჯს დგამს. როგორც 1833 წელს საგამომძიებლო კომისიას აცნობებს, აღნიშნული ფაქტის შესახებ მას შინაგან საქმეთა მინისტრისათვის მიუწერია, სადაც იგი აბეზლებს არა მარტო დანიელს და ე. ციციშვილს, არამედ კათოლიკოსის ანტირუსულ განწყობილებასაც ამხელს: „... რომ ერთხელ აქედამ (საქართველოდან - ნ. ბ.) წიგნი მოუვიდათ ამბავი ყიზილბაშის ქალაქზე დაახლოებისა, ბრძანა ისე ხუმრობასავით კათოლიკოსმა მე რომ საქართველოს მწუხარება მესმისო ღმერთმა ქნას ისევ იმათი დრო მოხდესო“¹²³. აღნიშნული ცნობა ფრიად საინტერესოა. რუსეთში მყოფ კათოლიკოსთან, როგორც ჩანს, საქართველოში მყოფ ანტირუსულ ძალებს ურთიერთობა ჰქონიათ, მაგრამ ფილადელფოსის ჩვენებაში „ბრძანა ისე ხუმრობასავით კათოლიკოსმა“, ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ სიფრთხილეს იჩინდა იგი.

ფილადელფოს კიკნაძეს მომხდარი ფაქტი რუსეთის უწმიდესი სინოდისთვისაც უცნობებია. შემორიგების მიზნით ე. ციციშვილს სენაკში გამოკეტილ ფილადელფოსთან დეკანოზი აარონ ალექსი-მესხიშვილი შეუგზავნია. ფილადელფოსს მღვდლისათვის არაფერი დაუმაღლავს და საჩივრის შავი

პირებიც უჩვენებია. ამ ამბის შეტყობის შემდეგ ე. ციციშვილი აღშფოთებულა და ფილადელფოსისათვის უთქვამს: „ჩვენს სახლში რაც უნდა სთქვან, შენ რაო“ და თან დამუქრებია, მის საჩივარ ქალაქებს ცეცხლს შეუკეთებდა¹²⁴. ფილადელფოსის მოქმედებით, როგორც ჩანს, ძალზედ შეშინებულა ანტონ კათოლიკოსის გარემოცვა და გადაუნყვეტიათ მისი სამშობლოში გამოშვება. ე. ციციშვილის გეგმით, კათოლიკოსს საქართველოს ეგზარქოსისათვის ისეთი წერილი უნდა მიენერა, რომ მისი გაშვების ნამდვილი მიზეზი არ უნდა გამჟღავნებულიყო. მასში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ ფილადელფოს კიკნაძე „არ გამოდგა, შემანუხა და ვერ გავუძელიო“. ე. ციციშვილის გეგმის მიხედვით კათოლიკოსს მისთვის უნდა მიეცა სამგზავრო ფული, პასპორტი. მოგზაურობის დროს მას უფლება არ უნდა ჰქონოდა ერთ ლამეზე მეტხანს დაყოვნებისა, უარს თუ იტყოდა, პოლიციის ძალით უნდა გაეცილებინათ. თუკი ფილადელფოსს ნიჟნი-ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორია ან რუსეთის უწმიდესი სინოდი მოიკითხავდა, კათოლიკოსს უნდა ეპასუხა, რომ ავი და ბოროტი კაცი იყო¹²⁵. როგორც ზემოთ დავინახეთ, კათოლიკოსმა სწორედ ე. ციციშვილის გეგმის მიხედვით მოიშორა თავიდან ფილადელფოსი.

1827 წლის 2 იანვარს კათოლიკოსმა ფილადელფოს კიკნაძეს გამოუცხადა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ ამ უკანასნელს სუსხიანი სიცივეების შეშინებია, კათოლიკოსისათვის დარჩენა უთხოვია და თან არწმუნებდა თურმე, რომ არავისთვის არაფერი შემოიტყობინებია და არც შევატყობინებო¹²⁶. როგორც ჩანს, ფილადელფოსის სიტყვების უკვე არავის სჯეროდა და იგი 1827 წლის 20 იანვარს ნიჟნი-ნოვგოროდიდან საქართველოსკენ გამოისტუმრეს. კათოლიკოსმა მას სამგზავროდ გამოუყო ორმოცი თუმანი ასიგნაციით, მოამარაგა საჭირო ნივთებით. მოტანილი მასალით, როგორც მანანა ხომერიკი მიუთითებს, არ მართლდება პ. კარბელაშვილის მოსაზრება, რომ თითქოს „...ანტონ კათოლიკოსი ოსტატურად მოი-

ქცა და ფილადელფოსი მართლა კი არ დაინუნა, არამედ ოქროპირ ბატონიშვილმა და სხვებმა სთხოვეს მას ფილადელფი ბერი საქართველოში გაესტუმრებინა, რადგან ფილადელფი ერთი უნიჭიერეს ქართველთაგანი და ფრიად განათლებული იყო იმ დროში, რა თქმა უნდა, გულდათუთქული ანტონ კათალიკოზი თანაუგრძნობდა ამ სახიფათო მოძრაობებს¹²⁷. კათოლიკოსის აღნიშნული ნაბიჯი თავის დაზღვევის მიზნით იყო განპირობებული, რადგან „მან იცოდა, რომ ფილადელფოსის საჩივრებს ხელისუფლება რეაგირების გარეშე არ დატოვებდა, რის გამოც ცდილობდა მოეშორებინა საშიში მონაწილე“¹²⁸. აქედან გამომდინარე მართებულია მანანა ხომერიკის დასკვნა: „კათოლიკოსის მიერ ამგვარი გადაწყვეტილება განპირობებული იყო არა შურისძიებით, არამედ აუცილებლობით“¹²⁹.

საქართველოსკენ მომავალ ფილადელფოსს თან მოჰქონდა იეროდიაკონ დანიელის სარეკომენდაციო წერილები, ვლადიკავკაზში თავის ახლობლებთან გადასაცემი, რომელშიც იგი მათ სთხოვდა, თუ რაიმე სიძნელე შეხვდებოდა ფილადელფოსს, მისთვის დახმარება გაენიათ. აღნიშნული ფაქტი მარტო მის სულგრძელობაზე კი არ მეტყველებს¹³⁰, არამედ ეტყობა, დანიელი კათოლიკოსის მითითებით მოქმედებდა. ამ ფაქტით, მომხდარი ინციდენტის მიუხედავად, მათ სურდათ გამოეხატათ თავიანთი კეთილგანწყობა საქართველოში მომავალი მღვდელმონაზონისადმი.

ნიჟნი-ნოვგოროდიდან მომავალი ფილადელფოსი მოსკოვში ოქროპირ ბატონიშვილთან შეჩერებულა. მოსკოვში ჩასვლის დროს ბატონიშვილებისათვის უცნობი უნდა ყოფილიყო მომხდარი ინციდენტი და ამ ფაქტთან დაკავშირებით ფილადელფოსის მიერ გაგზავნილი საჩივრები უნმიდეს სინოდში და შინაგან საქმეთა სამინისტროში. ბოლომდე საქმეში ჩახედული არ უნდა ყოფილიყო ს. დოდაშვილიც. თუმცა ფილადელფოსი მას ე. ციცპვილისადმი მტრული დამოკიდებულების

შესახებ წერდა და თან დასძენდა, „მიზეზებს ნუ გამოიძიებო“¹³¹. ბუნებრივია, რომ ფილადელფოსის საქციელს არც ბატონიშვილები და არც ს. დოდაშვილი არ მოიწონებდა.

ფილადელფოსის საჩივრის საფუძველზე 1827-წლის 18 მარტს დააპატიმრეს იეროდიაკონი დანიელი, მაგრამ მისთვის წაყენებული ბრალდების დამტკიცება ვერ ხერხდებოდა. რუსეთის უწმიდეს სინოდში გაგზავნილი ფილადელფოსის საჩივარის საწინააღმდეგოდ დანიელი ამტკიცებდა, რომ მათ შორის არავითარ შფოთს არ ჰქონია ადგილი და არც იმპერატორი მოუხსენიებია ავი სიტყვებით. თავისი სამართლიანობის დასტურად იგი იმონებს კათოლიკოს ანტონს, რომელიც „...არ არის შენიშნული, რომ ვინმეს იმპერატორის აუგად ხსენება მოუთმინოსო. ფილადელფოსის ნათქვამი რომ მართალი იყოს - წერდა იგი - მაშინ რატომ პირველად კათალიკოსს არ მოახსენაო“¹³². სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით ფილადელფოსს კიკნაძე განმარტავს, ვითომ „მას ეშინოდა, რომ კათოლიკოსისაგანაც იგივე პასუხი არ მიეღო, რაც ციციშვილისაგან მიიღო“¹³³. როგორც ჩანს, დანიელი კათოლიკოსისა და ე. ციციშვილის რჩევების გათვალისწინებით ახდენდა ფილადელფოსის ბრალდებების უარყოფას.

რადგან დანიელს ვერ უმტკიცდებოდა დანაშაული, ცილისწამების ბრალდებით ფილადელფოსი მოსკოვში დააპატიმრეს და ექვსი კვირის შემდეგ ბორკილდადებული ნიჟნი-ნოვგოროდში გაგზავნეს. გზიდან იგი სხვადასხვა პიროვნებებს თხოვნით მიმართავს, რომ იხსნან ე. ციციშვილის ძალმომრეობისაგან. მართალია, იგი ნანობდა თავისი ქმედების გამო, მაგრამ „ამავე დროს თავს იმართლებს: „რა ვქნა, არ უნდა მექნა, მაგრამ დაფიცებული ვიყავ და ცხებულის მეფისათვის ურჯულოსაც გული შესტკივდებოდა და ეს კი არ ვიცოდი, თუ ესოდენ დიდს საშიშარს საქმეში შევიდოდი“¹³⁴.

როგორც ჩანს, ფილადელფოსის დაპატიმრებით ანტონ კათოლიკოსი და მისი გარემოცვა ძალიან აფორიაქებული

იყო, რადგან საკითხი მათთან მომხდარ ინციდენტს ეხებოდა და ბუნებრივია, შედეგი მათთვის უსიამოვნო იქნებოდა. მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ნიჟნი-ნოვგოროდში პატიმრობაში მყოფ ფილადელფოსს ანტონ მეორის თარჯიმანმა აცნობა: „კათოლიკოსმა შემოგვითვალა, თუ გკითხონ რამე, სთქვი რომ ავად იყავი, სიცხე გქონდა და არ იცი რა დანერე, ან თქვი - ტყუილად, ყმანვილობით მომივიდა თქო“. იმპერატორს ვთხოვ პატიებას და ისევ ჩემთან იქნებიო¹³⁵. ჩვენთვის არაა ცნობილი, კათოლიკოსმა იმპერატორს გაუგზავნა თუ არა თხოვნა ფილადელფოსის შეწყალების შესახებ, მაგრამ რადგანაც საკითხი მძიმე პოლიტიკური ბრალდებით ანტონ მეორის გარემოცვას ეხებოდა, შესაძლოა, კათოლიკოსმა ასეთი თხოვნა გაგზავნა. ყოველ შემთხვევაში ამ დაპირებიდან სამი თვის განმავლობაში ფილადელფოსი კვლავ სატუსალოში იყო. შესაძლოა, ანტონ მეორის შუამდგომლობას, თუკი იგი გაიგზავნა, სამეფო ხელისუფლებამ ყურადღება გამოძიების დასრულებამდე არ მიაქცია, რადგან აღნიშნული პოლიტიკური ბრალდება კათოლიკოსს და მის გარემოცვას ეხებოდა. პატიების მომლოდინე ფილადელფოსმა შეიტყო, რომ ცილისნამების ბრალდებით მას ციმბირში უპირებდნენ გადასახლებას. სასონარკვეთილმა ბერმა 1827 წლის 29 ოქტომბერს იმპერატორ ნიკოლოზ პირველს წერილით მიმართა და მფარველობა სთხოვა. ფილადელფოსი ხელმწიფეს ატყობინებს, რომ კათოლიკოსის სახლში არაერთხელ მოუსმენია მონარქის მიმართ „უკანონო სიტყვები“, რომლის მხილების გამო იგი უკანონოდ ისჯება. თავისი თავგადასავლის დაწვრილებით აღწერის შემდეგ ფილადელფოსი აღნიშნავს, რომ მოსკოვიდან ბორკილდადებული ჩამოიყვანეს ნიჟნი-ნოვგოროდში და უკვე ექვსი თვეა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. იგი იმპერატორს სთხოვს, რომ დაიცვას უკანონო ქმედებისაგან, რადგან არც შეეძლო და ძალაც არ შესწევდა, რომ თავისი სიმართლე დაემტკიცებინა¹³⁶.

ამ თხოვნიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1828 წლის 21 იანვარს იმპერატორის განკარგულებით ფილადელფოსი პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლეს. იგი საქართველოში უნდა გამგზავრებულიყო ხაზინის ხარჯით, ჩამორთმეოდა ხელნერილი, რომ სამშობლოში დაბრუნებისას სურვილის მიხედვით ამოირჩევა თავის ადგილსამყოფელს¹³⁷.

ფილადელფოსის გათავისუფლებამდე დანაშაულის დაუმტკიცებლობის საბაბით 1827 წლის 11 ოქტომბერს გაათავისუფლეს დანიელ ანდრონიკაშვილი. როგორც ჩანს, მის გათავისუფლებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა კათოლიკოსის ავტორიტეტს. დანიელი კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში ბრუნდება. გამოძიების დასრულების შემდეგ ნიუნი-ნოვგოროდის სისხლის სამართლის პოლიციის გადანყვეტილებაში აღინიშნა, რომ იერომონახი დანიელი და ე. ციციშვილი ცილისწამების გამო თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან¹³⁸.

როგორც ვხედავთ, ფილადელფოსმა თავისი სიმართლე ვერ დაამტკიცა. ცილისწამების ბრალდებით მისი გათავისუფლება თვით რუსეთის ხელისუფლებისათვის იყო მისაღები. თუმცა, გამოძიებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ცილისწამება არ იყო. მათ არ აწყობდათ მომხდარი ფაქტის გახმაურება, რომელიც თავისი დატვირთვით პოლიტიკური ელფერის მატარებელი იყო. ჩვენი აზრით, რუსეთის უზენაესმა ხელისუფლებამ ასეთი გადანყვეტილება შეგნებულად გამოიტანა. იგი გამოძიებას გულდასმით მანამ აწარმოებდა, სანამ კათოლიკოსი ცოცხალი იყო, რადგან საკითხი ანტონისა და მისი გარემოცვის პოლიტიკურ ბრალდებებს ეხებოდა. ხელისუფლებისათვის აგრეთვე მიუღებელი იყო ისიც, რომ დანაშაულის გამომყვანებით კათოლიკოსისა და მისი გარემოცვის პასუხისმგებლობის საკითხი დასმულიყო. ალბათ, ამ მოტივით გაათავისუფლეს იეროდიაკონი დანიელი. კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ მომხდარმა ინციდენტმა თავისი

მნიშვნელობა დაკარგა. არასაიმედო ფილადელფოს კიკნაძე რუსეთიდან მოიშორეს და საქართველოში გამოაგზავნეს. ასეთივე ბედი გაიზიარა დანიელმაც, რომელიც 1829 წელს სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო იმავე წელს ნიჟნი-ნოვგოროდში გარდაიცვალა ე. ციციშვილი.

მომხდარმა ინციდენტმა, უარყოფითად იმოქმედა კათოლიკოსის ისედაც შერყეულ ჯანმრთელობაზე. 1827 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ანტონ მეორე ცუდად გახდა. მას ხელ-ფეხი წაერთვა და ლოგინად ჩავარდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ანტონ კათოლიკოსმა იზრუნა თავისი გარემოცვის მომავალი ფინანსური უზრუნველყოფისათვის. რადგან მას თვითონ წერა არ შეეძლო, თავის ახლო ნათესავს გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის სთხოვა ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რომ მის მიერ მოსამსახურეებისადმი დანიშნული ხელფასი სამუდამო პენსიად დაეკანონებინათ. ამით მომაკვდავმა კათოლიკოსმა უკანასკნელი მაღლიერება გამოხატა თავისი მოსამსახურეების მიმართ. კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის პეტრე სერგის ძე მეშერსკის საშუალებით იმპერატორს შეატყობინა ანტონ მეორის მიერ სიკვდილის წინ გამოთქმული თხოვნა, რომელიც მასთან მოსამსახურე პირებს ეხებოდა. ხელმწიფის განკარგულებით ფინანსთა მინისტრმა 1828 წლის 18 მარტს გარდაცვლილის თხოვნის თანახმად სამუდამო პენსიები დაუნიშნა მასთან მომუშავე პირებს, მაგრამ დანიშნული პენსიები თითქმის ნახევარი არ იყო იმ თანხისა, რასაც ისინი კათოლიკოსის სიცოცხლეში იღებდნენ¹³⁹. ფარსადან ციციშვილს დაენიშნა 500 მანეთი, დეკანოზ აარონ ალექსი-მესხიშვილს - 400 მანეთი, მღვდელ სიმონ ერიაშვილს - 300 მანეთი, სახლის მმართველს ნაცვლიშვილს - 350 მანეთი. ერთდროული დახმარება 300 მანეთის ოდენობით მიეცათ სხვადასხვა საქმის შემსრულებლებს: ოსებ ბერზინს, მამასახლის იგორ კუზნეცოვს

და მორჩილს სოლომონ ჩერქეზიშვილს. კათოლიკოსთან მომუშავე მონასტრის სამ ყმა-გლეხს ილია სურიკოვს, ნიკიფორე ტულიაპოვს და ათანასე კუზნეცოვს ერთდროული დახმარების სახით გადაუხადეს 100-100 მანეთი. ამასთან ისინი, კათოლიკოსის თხოვნით, გათავისუფლდნენ ყმური მდგომარეობიდან, მიეცათ თავისუფლება და დართეს ნება აერჩიათ ისეთი ცხოვრება, როგორსაც თვითონ მოისურვებდნენ. იოსებ ბერზინი, როგორც დოკუმენტებში წერია, თავს ასალებდა ქართველ წარჩინებულ აზნაურად, ნაწყენი იყო იმით, რომ თავისი მაღალი წარმომავლობით გააიგივეს დაბალ მოსამსახურეებთან. ამ მოტივით მან უარი განაცხადა ჯილდოზე. ხოლო კათოლიკოსის თარჯიმანი ივანე მოლოდინაშვილი, რომელსაც 300 მანეთი დაენიშნა, 1828 წლის 6 ივლისს ქლექით გარდაიცვალა¹⁴⁰.

ანტონ მეორე გარდაიცვალა 1827 წლის 21 დეკემბერს, 66 წლის ასაკში, დილის 10 საათზე, „შორს იმ ადგილიდან, რომელიც იყო მისთვის უძვირფასესი და სანუკვარი“¹⁴¹. ნიჟნი-ნოვგოროდის გენერალ-გუბერნატორმა ბახმენტევა მისი სიკვდილი შეატყობინა ჟანდარმთა შეფს გრაფ ბენკერდორფს, რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორ პეტრე სერგის ძე მეშერსკის და შინაგან საქმეთა მინისტრს¹⁴². დაკრძალვა თავის თავზე აიღო კათოლიკოსის ახლობელმა ნათესავმა, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ. გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს, 24 დეკემბერს ანტონის ცხედარი ეფიმეფიევის სახლიდან გადაასვენეს სამგლოვიაროდ მორთულ ხარების ტაძარში, სადაც სასულიერო პირები დღე-ღამის განმავლობაში იხდიდნენ გარდაცვლილი კათოლიკოსის სულის მოსახსენებელ პანაშვიდებს და უკითხავდნენ ფსალმუნებს. პატივისცემის ნიშნად პანაშვიდის გადახდის დროს დიაკვნებს ხელთ ეჭირათ კა-

თოლიკოსის კუთვნილი ტრიკირი¹, დიკირი და² ოქროს რიპი-
დი³.

ანტონ კათოლიკოსს გარდაცვალებისას დარჩა 400 მანე-
თი, რაც საკმარისი არ იყო მისი დაკრძალვისათვის. გიორგი
გრუზინსკიმ მიცვალებულის გასაპატიოსნებლად ისესხა 6
ათასი მანეთი, რომლის შესახებ შეატყობინა ადგილობრივ ხე-
ლმძღვანელობას. აქვე უნდა ითქვას, რომ იმპერატორ ნიკო-
ლოზ პირველის განკარგულებით და რუსეთის უნმიდესი სი-
ნოდის მოხსენების საფუძველზე ფინანსთა მინისტრმა გიორ-
გი გრუზინსკის დახარჯული თანხა 6 ათასი მანეთი სახელმწი-
ფო ხაზინიდან აუნაზღაურა¹⁴³. ასე რომ ანტონ კათოლიკოსი
დაიკრძალა სახელმწიფოს ხარჯით.

საქართველოს ყოფილი კათოლიკოს-პატრიარქი ნიჟნი-
ნოვგოროდის მოსახლეობამ გულით დაიტირა. მის სიკვდილს
გამოეხმაურა პეტერბურგის საიმპერატორო კარი. დაკრძა-
ლვის ცერემონიალს ხელმძღვანელობდა გიორგი გრუზინსკი.
ნიჟნი-ნოვგოროდის ეპისკოპოსის ათანასეს ავადმყოფობის
გამო მან პენზიდან სპეციალურად მოიწვია ეპისკოპოსი ირი-
ნეოსი¹⁴⁴. დაკრძალვის დღეს, 31 მარტს გარდაცვლილის წესის
აგების შემდეგ ხარების საკათედრო ტაძრიდან გამოსვენები-

¹ ლიტურგიკული დანიშნულების სამღვდელმთავრო სამკელაპტრიან-
ნი შანდალი, რომლითაც ღვთისმსახურების დროს მღვდელმთავ-
რები ჯვრის გადასახვით კურთხევას გადასცემენ მორწმუნე ერს.

² ორკელაპტრიანი სამღვდელმთავრო შანდალი, რომლითაც ღვთი-
სმსახურების დროს მღვდელმთავარი კურთხევას გადასცემს ტა-
ძარში შეკრებილ მრევლს.

³ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს სანერობელს.
ლიტურგიკის დროს ადრე სამწერობელით უნიაგებდნენ ბარძიმ-
ფეშხუმს, რომ მასში მწერი არ ჩავარდნილოყო. დღევანდელ პრაქ-
ტიკაში იგი ძველი მნიშვნელობით აღარ იხმარება. ახლად ნაკურთხ
დიაკონს კურთხევისთანავე პატრიარქი აძლევს სამწერობელს. მას
აქვს გრძელი ტარი, რომელიც ბოლოვდება მრგვალი ან ჯვრის ფო-
რმით, რომელზეც გამოსახულია სერაფიმები და ქერუბიმები.

სას განსვენებულს სიტყვით მიმართა ტაძრის დეკანოზმა პ. ლებედევმა. გათავაზობთ ქართველი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ დეკანოზ პ. ლებედევს სიტყვას.

Речь

При гробе блаженнейшаго католикоса Антония Грузинского.

При сем печальном событии, при сем поразительном зрелище гроба, вмещающего в себе останки великого мужа, венчанного славою и честью, маститаго старостию, украшенного доблестями на поприще высокого служения церкви, престолу и отечеству, соединявшего в себе достоинство верхованого пастыря и отблеск величия Царского, - что возглаголют уста наши, от избытка горестного сердца, как не слово святой истины: един Бог велик, неизменен, вечен, а человек яко трава, дние ено, яко цвет сельный, так оцветет: яко дух пройде в нем, и не будет, и не познает ктому места своего (Пс. 102. 15. 16)?

Давно ли мы видели лице сего блаженнаго Иерарха, лице, сияющее кротостию и добротою? И вот оно уже померкло и запечатательно страшной печатию смерти!

Давно ли мы видели шествие сего добляго Пастыря при всей слабости сил телесных, в вертоград духовный в святилиша Божии, для принесения Вышнему некреннаго моления и благодарения? И вот стопы его уже неподвижны! Вот жезл его, при гробе его, бездействен!

Давно ли ближние и знаемые его услаждались мирной его беседой, озарялись животворными щедротами его? И вот уста его умолкли, сердце более не бьется для радостных чувствований благотворения, охладела десница его, преподающая благословение чадам церкви!

Потеря сего священного мужа чувствительна для сердец наших. Одно воспоминание его доблестей, кротости, глубокой похорности и благоговения к неисповедимым судьбам божим могут облегчит горест нашу.

Не один град наш Георгиев оплакивает смерт сего блаженного иерарха: нет! сетуют о нем и самая царственные Главы, соединены с нами узами священной кровы. Восплачет о нем Иверия, сия благословенная страна гробов отцев его, где имя его останется незабвенным в летописях, и где воздвигнется ему памятник в признательных сердцах. Горько восплачут о нем все благодетельствованные им.

Так, - благочестивое и достопочтенное собрание! мы воздаем днес сему знаменитому мужу, прославленному Российскими Венценосками, последний долг любви и благодарности. Сопрождаем тело его в мрачную могилу, в общее место упокоения нижегородских князей и святелей: но дела его, святая вера, одушевлявшая его до последняго издыхания, будут сопровождат его с ангелом хранителем, возносящим дух его. далее пределов сей земли, превыше солнца и луны, до самого престола всевышняго, и ходатайствовать о нем пред лицом его. Аше сия земная храмира тела и разорится, по почивший имеет создание от бога храмину перукотворену, вечну на небесах (2 Кор. 5, 1).

Святелю Божий! Ты на земле исполнен был, поче причастник твоих, помазания и даров Духа Божия, украшен за веру и верность, знаменами Высочайшаго благоволения. Тебя достойно чтили именем: блаженного. Да будет прославлен, блажен и на небеси. Сия риза спасения, в которой Ты предстоял пред престолом Гостодним, сей венец, украшавший и доселе украшающий священную главу твою, сии отличия, знаменующия высокое достоинство твое, да будут залогом вечной твоей славы и блаженства, его же обеша Бог любящим его"¹⁴⁵.

თის რაოდენობის პენსია დაენიშნათ⁹². 1813 წელს იმპერატორმა მას ნება დართო პეტერბურგში ჩასულიყო და რუსეთის უწმიდეს სინოდში თავისი საქმე გაერკვია, მაგრამ იმავე წლის 30 ნოემბერს იგი გარდაიცვალა და მიტროპოლიტის შესაფერისი პატივით სიონის ტაძარში დაკრძალეს⁹³.

სხვა ხერხებითაც ებრძოდნენ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს. კათოლიკოსის ავტორიტეტის შელახვის მიზნით მის წინააღმდეგ გამოიყენეს მევალები, რომელთა შორის იყო მირმან მირმანოვი. ანტონ მეორის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ჩელიაქის საბაჟო, სადაც ბაჟს ადებდნენ რუსეთში გასატან საქონელზე. 1809 წლის დასაწყისში აღნიშნული საბაჟო ანტონ მეორემ 3220 მანეთად ვერცხლით იჯარით მისცა მირმან მირმანოვს. იჯარის გაცემიდან სამი თვის შემდეგ საბაჟოების გაუქმების გამო ჩელიაქის საბაჟო ანტონს ჩამოერთვა და სახელმწიფო ხაზინას გადაეცა, მოიჯარადრემ დახარჯული თანხა ვერ ამოიღო და მოინდომა ფულის უკან დარბუნება. კათოლიკოსს აღებული თანხა დახარჯული ჰქონდა და ბუნებრივია, ვალი ვერ გადაიხადა, მაგრამ იმის იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის მთავრობა გაუქმებული საბაჟოს წლიური შემოსავლის თანხის კომპენსაციას მოახდენდა. დაიმედებული ანტონი მ. მირმანოვს ატყობინებდა: „მივიღებ საბაჟოს საფასურს და პირველ რიგში შენს ვალს გავისტიუმრებო“⁹⁴. სიტყვიერ თანხმობას მ. მირმანოვი არ დასჯერდა, რის გამოც 1810 წლის 26 იანვარს ანტონ მეორემ მას ხელწერილი მისცა: „ჩვენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეფის ძე ანტონი გაძლევთ წერილსა ამას შენ მირმან მირმანოვს, რადგანაც გავლილს წელს ჩვენის ჩეჰლი იექის იჯარი შენს ხელთ იყო და უმაღლესის ბრძანებით ჩამოგვერთვა ზოგიერთი ჩვენი შემოსავლები და შენგან ჩვენ დაგვეხარჯა და ვალად დაგვედვა, რომ ჩვენი თამასუქი მიჭირავს, როდესაც უმაღლესი კარიდამ ჩვენი ბაჟის მაგიერ მივიღოთ იქიდან პირველად შენი თამასუქის ვალი უნდა მოგეცეს“⁹⁵.

შეიტყო, ქედმაღლურად განაცხადა: „სამშობლოს საზღვრებთან ახლოსაც კი არ გაბედოს განსვენება“¹⁴⁹.


ანტონ მეორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1865 წელს ნიჟნი-ნოვგოროდის ეპარქიალური უწყება წერდა: „ასე ცხოვრობდა და ასე მოკვდა ეს ქრისტეს მწყემსმთავარი, ბიბლიური მეფეების შთამომავალი, პირდაპირი შტო უძველესი ქართული დინასტიისა. ბედი მისი იყო უკულმართი: საყვარელი შვილი მეფე ერეკლესი, აღზრდილი ფუფუნებაში, აღმოსავლეთის შესანიშნავ ბუნებაში, უხვად დაჯილდოვებული პირადი თვისებებით. მან ადრეული ასაკიდან არაფრად ჩააგდო ამქვეყნიური ამოება და მიუძღვნა თავისი თავი ღმერთს, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა მორჩილება და უანგარობა. ბედმა განირა იგი, დაემთავრებინა თავისი რიგი ქართველი კათალიკოსებისა და გარდაცვლილიყო შორს თავისი სამშობლოდან, შორს ყოველივე იმისაგან, რაც მისთვის ძვირფასი იყო“¹⁵⁰.

1841 წლის 9 სექტემბერს მიძინების ტაძრის დანგრევის გამო ანტონ მეორის ნეშტი გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის ინიციატივით და მისი ხარჯებით გადაასვენეს ფერიცვალების კათედრალურ ტაძარში და დაკრძალეს დიმიტრის ეკვდერის საკურთხეველში, მარჯვენა მხარეს¹⁵¹. სხვათა შორის, აღნიშნულ ტაძარში ესვენა ივერიის ღვთისმშობლის ხატი 1672 წელს მხატვარ უშაკოვის მიერ შესრულებული, რომელიც დიდ მთავარს კონსტანტინე ვასილის ძეს სუზდალიდან გადმოუსვენებია¹⁵².

რუსეთის იმპერატორის განკარგულებით ანტონ კათოლიკოსის საფლავზე ძეგლის დასადგმელად 1828 წლის 18 მარტს ფინანსთა მინისტრმა სახელმწიფო ხაზინიდან გამოყო 2500 მანეთი. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1829 წლის ოქტომბერში ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორმა ილარიონ მიხეილის ძე ბიბიკოვმა სთხოვა გუბერნიის მარშალს გარდაცვლილი კათოლიკოსის ნათესავს გიორგი გრუზინსკის მისთვის მი-

ენოდებიან ცნობები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ძეგლი. ამ უკანასკნელის აზრით, ძეგლი უნდა შექმნილიყო ბაგრატიონთა სამეფო გერბის ფონზე, როგორც ნიშნში ქართველ მეფეთა შთამომავლობისა. გიორგი გრუზინსკიმ გერბის სურათი გაუგზავნა ქალაქის გუბერნატორს.

გიორგი გრუზინსკის მოთხოვნების გათვალისწინებით კათოლიკოს ანტონ მეორის უკვდავსამყოფად არქიტექტორ ეფიმოვის პროექტით შეიქმნა ძეგლი, რომელიც გამოირჩევა თავისი ორიგინალობით. გერბის ფარი შემოსაზღვრულია 151-ე ფსალმუნის შემდეგი სიტყვებით: „ეფუცა უფალი დავითს ჭემმარიტებისა და არა შეურაცხყოს იგი“, რომელიც გამოყოფილია ხუთ ნაწილად. ფარის შუაში განსაკუთრებულ მდებარეობაზე გამოხატულია ლაჟვარდოვანი კვართი ქრისტე მხსნელისა, ოქროს ფონზე ირგვლივ ისევ ფსალმუნის სიტყვებია: „ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა შენთა“. ფარის ოთხივე მხარეს წითელ ფონზე მოთავსებულია პირველ ნაწილში დავითის ქნარი და მისი შურდული; მეორეში - კვერთხი, ძალაუფლება და მახვილი; მესამეზე - მართლმსაჯულების სასწორი, ხოლო მეოთხეზე - ძღვევამოსილი ნმინდა გიორგი ცხენზე ამხედრებული. გიორგი გრუზინსკის რჩევით მონუმენტზე მეფის გვირგვინის ნაცვლად გამოხატეს გვირგვინის მაგვარი მიტრა გლობუსით და ისეთი ჯვრით დამშვენებული, რომელსაც გარდაცვლილი მწყემსმთავარი ღვთისმსახურების დროს ატარებდა. მასზე გამოსახული იყო ყველა ის ჯილდო, რომელიც მიღებული ჰქონდა განსვენებულს. არქიტექტორმა ეფიმოვმა, რომლის მუშაობას კონტროლს უწევდა ქალაქის გუბერნატორი, ყველა მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნა აღნიშნული ძეგლი¹⁵³.



ანტონ II-ის საფლავიდან
ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული
საქართველოს გერბი.

ფერიცვალების საკათედრო ტაძარში კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ ეს ძეგლი დადგმულ იქნა ეკვდერში, მთავარი კანკელის უკან. რუსეთის უნმიდესი სინოდის განკარუგლებით ანტონ კათოლიკოსის მარმარილოს საფლავს ამშვენებდა უპრეტენზიო წარწერა: „აქ განისვენებს ნეშტი ნეტარი კათოლიკოსის ანტონისა, ქართველი უფლისწულისა“¹⁵⁴.

1946 წელს მკვლევარმა თ. ჭყონიამ ლისკოვოში მივლინების დროს ნიჟნი-ნოვგოროდის (მაშინდელი ქალაქი გორკი - ე. ბ.) მუზეუმში სხვა სიძველეებთან ერთად აღმოაჩინა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული საქართველოს გერბი ანტონ მეორის საფლავიდან¹⁵⁵.

კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ მისი ანდერძის აღსრულების უფლება დაევალა გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის. როგორც ვიცით, ანდერძის ძალით კათოლიკოსის ქონების მემკვიდრედ მისი დისშვილი ევსტატე ციციშვილი ცხადდებოდა, მაგრამ მისი გარდაცვალების გამო (გარდაიცვალა 1829 წლის დასაწყისში) ანდერძით მინიჭებული უფლება ვერ გამოიყენა. ბიძის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა გადავიდა მის შვილზე, საქართველოში მცხოვრებ ფეხოსანთა პოლკის პროპორშიკ დავით ევსტატეს ძე ციციშვილზე, რომელიც 1829 წელს ამ საქმისათვის ნიჟნი-ნოვგოროდში ჩავიდა¹⁵⁶.

როგორც ირკვევა, ანტონ კათოლიკოსს გარდაცვალებისას ვალები არ დარჩენია. მისი მოძრავი ქონების აღწერის მიზნით კათოლიკოსის გარდაცვალების დღეს გიორგი გრუზი-

ნსკიმ ე. ციციშვილს, მღვდელ სიმონ ერიაშვილს, გარდაცვლილის მოძღვარს აარონ ალექსი-მესხიშვილს, პრისტავ კასტოლსკს და ნიჟნი-ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორიის წევრებს: პეჩერის მონასტრის არქიმანდრიტს და სემინარიის რექტორ გაბრიელს და ფერიცვალების მონასტრის არქიმანდრიტ იოაკიმეს დაავალა, აღწერათ გარდაცვლილი კათოლიკოსის ქონება. ძვირფასეულის შესაფასებლად მონვეულ იქნა იუველირი ფ. ბუდილოვი და ფარჩებით მოვაჭრე ნ. კამიშევი. მათ მიერ კათოლიკოსის მთელი ქონება შეფასებულ იქნა 19746 მანეთად და 75 კაპიკად. ამ თანხაში არ შედიოდა კათოლიკოსის ორდენები. იგი ნიჟნი-ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორიამ მოითხოვა. აღწერილი ქონება ტაძრის სალაროში შეინახეს და ეკლესიის ბეჭედით დაპლომბეს. კომისიამ თხოვნით მიმართა ქალაქის გენერალ-გუბერნატორ ბახმეტიევს, რომ უსაფრთხოების მიზნით კათედრალური ტაძრისათვის მცველი დაენიშნათ, რაზეც იგი არ დათანხმდა. მან კომისიას შესათავაზა, რომ კათოლიკოსის ქონება შესანახად გაეგზავნათ ოლქის ხაზინაში, სადაც იგი საიმედოდ იქნებოდა დაცული¹⁵⁷.

კათოლიკოსის არსებული ქონების შესახებ ოფიციალური მიმონერა გაიმართა ნიჟნი-ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორიასა და რუსეთის უწმიდეს სინოდს შორის. რუსეთის უწმიდესი სინოდის 1828 წლის 29 თებერვლის განკარგულებით ნიჟნი-ნოვგოროდის კონსისტორიამ კათოლიკოსის ქონების შესახებ შემდეგი განჩინება გამოიტანა:

1) ანტონ კათოლიკოსის პანაგია ბარტყულაზე მოოჭვილი ძვირფასი ქვებითა და ბრილიანტებით წარადგინეს რუსეთის უწმიდეს სინოდში სამთავრობო ძვირფასეულობათა რიცხვში დასაბრუნებლად. ხოლო კათოლიკოსის მემკვიდრეებს ამ ძვირფასეულობისათვის, მათი შეფასებით მიეცეთ 7 ათასი მანეთი.

2) წმ. ალექსანდრე ნეველისა და წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენები ოქროს ძეწკვით, თანახმად რუსეთში არსებული კანონებისა, დაბრუნებულია რუსეთის ორდენების კაპიტულში.

3) საკუთარი პირადი ქონების გარდა კათოლიკოსის კუთვნილება იყო მცხეთის საკათოლიკოსო ტაძრის სალაროდან ნამოღებული ძვირფასი შესამოსლები, ძვირფასი საეკლესიო ნივთები. ეს ქონება სულ 30 ერთეულს შეადგენდა. ანტონ მეორე ამ საპატრიარქო სალაროს, როგორც ზემოთ დავინახეთ, დიდად უფრთხილდებოდა¹⁵⁸. ამ ქონების მშვენება იყო კათოლიკოსის მიტრა, რომელიც მთლიანად მოოჭვილი იყო მსხვილი და წვრილი მარგალიტებით, სხვადასხვა ძვირფასი ქვებით, მინანქარში შესრულებული ხატებით, ზედა მხარეს მსხვილი ოქროს გლობუსით, რომელსაც დიდი მარგალიტის თვით შემკული ჯვარი ამშვენებდა, შუაში მწვანე ზურმუხტი, ირგვლივ კი მსხვილი და წვრილი მარგალიტები და სხვა ძვირფასი ქვები ბრწყინავდა¹⁵⁹.

რადგან კათოლიკოსის ყველა შესამოსელი სიმდიდრით გამოირჩეოდა, დასაფლავებისას მათ ნაცვლად უბრალო მღვდელმთავრის შესამოსელი ჩააცვეს. საპატრიარქოს სალაროს განძეულობა ნიჟნი-ნოვგოროდიდან გაიგზავნა თბილისში, რომელიც ხელწერით ჩაიბარა საქართველოს ეგზარქოსმა იონამ.

4) მწყემსმთავრის თეთრი ფარჩის ოქროთი დამშვენებული ბისონი გარდაცვლილს არ ჩაატანეს. იგი შეფასდა 500 მანეთად.

5) იმპერატორ ალექსანდრე პირველისაგან ნაჩუქარი ოქროს კარეტა გარდაცვლილის სურვილისამებრ გადაეცა ნიჟნი-ნოვგოროდის ეპისკოპოსს.

6) ნიჟნი-ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორიის გადანყვეტილებით გარდაცვლილის ახლობლებს ნება ეძლეოდათ დარჩენილი საეკლესიო შესამოსლები დარიგებოდა რუ-

სულ და ქართულ სამღვდელმთავრო სამოსსაცავში. ზოგიერთი ამ ნივთებიდან შევიდა ნიუნი-ნოვგოროდის სამოსსაცავში.

7) სასულიერო კონსისტორიამ გადაწყვიტა, რომ ამის შემდეგ დარჩენილი სხვა ქონება შეიძლება დარჩენილიყო კათოლიკოსის მემკვიდრის ევსტატე ციციშვილის მფლობელობაში¹⁶⁰.

ანტონ მეორეს საქართველოშიც დარჩენია ქონება, მაგრამ, როგორც მისი ანდერძიდან ირკვევა, იგი მცხეთის საკათედრო ტაძრისათვის შეუწირია. მაგრამ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, როდესაც ეკლესია-მონასტრები გაპარტახდა, სვეტიცხოვლის ქონება განიავებულა. ანტონის ქონების ნაწილი კერძო პირების ხელში აღმოჩენილა. 1902 წელს გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა, რომ „საეკლესიო მუზეუმმა ბერუჩაშვილისაგან 30 მანეთათ შეიძინა ბროლის მოვარაყებული სურა კათოლიკოზ ანტონ მეორისა შემდეგის ზედ წარწერით: „საქართველოს კათოლიკოზის მეფის ძის ანტონის არის. წელსა წყია თთუჭსა აგვისტოსა იე“ (1811 წ.)¹⁶¹.

ასე უცხოობაში დალია სული სამშობლოსათვის თავდადებულმა ერის სულიერმა მოძღვარმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ მეორემ. ჩვენთვის უცნობი რუსი ავტორი, რომელიც დიდი სიმპატიითაა განწყობილი ანტონ კათოლიკოსისადმი, 1865 წელს სიამაყით წერს: „ნიუნი-ნოვგოროდი ინახავს რა თავის წიაღში სამეფო სტუმრის ცხედარს... ყოველთვის პატივისცემით მოიგონებს მადლიან ცხოვრებას არამინიერი მწყემსმთავრისა“¹⁶².

დღევანდელი ქართველების ვალია, სისრულეში მოვიყვანოთ ანტონ მეორის ანდერძი. საჭიროა მოძიებულ იქნეს ტანჯული მწყემსმთავრის განსასვენებელი, საქართველოში ჩამოვასვენოთ და მშობლიურ მიწას მივაბაროთ მისი ძვირფასი ნეშთი.

დასკვნა

ანტონ მეორე იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც თავისი ცხოვრება და სარწმუნოებრივი მოღვაწეობა ერისა და ქვეყნის სამსახურს შესწირა. იგი ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში (1788-1810) ქართველი ერის სულიერი მესაჭე იყო.

ანტონ კათალიკოსს მეტად რთულ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა. კავკასიის ქედს გადმოღმა გადმოსული რუსეთის სახელმწიფო გეორგიევსკის ტრაქტატით არ იყო კმაყოფილი და იგი ქვეყნის სრულ დაპყრობას გეგმავდა, რაც 1801 წელს კიდევ განახორციელა. ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ათი წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიამ ცარიზმის წინააღმდეგობის მიუხედავად კვლავ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, რაც კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის დამსახურება იყო. მხოლოდ მისი რუსეთში გადასახლების შემდეგ გახდა შესაძლებელი მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

ანტონ მეორე დაიბადა 1762 წლის 8 იანვარს. გარდაცვლილი პაპის პატივსაცემად მას თეიმურაზი დაარქვეს. იგი იყო მეფე ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ვაჟი. მან იმ დროის კვალობაზე შესაფერისი სწავლა-განათლება მიიღო. მის აღზრდას უშუალოდ ხელმძღვანელობდა იმდროინდელი კათალიკოსი ანტონ პირველი (1744-1754; 1762-1788). ამ უკანასკნელისაგან მან ზედმიწევნით შეითვისა საღვთისმეტყველო საგნები და საერო ლიტერატურა. იგი სრულიად ახალგაზრდა ალიკვეცა ბერად და თავისი მოძღვრის პატივსაცემად ანტონი უწოდეს.

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ ერეკლე მეფემ სხვებთან ერთად ახალგაზრდა იეროდიაკონი ანტონ მეორე დიპლომატიური მისიით რუსეთში მიავლინა, სა-

დაც იგი ერეკლე მეორის თხოვნით 1784 წელს ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს და ნინოწმინდის მღვდელმთავრად აკურთხეს. ამავე წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ნებასურვილით ალავერდის მიტროპოლიტად გაამწესეს. 1789 წელს იგი საქართველოში ბრუნდება და ახლადგარდაცვლილი კათოლიკოსის ანტონ პირველის ნაცვლად 27 წლის ანტონ მეორეს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრობა ჩააბარეს. მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად ახალგაზრდა პატრიარქი კარგად წარმართავდა საეკლესიო მოღვაწეობას. მის მიერ აღდგენილ იქნა მტერთა შემოსევებისაგან გაპარტახებული ეკლესია-მონასტრები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით მისიონერთა საკმაოდ დიდი ჯგუფი მიავლინა. იგი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ხელშეწყობით 1792 წელს იმერეთის სამეფოში ტახტისათვის ატეხილი ბრძოლა თავიდან იქნა აცილებული.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ნათლად ჩანდა, რომ სასულიერო ხელისუფლებას ისეთი პიროვნება ედგა სათავეში, რომელიც მორალურად და ზნეობრივად გადაგვარებული ერის გადარჩენისათვის იბრძოდა. მაგრამ XIX ს-ის დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ წელში გამართული ეკლესია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მეფე გიორგი XII-ის (1798-1800) გარდაცვალების შემდეგ სანამ რუსეთის ხელისუფლება ოფიციალურად გამოაცხადებდა სამეფოს გაუქმებას, ქვეყანაში განუკითხაობა ბატონობდა. ეკლესია იყო ერთადერთი, ძალა რომელიც გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფ ბატონიშვილებს და მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა. მანიფესტის გამოცხადებამ ბატონიშვილების აღშფოთება გამოიწვია. ანტონ მეორე სახელმწიფოებრიობის დაკარგვით უკმაყოფილო იყო, მაგრამ აშკარა პროტესტს ვერ გამოხატავდა. მისი პროტესტი იმაში გამომჟღავნდა, რომ სამეფოს გაუქმების შემდეგაც ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს

მეფედ ფარნაოზ ბატონიშვილს მოიხსენიებდნენ. რუსმა მოხელეებმა ასეთი მოქმედების გამო კათოლიკოსი არაერთხელ გააფრთხილეს.

რუსეთის უზენაესი ხელისუფლება ძალადობას მიმართავდა კათოლიკოსის მიმართ. 1802 წლის აპრილში სიონში შეკრებილ ქართველ საზოგადოებას მანიფესტი წაუკითხეს, ანტონს კი უბრძანეს, ისინი მეფის ერფგულებაზე დაეფიცებინა. სიონის ტაძარი გარშემორტყმული იყო რუსის ჯარით. ანტონი მოერიდა გართულებას და ხალხი რუსეთის ერთგულებაზე დააფიცა. ეს იყო კათოლიკოსის მიერ იძულებით გადადგმული ნაბიჯი. მომხდარი ფაქტის შემდეგაც ანტონი აშკარად არ გამოდიოდა რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა იგი თანაგრძნობით ეკიდებოდა 1802 წლის კელმენჩურის შეთქმულებას, 1804 წლის მთიულეთისა და 1812 წლის კახეთის აჯანყებას.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფოებრიობა დაკარგულ ქვეყანაში დამპყრობელი ვერ მოითმენდა დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობას. ამიტომ ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციისთანავე ცარიზმმა დაიწყო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის ბრძოლა. მათი სურვილი იყო საქართველოს ეკლესია რუსეთის უწმიდესი სინოდისადმი დაექვემდებარებინათ, რომელიც, მართალია, სასულიერო საქმეებს განაგებდა, მაგრამ ოფიციალურად სახელმწიფოს ერთ-ერთი საერო დაწესებულება იყო. ავტოკეფალიის გაუქმების გზაზე მათ წინ ეღობებოდათ კათოლიკოსი ანტონ მეორე. საჭირო იყო მისი ჩამოშორება საეკლესიო მმართველობისაგან და სხვა ბატონიშვილების მსგავსად რუსეთში გადასახლება. მიზნის განხორციელებისათვის ისინი კათოლიკოსის მიმართ სხვადასხვა ბინძურ ხერხებს მიმართავდნენ: ბრალს სდებდნენ საეკლესიო ქონების მითვისებაში, აუკრძალეს ახალი სასულიერო პირების ხელდასხმა და გათავისუფლებულ ეპარქიებში ახალი მღვდელმთავრის დანიშვნა. განსაკუთრებით აქტიურობდა

მთავარმართებელი პ. ციციანოვი (1803-1806), რომელთან შეთანხმების გარეშე ანტონს გადაადგილების საშუალებაც არ ჰქონდა. მან მოისყიდა და კათოლიკოსს დაუპირისპირა ზოგიერთი რუსოფილი ქართველი სასულიერო პირი, რომლებიც ქართველ მწყემსმთავარს ფაქტიურად აღარ ემორჩილებოდნენ და ეკლესიაში არეულობა შექქონდათ.

შექმნილ სიტუაციაში ანტონ მეორე დიპლომატიურად მოქმედებდა, რაც რუსი მოხელეების აღშფოთებას იწვევდა, რადგან მათ პეტერბურგიდან ჰქონდათ მითითება, რომ იგი აუცილებლად საქართველოდან უნდა გაენვიათ. მთავარმართებელმა ალ. ტორმასოვმა (1809-1811) კათოლიკოსის დიპლომატიას თავისი პოლიტიკური გამჭრიახობა დაუპირისპირა. მან ანტონ მეორეს შესთავაზა, მოეხდინათ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია ისე, რომ მისი უფლებები არ შეზღუდულიყო. ამ მიზნით იგი რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც სინოდის სხდომას უნდა დასწრებოდა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გამო. ალ. ტორმასოვი თავისი გეგმის განხორციელებისათვის იყენებდა რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ მთავარეპისკოპოს ვარლამ ერისთავს, რომელიც რუსეთის სინოდის წევრადაც ითვლებოდა და კარგად იცნობდა რუსეთის ეკლესიის სტრუქტურას. ვარლამის მეშვეობით მათ სურდათ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის განხორციელება. შემთავაზებულ წინადადებაზე ანტონ II-მ უარი განაცხადა, რადგან იცოდა, რომ მის რუსეთში გამგზავრებას მოჰყვებოდა ავტოკეფალიის გაუქმება. მაგრამ მის მიმართ განხორციელებულმა რეპრესიებმა აიძულა იგი 1810 წლის 3 ნოემბერს თავის სამშობლოს გამოთხოვებოდა და თანმხლებ პირებთან ერთად პეტერბურგში ჩავიდა, სადაც მას წინასწარ დაუქირავეს ბინა.

იმპერატორმა 1811 წლის 30 ივნისს კათოლიკოსს უბოძა ორი რესკრიპტი. პირველში აღნიშნული იყო, რომ ახალ მმართველობასთან შეუთავსებელი იქნებოდა საქართველოს ეკ-

ლესიის ავტოკეფალია, ამიტომ იგი უნდა გაუქმებულიყო. მეორე რესკრიპტით მას უნარჩუნდებოდა კათოლიკოსის ტიტული და რუს მღვდელმთავრებს შორის მეხუთე ადგილს დაიკავებდა. დაკარგული ტახტის საკომპესაციოდ იმპერატორმა სხვადასხვა დროს მას უბოძა ძვირფასი ქვებით შემკული პანაგია, წმ. ანდრია პირველ წოდებულის და წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენები, დაუნიშნეს წლიური პენსია 54 ათასი მანეთი ასიგნაციით. პატივყარილი კათალიკოსი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ იქნებოდა იმპერატორის გულუხვობით.

პეტერბურგიდან ანტონი მალე მოსკოვში გადავიდა, სადაც ქართული სამეფოს ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ, მაგრამ ნაპოლეონის შემოსევის გამო 1812 წლის აგვისტოში იგი ტამბოვს აფარებს თავს. პროვინციაში ანტონი არავის გახსენებია. მართალია, მას საკმაოდ სოლიდური პენსია ეძლეოდა, მაგრამ მისი ამალის წევრები მის ხარჯზე ცხოვრობდნენ, თანხის დიდ ნაწილს ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა. ასეთი გულუხვობის გამო იგი მუდმივ გაჭირვებაში ცხოვრობდა.

ჩრდილოეთის კლიმატურმა პირობებმა ანტონის ჯანმრთელობა ძლიერ შეარყია. დიდი თხოვნების შემდეგ მას ნება დართეს პეტერბურგში გადასულიყო, სადაც 1822-1823 წლებში ცხოვრობდა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ანტონ მეორემ ითხოვა სამშობლოში დაბრუნება, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. 1824 წელს კათოლიკოსი საცხოვრებლად გადადის ნიჟნი-ნოვგოროდში. ერთხანს იგი დაბინავდა სოფელ ლისკოვოში, სადაც მისი ახლო ნათესავები ცხოვრობდნენ. სიცოცხლის ბოლო წლები კათოლიკოსმა გაატარა ნიჟნი-ნოვგოროდში. მას მფარველობას უწევდა ნათესავი გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი. ანტონს ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემდა. ფიზიკური გარეგნობით გამორჩეული კათოლიკოსი რუსი მხატვრების შთაგონების წყაროდ იქცა. მათი წყალობით ანტონ მეორის რამდენიმე პორტრეტმა მოაღწია ჩვენამდე.

ანტონ კათოლიკოსი გარდაიცვალა 1827 წლის 21 დეკემბერს. ნიჟნი-ნოვგოროდის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უკანასკნელ გზაზე გააცილა ქართველი მწყემსმთავარი. კათოლიკოსი დაკრძალეს ჯერ მიძინების ტაძარში (Скорняшенском синагоге). ამ უკანასკნელის დანგრევის შემდეგ გიორგი გრუზინსკიმ 1841 წელს იგი გადაასვენა ფერიცვალების საკათედრო ტაძარში. ანტონის სურვილი - გარდაცვალების შემდეგ მისი ნეშტი მშობლიურ მიწას მიბარებოდა, იმდროინდელმა საქართველოს მთავარმართებელმა ი. პასკევიჩმა არ შეასრულა.

ასე უცხოობაში დალია სული ერისა და ქვეყნის თავდადებულმა მოღვაწემ ანტონ მეორემ.

Католикос-патриарх Грузии Антоний II
(жизнь и деятельность)

Труд посвящен жизненному подвигу выдающегося грузинского церковного деятеля католикоса-патриарха Грузии – Антония II. До сегодняшнего дня жизнь и деятельность этого неутомимого борца за восстановление автокефалии грузинской апостольской церкви не становилась предметом специального изучения. Данный труд является первой попыткой восполнения именно этого пробела. Исследование зиждется на обширном архивном материале, разысканном автором в архивохранилищах Грузии и России.

Антоний II принадлежит к числу тех избранных сынов отечества, которые всю свою жизнь и церковно-просветительскую деятельность посвятили служению родине и своему народу. На протяжении более чем двадцати лет (1789-1810 гг.) он являлся не только духовным пастырем грузинского народа, но и его поборником и заступником.

Жизнь и деятельность католикоса-патриарха Антония II протекала в крайне сложное для Грузии время. Российская империя, перешагнув в Южное Закавказье (в силу Георгиевского трактата 1786 г., заключенного с Картли-Кахетинским, т.е. Восточно-Грузинским, царством), вовсе не собиралась довольствоваться ролью покровительницы раздробленных грузинских государств и их патриаршств. Совсем наоборот: Держава задалась целью полностью аннексировать "дружественную" (!) страну. Эта идея и была реализована в 1801 г. Однако после утраты Картли-Кахетинским царством своей трехтысячелетней государственности, грузинская апостольская автокефальная (т.е. независимая ни от

кого с V в.) церковь, сумела сохранить свою самостоятельность (несмотря на противодействие метрополии) в течение целых 10 лет. Этот факт со всей убедительностью доказывает, что авторитет Антония II был неоспорим и что российские власти не решились упразднить независимость грузинской церкви пока в стране находился ее духовный пастырь. В этом была огромная личная заслуга Антония II. И лишь после того, как Империи удалось выслать грузинского патриарха из своего же отечества в Россию, последняя сумела осуществить свой злой умысел – лишить независимости одну из древнейших православных церквей христианского мира.

Антоний II родился 8 января 1762 года - в год кончины своего деда, царя Картли - Теймураза II (1745-1762 гг.) в честь которого новорожденный царский младенец был наречен Теймуразом. Родителями Антония были царь Картли-Кахетинского государства Ираклий II (1744-1762-1798гг.) и его последняя супруга – царица Дареджан (урожденная княжна Дадияни).

Родители позаботились о том, чтобы дать своему отпрыску солидное, по тем временам, образование. Его воспитание было поручено тогдашнему каталикосу-патриарху Грузии Антонию I Багратиони (из картлийской царской династии) - человеку недюжинного ума, серьезных знаний в разных областях науки; к тому же церковному и государственному деятелю, искусному дипломату. Примечательно одно его признание: "Я отрекся от многих мирских сует, но отказаться от долга служить своему отечеству научится не сумел".

Грузинский метр стремился развить в своем питомце его природные дарования - умственные и духовные задатки, привить ему чувство беспредельной любви и преданности своему отечеству, своему народу и православию. верность общечеловеческим идеалам гуманизма, а также любовь к богатейшей родной худо-

жественной литературе, ведущей отсчет с V в. и озаренной гением Шота Руставели (XII в.). Юный же царевич глубоко уважал своего мудрого и великодушного учителя, неустанно приобщавшего своего восторженного питомца к заповедям православной веры, к чтению богатой церковной литературы и к изучению богословских дисциплин. Совсем еще молодым человеком царевич Теймураз принял монашеский постриг и в честь своего наставника был назван Антонием.

После заключения Георгиевского трактата (1783 г.) царь Ираклий II направил к Императрице Екатерине II грузинское посольство во главе с кн. Гарсеваном Чавчавадзе, и в числе его представителей двух своих сыновей Мириана и молодого иеродиакона Антония, с дипломатической миссией в Россию, где во исполнение желания царя Грузии Ираклия II, Антоний был возведен (хиротонисан) в сан архиерея с титулом Ниноцминдели (первосвященник). В том же году, согласно воле Картли-Кахетинского монарха, он был хиротонисан (т.е. назначен на должность) Алавердского митрополита. В 1789 г. Антоний возвращается в Грузию и в 27-летнем возрасте занимает должность недавно скончавшегося бывшего духовного пастыря Грузии Антония I. К чести молодого патриарха-каталикоса следует отметить, что он вполне справлялся со всеми своими новыми обязанностями: он восстановил и обновил пострадавшие от набегов соседних этнических племен и нашествий вражеских государств грузинские церкви и монастыри. С целью укрепления христианской веры в горные районы Восточной Грузии (т.е. Картли-Кахетинского царства) им была послана большая группа миссионеров.

Антоний II вел также и активную дипломатическую деятельность: именно благодаря вмешательству Антония II стало возможным мирное урегулирование начавшейся в Западной Грузии (т.е. в Имеретинском царстве) борьбы за престол.

Таким образом до упразднения Картли-Кахетинского царства во главе духовной власти в Грузии стояла личность, которая боролась за спасение разуверившегося было в Боге народа и за возвращение его в Христову веру. Однако, упразднение Картли-Кахетинского царства в начале XIX в. нанесло сильнейший удар и по грузинской церкви, которая оказалась в тяжелейшем положении. Ситуация еще более осложнилась после кончины последнего царя Грузии Георгия XII (1798-1800 гг.) и борьбы за престол законного его наследника царевича Давида Георгиевича против своих сводных дядей - сыновей Ираклия II от царицы Дареджан - мачехи умершего Георгия XII. В стране начались хаос и беспредел. Россия не только не поддержала законного наследника Грузинского царства Давида Георгиевича (утвержденного ею самой еще весной 1799 г.), но даже тайно подстрекала царевичей (сыновей Ираклия II и Дареджан), обещая кому-нибудь из них царский престол. Только церковь призывала к миру и спокойствию оказавшихся в неопределенном положении царевичей и все население страны. Провозглашение "Манифеста" (от 12. IX. 1801) произошло в Грузии (в Тифлисе) только в апреле 1802 года (т.е. после прибытия в столицу Грузии дополнительных оккупационных войск под командованием ген.Кнорринга), вызвав негодование не только в среде царевичей, но и всего народа. Антоний II также был недоволен узурпацией государственного суверенитета Грузии Россией, однако выражать открыто свой протест в тот момент, он не считал целесообразным. Пока что его противодействие "Манифесту" выражалось только тем, что во время богослужения в церкви он называл царем Грузии царевича Парнаоза Ираклиевича, за что "каталикос всея Грузии" не раз получал от русских чиновников "строгое предупреждение".

Наконец, власти прибегли к мерам принуждения и в отношении каталикос-патриарха: его заставили в апреле 1802 года вы-

ступить перед грузинской общественностью, зачитать ей текст "Манифеста" и принять от присутствующих присягу на верность русскому царю (!). Собор был окружен двойным кольцом русских войск (Лазарева и Кнорринга). Антоний II, чтобы избежать осложнений, принял от народа присягу на верность России. Это был вынужденный шаг со стороны каталикоса. Но дело в том, что и в дальнейшем Антоний II никогда явно, открыто против России не выступал, хотя и сочувствовал Кельментурскому заговору 1802 г., а также восстаниям в Мтиулету (горная область) в 1804 г. и в Кахети в 1812 г.

После упразднения государственности Восточно-Грузинского (Картли-Кахетинского) царства (1801-1802 гг.), российские экспансионисты, естественно, приступили к осуществлению ликвидации и автокефалии (V в.) грузинской апостольской церкви, к ее подчинению Святейшему Синоду России. Правда, официально Святейший Синод управлял церковными делами, однако на самом деле он являлся одним из светских государственных учреждений России. И вот на пути упразднения автокефалии грузинской церкви препятствием являлся каталикос-патриарх Антоний II. Держава задалась целью изгнать его из церковной иерархии и подобно остальным грузинским царевичам (Багратионам) выслать в Россию. Для осуществления своего замысла российская сторона зачастую прибегала к недостойным методам борьбы: то она обвиняла каталикоса-патриарха в присвоении церковного имущества (?!); то ему запрещалось рукоположение духовных лиц и назначение в епархии новых священнослужителей. В этом смысле исключительную активность проявлял главноуправляющий кн.П.Д.Цицианов (1803-1806 гг.), грузин по происхождению. Без своего разрешения сей князь запрещал Антонию II свободно ездить как по стране, так и по городу. Именно кн.Цицианов, подкупив некоторых русофилов среди грузинского

духовенства, предоставил им право чинить беспредел и дестабилизировать городскую жизнь в столице Грузии.

